პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
13 აგვისტო ხუთშაბათი 2009
№ 189 (12868) ფასი 60 თეთრი

## მალტა 2:0 საქართველო

# SOS!



მატჩის მიმოხილვა >> 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

**საერთაშორისო ამხანაგური მატჩები**

# ვაი, ექტორ, ვაი...

## ჩვენთვის მიფსუდიც მესია, ტაქალი კი მარაკანა

ინფორმაცია განსჯისათვის

მალტის ნაკრებმა 12-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ პირველად გუშინ საქართველოს მოუგო.

მალტის ნაკრებმა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ პირველად გუშინ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ გაიტანა გოლი...

მე მგონი, მივხვდი, რატომ არ აჩვენებენ ამ ბოლო დროს ჩვენი ტელევიზიები საერთაშორისო მატჩებს გინდა ჩვენი კლუბების და გინდა (უკვე) ეროვნული ნაკრების მონაწილეობით... გვიფრთხილდებიან, ჩვენს ჯანმრთელობას უფრთხილდებიან! აბა, ოფიციალურად დასახელებული მიზეზი, არ აჩვენებენ თავად მალტური არხებიო, არ გამოდგა მართალი. აგერ, ბატონებო, „სმეშ ტვ-ი", მალტური არხია, რომელიც ამ თამაშის პირდაპირ რეპორტაჟს აწარმოებდა. ინტერნეტის იმედზე დარჩენილებმა ვთხარეთ, ვთხარეთ და... სანერვიულოც გამოვთხარეთ, არ სჯობდა სხვებივით მეორე დღით შეგვეტყო შედეგი და ერთხელ გვწყენოდა, იმის მაგივრად, რასაც მთელი 90 წუთის განმავლობაში განვიცდიდით. იმას რომ უსუსური ნაკრები გვყავს, ცუდი შემსრულებლებით.

„ტა ქალზე", რომლის ერთი მხარე ამ ციცქნა კუნძულის ლამის ერთ სანაპიროს გასცქერის, მეორე კი - საპირისპიროს, რამდენიმე ასეული მალტელი იყო შეკრებილი, რომლებიც ტრიბუნებზე იმის მიხედვით მოძრაობდნენ, სად უტევდა ციცქნა ქვეყნის ტანმორჩილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ციცქნა, მაგრამ როგორც ალმოჩნდა ჩვენსაზე დიდგულა ნაკრები.

საქართველოს ნაკრები კაპიტნის სამკლავურით **ლევან კობიაშვილმა** გამოიყვანა, თავიდან სწორედ ის და მისი თანაგუნდელი **ლევან ყენია** აქტიურობდნენ ყველაზე მეტად. მოვლენებს წინა გავუსწრებთ და ვიტყვით, მხოლოდ ეს აქტიურობაც ხომ ბევრი არაფერია, ყენია სამწუხაროდ მალე „ჩაქრა", კობიაშვილმა კი ვერ შეძლო თამაშის თავის თავზე აღება, ლიდერობის გაწევა, ის კი არა ერთი-ორჯერ გადაცემისას მიუტევებელი შეცდომაც დაუშვა. არ დაგავიწყდეთ, რომ იმ ხალხზე ვწერ, რომლებიც წუხელ მალტაზე ჩვენს ნაკრებში ყველას სჯობდნენ, თუ მეორე ტაიმში შემოსულ **გიორგი მერებაშვილს** არ ჩავთვლით და სხვებზე რაღაა სათქმელი?

პირველი ოცი წუთის გასვლის შემდეგ ყენიამ კობიაშვილის პასი საჯარიმოში კართან ზურგით მდგომმა მიილო, ძალიან კარგად შემოტრიალდა და შეუტია მასპინძელთა კარს. ეს სიგნალი მალტელებმა სათანადოდ მიიღეს, ორიოდ წუთში მწვავედ შეგვიტიეს და რომ არა ოფსაიდი... თუმცა არ დაგვავიწყდეს ვისთან გვქონდა გუშინ საქმე, მალტელმა მაინც ვერ შეძლო კარის წინ მარტო დარჩენილმა გოლის გატანა. 29-ე წუთზე კინაღამ **გიორგი ლომაია** გახდა საგოლე გადაცემის ავტორი, მაგრამ ჩვენს ფორვარდს მალტელთა გამოცდილმა გოლკიპერმა **მუსკატმა** დაასწრო. გუნდები საშინელი, გასული საუკუნის შესაფერისი, ტემპით თამაშობდნენ და მიუხედავად ამისა, ბევრი იყო წუნი, განსაკუთრებით გრძელი გადაცემების გაკეთებისას და განსაკუთრებით ქართველთა მხრიდან.

ტაიმი სრულდებოდა, როცა საქართველოს ნაკრებმა მთელი თამაშის განმავლობაში ერთადერთი ლამაზი კომბინაცია გაითამაშა, კობიაშვილმა ჭკვიანურად ჩაკიდა საჯარიმოში, სადაც მარცხნიდან ცენტრში **ლევან ცქიტიშვილმა** ყენიას გადააწოდა და ამ უკანასკნელმაც მალტელთა კარი აილო. ერთი ეგაა, ბოლო პასის დროს ყენია სანტიმეტრებით თამაშგარეში იმყოფებოდა და გოლიც სამართლიანად გაუქმდა, ტაიმი 0:0 მორჩა.

მეორე ტაიმში უარესი გველოდა. მართალია, თავიდან ჩვენ ვიგდეთ სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ ვის რად უნდა ეს უპირატესობა, როცა გოლის გატანას ვინ ჩივის, საგოლე მომენტების შექმნაც გიჭირს და ბურთს აქეთ უშვებ. 58-ე წუთზე **სეთურიძეს** უკეთ რომ დაერტყა ანგარიშს ჩვენ გავხსნიდით, ორ წუთში კი **ზურაბ ხიზანიშვილს** მალტელთა ფორვარდი ეუხეშა (ბუცგახდილ ფეხზე განგებ დაადგა ფეხი), საპასუხო რეაქცია კი მალტელმა ოსტატურად გააფორმა, მსაჯი არ დაიბნა და ქართველს ყვითელი ბარათი აკმარა. დაღლილი და ნაკლებად მოძრავი ცქიტიშვილი შეცვალეს თუ არა მიფსუდმა შორიდან გაისროლა, ჩვენი მეკარე წინ იყო გამოსული და... 1:0.

საქართველოს ნაკრები მას მერე გამოფხიზლდა, რაც მოედანზე დინამოელი მერებაშვილი შევიდა, მართალია, ის ბოროტად იყენებდა ინდივიდუალურ ოსტატობას, მაგრამ მეტი რა ჩარაა, როცა სხვანაირად ჩვენ მომენტებს ვერ ვქმნით. სწორედ მერებაშვილის ნაქცევას მოჰყვა სახიფათო საჯარიმო, რომელიც კობიაშვილმა შეასრულა და მალტელთა მეკარემ გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა. ამას კი რამდენიმე ქართული კუთხური მოყვა, საკმაოდ სახიფათოები, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს ხიფათის თავიდან აცილება. აი, ჩვენ კი ეს ვერ შევძელით - 74-ე წუთზე მიფსუდი მცველს (რომელმაც თავი ვეღარ შეიმაგრა) გაცდა, მეკარეც მოატყუა და საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაიტანა. ბურთი ძელს მოხვდა და ისე შეგორდა **ექტორ რაულ კუპერის** გუნდის კარში - 2:0.


ბურთით გიორგი მერებაშვილი

კუპერი ვახსენეთ და მასზეც ვთქვათ. ეს უკვე ფატალური უილბლობა აღარ არის. კი ბატონო, მუშაობს მწვრთნელი, ამას ყველა ვხედავთ, მაგრამ იმასაც კარგად ვამჩნევთ, რომ ნაკრების თამაში დღითიდღე უარესდება. იტალია ცოტა სხვა ყაიდის ნაკრები რომ იყოს ჩვენებს 5 სექტემბერს მწვრთნელიან-ფეხბურთელებიანად დამალვას ვურჩევდით უკვე ისეთი საგანგაშო მდგომარეობაა გუნდში...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**12 აგვისტო. მალტა ტაქალი**

**მალტა-საქართველო 2:0**

**გოლები:** 1:0 მიფსუდი (64), 2:0 მიფსუდი (74)

**მალტა:** მ. მუსკატი (46. ჰოგი) - ა. მუსკატი, საიდი, ა. აგიუსი, აზოპარდი (60. ფაილა) - პეისი, ჯ. აგიუსი (90. ფენეჩი), კოჰენი (83. ბაჟადა), შემბრი (46. ვუდსი); სამუტი (60. ბრიფა) - მიფსუდი.

**საქართველო:** ლომაია - ღვინიანიძე (82. ლონღაძე), გ. კაშია, ხიზანიშვილი, ფოფხაძე (85. სანაია) - სეთურიძე (68. მერებაშვილი), კობიაშვილი, ცქიტიშვილი (64. დევდარიანი), ხმალაძე - ყენია, დვალიშვილი.

**გაფრთხილება:** ხიზანიშვილი, სამუტი, დევდარიანი.

**მსაჯი:** პ. კაილისი (კვიპროსი)


ლიტველები ფრეს ხარობენ

# ჯერ ტკბილი ვჭამეთ, კვლავ მწარე

## ქართველების არაჩვეულებრივი თავგადასავალი გრძელდება

21-წლამდელები.
ამხანაგური შეხვედრა.
12 აგვისტო.
შაულიაის ცენტრალური სტადიონი.

**ლიტვა-საქართველო 2:2**

**გოლები:** 0:1 ჯანელიძე (22), 0:2 გუგავა (45), 1:2 კრასნოვსკისი (86. პ), 2:2 რაცკუსი (90).

**ლიტვა:** ვალინჩიუსი (46. ჩერნიაუსკასი), ვაიტკუნასი, ფრიდრიკასი, რაჩკუსი, ურბაიტისი (57. ანდრიუსკევიჩიუსი), კოზიკასი (64. იაცკუსი), მოროზი (46. კოჩანაუსკასი), ერიომენკო (46. რემეზა), კრასნოვსკისი, პეტკევიჩიუსი (46. ე. იასაიტისი), ბროკასი (73. მაცეზინსკასი).

**სათადარიგოები:** ზაგურსკისი.

**საქართველო:** მაკარიძე - ხატიაშვილი, (80. ხურცილავა), თომაშვილი, ხიდეშელი, კაკუბავა – კლიმიაშვილი, ჯანელიძე, (69. ნემსაძე), დაუშვილი, შონია, გუგავა (61. ბენაშვილი) - ივანიშვილი (75. ჭედია).

**სათადარიგოები:** კვასხვაძე, თევდორაძე.

**არბიტრი:** ა. კანცლერისი (ლიტვა).

**გაძევება:** შონია(85).

"ლიტველებმა ქართველებს სიამოვნება ბოლოს ჩაუმწარეს" ასე დაასათაურა ლიტვურმა ინტერნეტგამოცემა "ფუტბოლასმა" მატჩის მიმოხილვა და შეუძლებელია არ დაეთანხმო. ქართველმა ახალგაზრდებმა ლიტვის ექსპერიმენტულ გუნდთან მთელი შეხვედრა საკმაოდ დამაჯერებლად ჩაატარეს, მეტოქეზე მეტი მომენტი შექმნეს, მაგრამ ბოლო წუთებზე გამარჯვება ხელიდან გაუშვეს.

სანამ უშუალოდ შეხვედრის შესახებ გიამბობდეთ, საინტერესო ფაქტს გეტყვით: საქართველოს ნაკრებს შეცვლაზე ორი მეკარე ჰყავდა (?!) – **როინ კვასხვაძე** და **რეზო თევდორაძე**. ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელია** ხარკოვის "მეტალისტის" თავდამსხმელ **ვახტანგ ფანცხავას** ჩამოსვლას იმედოვნებდა და მხოლოდ 17 ფეხბურთელი წაიყვანა, მათ შორის კი სამი მეკარე გახლდათ - ანუ მხოლოდ თოთხმეტი მოედნის ფეხბურთელი. ფანცხავას ჩამოუსვლელობის გამო გაბელია იძულებული გახდა თევდორაძე მოედნის ფეხბურთელად გაეფორმებინა. ყოველ შემთხვევაში, ლიტვურმა ინტერნეტგამოცემამ მატჩის ოქმი ასე გამოაქვეყნა.

დასაწყისში სახიფათო მომენტები ვერც ერთ გუნდმა ვერ შექმნა. პირველად სახიფათოდ **ვალენტინ ერიომენკომ** შეუტია - ბურთი კარს მცირე მანძილით ასცდა. ქართველებმაც რამდენჯერმე სახიფათოდ ცადეს საჯარიმოში შეჭრა, მაგრამ ბოლო მომენტში მცველებმა ვითარება განმუხტეს.

22-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან **ირაკლი კლიმიაშვილმა** შეუტია, საჯარიმოში **გიორგი ჯანელიძე** მოძებნა, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და თორმეტიოდე მეტრიდან **პოვილას ვალინჩიუსს** შორეულ კუთხეში ბურთი ზუსტად გადაუგდო – 0:1.

ამის შემდეგ ორი რეალური საგოლე მომენტი ჰქონდა ესპანეთის მესამე დივიზიონის "გრანადას" ნახევარმცველ **გიორგი გუგავას**, რომელმაც შეხვედრა საკმაოდ კარგად ჩაატარა. პირველად მან საკმაოდ შორი მანძილიდან მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება სცადა და კარს მცირედ ააცილა.

37-ე წუთზე გუგავა ორ მცველს ლამაზი მოძრაობით გასცდა და ძლიერად დაარტყა - გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ ლიტველთა მეკარემ მშვენიერი რეაქცია გამოავლინა.

ამის შემდეგ, ლიტველები გამოფხიზლდნენ და **ევგენი მოროზმა** 20 მეტრიდან ბურთი ძელს მოარტყა.

"გრანადას" ქართველი ნახევარმცველის მონდომება საბოლოოდ მაინც შედეგიანი აღმოჩნდა: 45-ე წუთზე გუგავა ლიტველთა საჯარიმოში შეიჭრა, ბურთი "ვოლენის" ფორვარდ **გიორგი ივანიშვილთან** გაითამაშა და კომბინაცია თავად დააგვირგვინა – 0:2. ამ ეპიზოდში ლიტველი მცველები აშკარად შეცდნენ და მეტოქის ფეხბურთელი უმეთვალყურეოდ დატოვეს.

მეორე ტაიმში მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვიტალიუს სტანკევიჩიუსმა** ოთხი ფეხბურთელი შეცვალა და ლიტველებმა დასაწყისში შედარებით აქტიურად შეუტიეს.

49-ე წუთზე თავით არაზუსტად დაარტყა **პოვილას კრასნოვსკისმა**. თუმცა მალე ისევ ქართველთა ჯერი დადგა: სამ წუთში ჩვენებურებს რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვერ ისარგებლეს – მცველმა ბურთი კარიდან გამოიტანა.

70-ე წუთზე ქართველთა უპირატესობა კიდევ უფრო სოლიდური გახდებოდა, **ალექსი ბენაშვილის** დარტყმაზე შეცვლაზე შესულ მეკარე **ვიტაუტას ჩერნიაუსკასს** საოცარი რეაქცია რომ არ გამოევლინა.

ამის შემდეგ ბურთი მოედნის ცენტრში ტრიალებდა და თითქოს შეხვედრა ასეც უნდა დასრულებულიყო. მოკლედ, შეხვედრა ჩვენთვის სასურველ კალაპოტში მიმდინარეობდა, მაგრამ 85-ე წუთზე ვითარება შეიცვალა: **თემურ შონიამ** საქართველოს ნაკრების საჯარიმოში კრასნოვსკისი წააქცია, რისთვისაც ლიტველმა არბიტრმა, **აუდრიუს კანცლერისმა** ქართველი ნახევარმცველი მოედნიდან გააძევა, თერთმეტმეტრიანი საჯარიმო კი თავად დაზარალებულმა ზუსტად შეასრულა - 1:2.

ამ ეპიზოდმა ქართველების მძაფრი რეაქცია გამოიწვია – ჩვენები თვლიდნენ, რომ მსაჯმა თავისიანები დაასაჩუქრა.

შეხვედრის დასასრულს კი ლიტველებმა კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს: 90-ე წუთზე **ანდრიუს რაცკუსი** საჯარიმოს მიუახლოვდა და ოცი მეტრიდან დაარტყა. მატჩის ბოლოს წამოსული წვიმა მასპინძლებს დაეხმარა, **გიორგი მაკარიძეს** ბურთი, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს კი გამარჯვება ხელიდან დაუსხლტა - 2:2.

ოთარ გაბელიას გაწვრთნილებს მესამე დამატებულ წუთზე მოგების შანსი კიდევ ერთხელ მიეცათ, მაგრამ 30 მეტრიდან ბენაშვილის უძლიერესი დარტყმული ბურთი კარს სანტიმეტრებში ასცდა.

მატჩის შემდეგ **ოთარ გაბელიას** დავუკავშირდით, რომელიც გულდაწყვეტილი გახლდათ: *„ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ გავიმეორეთ ის, რაც აქამდე ბევრჯერ გვიჩვენებია – თამაში შეგვიძლია, მაგრამ კონცენტრაციის ნაკლებობის გამო ვერ ვიგებთ. თამაში 90 წუთი რომ გრძელდება, ამის შესახებ ფეხბურთელებს მატჩამდე ბევრი ველაპარაკე, რომ ბალტიისპირელებთან მოდუნება სახიფათოა, რომ ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ და ა.შ. "ზესტაფონის" მაგალითიც მოვიყვანე, რომელმაც "ჰელსინბორგს" უყურადღებობის გამო ვერ მოუგო. სამწუხაროდ, ბიჭები მაინც მოეშვნენ და მოგება ხელიდან გავუშვით.*

*თუმცა, ეს მხოლოდ ჩვენი ფეხბურთელების ბრალი არაა. ლიტველმა მსაჯმა სასწაულები გააკეთა, შონია მეტოქეს არც შეხებია, მაგრამ გააგდო და პენალტიც დაგვიდო.*

*მთლიანობაში, მაინც ბევრი პოზიტიური მომენტი დავინახე, რადგან ლიტვა საკმაოდ სოლიდური გუნდი იყო, მაგრამ თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით და ცუდად ნაღდად არ გამოვიყურებოდით".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

რამაზ მუმლაძე

# ფეხბურთელებსაც და მეც ცხვირში დროულად მოგვხვდა



საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ მეორე ტურში „გაგრასთან“ ისეთი ანგარიშით დამარცხდა (0:4), გუნდს და მის ტიტულს რომ არ შეეფერებოდა. რა გასაკვირია, გაჩნდა კითხვა, რა დაემართა გუნდს?

ვეტერინართა მთავარი მწვრთნელი **რამაზ მუმლაძე** დარწმუნებულია, რომ კლუბში კრიზისი არ არის და „გაგრასთან“ კატასტროფულ მარცხს შემთხვევით მოვლენად მიიჩნევს.

**- ბატონო რამაზ, ძნელია ჩემპიონის ასეთი ანგარიშით წაგების ახსნა. თქვენი აზრით, რა მოუვიდა გუნდს?**

- წაგებას ვერ ვეგუები და თავს ცუდად ვგრძნობ. თუმცა გუნდს არაფერი განსაკუთრებული არ სჭირს. უბრალოდ, იმ დღეს „ვიტ ჯორჯია“ არ თამაშობდა და იდგა. თამაშობდა მხოლოდ „გაგრა“. ჩვენ არ გამოგვდიოდა არაფერი, მოწინააღმდეგემ კი აბსოლუტურად ყველაფერი ხუთიანზე შეასრულა. ასეთი რამ ფეხბურთში ძალიან იშვიათია და შედეგიც ლოგიკური გახლდათ.

**- თქვენი აზრით წელს „გაგრა“ გაძლიერდა თუ „ვიტ ჯორჯია“ დასუსტდა?**

- ეს ჩემპიონატის მსვლელობის დროს გამოვლინდება. თუმცა „გაგრა“ აშკარად სიმპათიური გუნდია, ფეხბურთელებმა იბრძოლეს და მათი თავდადება მისაბაძი იყო. მე ვიტყოდი, რომ „გაგრამ“ ალალად მოგვიგო. ყველაზე საწყენი ის არის, რომ არა მარტო დიდი ანგარიშით წავაგეთ, მოწინააღმდეგემ თამაშითაც გვაჯობა. 0:4 ადრეც წაგვიგია, მაგრამ ასეთი კატასტროფული ფეხბურთი არასდროს გვიჩვენებია.

ჩემი ამოცანა უფრო „ვიტ ჯორჯიას“ წაგების მიზეზების გაანალიზებაა და ვფიქრობ, რაში შევცდით ან რა მოგვივიდა. შესაძლოა, კონცენტრაცია არ გვეყო, ფეხბურთელებს საჭირო განწყობა არ ჰქონდათ და ეგონათ, იოლად მოიგებდნენ. რა თქმა უნდა, თამაშით უკმაყოფილო ვარ. ეს არ იყო ის „ვიტ ჯორჯია“, რომელსაც წინა სეზონში ვავარჯიშებდი. ჩემი გუნდი მოედანზე არ ყოფილა. ამის მიუხედავად, უიმედოდ არ ვარ. მთელი ჩემპიონატი წინაა და ერთი წაგების გამო ტრაგედიას არ შევქმნი.

**- კარგით, მაშინ „გაგრასთან“ „ვიტ ჯორჯიას“ ფორმით ვინ ითამაშა?**

- არ ვიცი, ვინ, მაგრამ მე ფეხბურთელები ვერ ვიცანი. აბსოლუტურად ვერც ერთი დავალება ვერ შეასრულეს ან როგორ შეასრულებდნენ, როდესაც მონდომება არ ეტყობოდათ. მეკარე, მცველები და ნახევარმცველები ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ. შესაძლოა, დაცვის იმდღევანდელი სისუსტე ტრავმირებული ჯაფარიძის არყოფნითაც აიხსნება. ამის გამო დაცვაში გადაადგილებები მოხდა და არ არის გამორიცხული, ჩვენი მცველები ამან არია.

**- „ვიტ ჯორჯიამ“ პირველ ტურში დამაჯერებელი ანგარიშით „სამტრედიასაც“ ვერ მოუგო. მათი ფეხბურთელები პირველი ტურის ჩაშლილი შეხვედრის დღეს სამტრედიაში ხაშურიდან უკან მიატრიალეს, მეორე დღეს კი სათითაოდ სახლებში შეკრიბეს – ეგონათ, "ვიტ ჯორჯიას" აღარ ხვდებოდნენ.**

- მე არ ვიცი, სამტრედიელი ფეხბურთელები სად და რა ვითარებაში შეკრიბეს, თუმცა იმ დღეს ჩვენ 2:0 ვიგებდით და ფეხბურთელებთან სასაყვედურო არაფერი მქონდა. უბრალოდ, 2:0-ზე ყურადღება მოვადუნეთ და გოლი ამიტომ გავუშვით.

**- ჩემპიონობის შემდეგ ჩავარდნა თითქმის ყველა გუნდს ჰქონია. თქვენი სიტყვებიდან უნდა დავასკვნათ, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მსგავსი რამ არ სჭირს.**

- „მარიბორთან“ ორივე შეხვედრა კარგად ჩავატარეთ, მიუხედავად იმისა, რომ ორი მატჩის ჯამში გამოვარდით. ფეხბურთელებს ყოველდღიურად ვაკვირდები და ფეხბურთელებს თვითკმაყოფილება არ ეტყობათ. თუმცა, ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები ჩამოვლენ და გუნდის ყველა წევრს მკაცრად დაველაპარაკები, რომ მსგავსი ჩავარდნა აღარ უნდა განმეორდეს.

დამიჯერეთ, „ვიტ ჯორჯია“ ცხვირაწეული ადამიანების გუნდი არ არის. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცა კმაყოფილების გრძნობამ შეიპყრო და მეტოქე არ დააფასა - ამაზეც ვილაპარაკებთ. ეტყობა, ამ ყველაფერში მეც ვარ დამნაშავე. ალბათ იმ დღეს გამარჯვებას მეც რაღაც დავაკელი. თუმცა, ვიმეორებ, ეს დროებითი მოვლენაა და „ვიტ ჯორჯია“ კვლავ ძველებურად ათამაშდება.

ყველაფრის მიუხედავად, წაგება ჩვენთვის სასარგებლო უნდა იყოს. ფეხბურთელებსაც და მეც ცხვირში დროულად „მოგვხვდა“. მხოლოდ მოთამაშეების დადანაშაულება არ მსურს და ეს არც მიყვარს. ჩვენ მშვენიერი მოსამზადებელი ეტაპი გავიარეთ, საკონტროლო შეხვედრები ძლიერ გუნდებთან გვქონდა და კრიზისის არანაირი ნიშნები არაა.

ტრანსფერი

# გიორგი ქელიძე: 1+1 სამსუნში

## ეს ჩემი ბოლო შანსი იყო და გიჟივით ვვარჯიშობდი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **გიორგი ქელიძე** კარიერას თურქეთში გააგრძელებს. 23 წლის ფორვარდმა კონტრაქტი პირველი ლიგის "სამსუნსფორთან" გააფორმა.

როგორ აღმოჩნდა თურქეთში რუსთავის "ოლიმპის" ყოფილი ფორვარდი საკმაოდ მაღალი დონის ლიგაში, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- გიორგი, დიდი ხანია, რაც თურქეთში თამაშობ?**

- ერთი თვის წინ მიმიწვიეს, ამას გასინჯვასაც ვერ დავარქმევ, სულ რაღაც ორიოდე დღე დამაკვირდნენ და კონტრაქტი 1+1 სისტემით გამიფორმეს. ასეთი კონტრაქტი მეც მაწყობდა. "სამსუნსფორი" საკმაოდ დიდი სახელის კლუბია და მიხარია, რომ დიდი ფეხბურთში დამკვიდრების ახალი შანსი მომეცა.

"სამსუნი" უმაღლეს ლიგაში საკმაოდ წარმატებით გამოდიოდა, მაგრამ ფინანსური პრობლემები შეექმნა და პირველ ლიგაში დაქვეითდა. წელს ჩვენი უპირველესი მიზანი უმაღლესში დაბრუნებაა. ძალიან მაგარი გულშემატკივრები ჰყავს, ვარჯიშებზე 300-400 კაცი მაინც დადის. ამდენი გულშემატკივარი საქართველოში თამაშზე გვენატრებოდა.

**- თურქეთის პირველ ლიგაში ლეგიონერის ჩარიცხვა აკრძალული იყო. შენს შემთხვევაში გამონაკლისი დაუშვეს?**

- გამონაკლისი არაფერ შეუაშია, უბრალოდ, 23-წლამდელი უცხოელის ჩარიცხვა დაუშვეს.

**- თურქეთის პირველი ლიგა უკვე საკმაოდ მაღალი დონისაა და ალბათ საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ დამკვიდრება იოლი არ იქნება.**

- მთავარია, მონდომო და ყველგან ითამაშებ. ჩათვალე, რომ ისე ვგრძნობ თავს, როგორც სახლში – გუნდში თბილად მიმიღეს და შეგუება არ დამჭირვებია. მეგობრულ გუნდში მოვხვდი და სამსუნშიც კარგი ხალხი ცხოვრობს.

რაც შეეხება დატვირთვებს, მშვენივრად ვიტან და არანაირად არ გამჭირვებია. ან როგორ ვერ შევეგუებოდი, საქართველოს თასის ფინალის შემდეგ, მხოლოდ ერთი დღე დავისვენე, სულ ვვარჯიშობდი. მოკლედ, თურქეთში მომზადებული ჩავედი. თუმცა, მთავარი არა ფიზიკური, არამედ ჩემი ფსიქოლოგიური მომზადება იყო. გადავწყვიტე, თუკი თურქეთში არ დამტოვებდნენ, კარიერის ვასრულებდი. როდესაც 23 წლის ფეხბურთელი საქართველოს გარეთ არავის სჭირდები, გამოდის, თამაში არ შეგიძლია. ჩვენს ჩემპიონატში თამაში კი აღარ მსურდა. ახლა ღმერთმა მეორე შანსი მომცა და აუცილებლად უნდა გამოვიყენო.

**- შანსი მოსკოვის "ლოკომოტივში" ჩარიცხვის დროსაც გქონდა – სიზარმაცის გამო ვერ გამოიყენე?**

- არანაირი სიზარმაცე, ეს იყო უიღბლობა, სხვა არაფერი. ტრავმა ისეთ დროს მივიღე, რუსულ ფეხბურთს რომ შევეჩვიე და მეგონა, დამკვიდრებას ვიწყებდი. 2007 წელს "ლოკომოტივში" ცხრა შეხვედრა ჩავატარე და კუნთი გამიწყდა. მკურნალობის შემდეგაც ვითამაშე, გოლიც გავიტანე, მაგრამ ბიშოვეცს არ დავჭირდი.

გამანათხოვრეს ლუგანსკის "ზარიაში", შემდეგ იყო ისევ "ლოკომოტივი", რახიმოვმა თავისი ხალხი აიყვანა და გამიშვა. რაც გამკვირვებია, რუსეთში საუკეთესო ასათიანი სკამზე დასვა. ასეთ გაუგებარ გადაწყვეტილებებს იღებდა.

ამის შემდეგ საქართველოში დავბრუნდი, "ზესტაფონში" ნახევარი სეზონი ჩავატარე და ანატოლი დემიანენკომ "ნეფთჩიში" მიმიწვია. უიღბლობა იქაც მეწია - დემიანენკო მოხსნეს, გუნდიც გადაახალისეს. ისევ „ზესტაფონში" დაბრუნება მსურდა, მაგრამ გია გეგუჩაძემ ჯერ გასინჯვა შემომთავაზა, ამიტომ "ოლიმპში" გადავედი. მოკლედ, კლუბი ბევრჯერ შევიცვალე და ესეც ხელს მიშლიდა. იმედია, თურქეთში მაინც დავლაგდები და შესაძლებლობებს გამოვავლენ.

**- გუნდში სხვა ქართველი არ თამაშობს. რაც არ უნდა კარგად მიგიღონ, უცხო ქვეყანაში მარტოობა ძნელია.**

- ძნელია, ენის უცოდინრობის გამო უფრო მიჭირს, მაგრამ სხვა რა გზაა? უნდა შევეჩვიო.



გიორგი ქელიძე

## დღეს თასის კენჭისყრაა



პროფესიული ფეხბურთის ლიგის ვებ-გვერდის ინფორმაციით, დღეს 13 აგვისტოს, 14:00 საათზე ლიგის ოფისში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის 1/16 ფინალური მატჩების კენჭისყრა გაიმართება.

კენჭისყრას პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** და საშეჯიბრო სამსახურის უფროსი **ნოდარ კაკულია** პროცედურას გაუძღვებიან.

1/16-ში ორის ნაცვლად, თითო მატჩი გაიმართება. მასში არ მონაწილეობს ის ოთხი გუნდი, რომლებმაც ევროტურნირებზე ითამაშეს - ისინი გათამაშებას 1/8-დან შეუერთდებიან.

1/16-ის წილისყრა (ისევე როგორც 1/8 ფინალის) რეგიონული პრინციპით ჩატარდება, რაც პფლ-მ შემდეგნაირად დაასაბუთა - ასე კლუბებს მგზავრობისა და სხვა ხარჯები შეუმცირდებათ.

1/16 ფინალში სულ ორ კალათაში გადანაწილებული 24 გუნდი ითამაშებს. პირველ კალათაში ევროთასების მიღმა დარჩენილი 6 უმაღლესლიგელი და გასულ სეზონში პირველი ლიგის დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში 6 საუკეთესო გუნდი ითამაშებს.

მეორე კალათაში კი პირველი და მეორე ლიგის დარჩენილი 12 კლუბი მოხვდა. მეორე კალათის გუნდები პირველი კალათის გუნდებს უმასპინძლებენ. ეს გერმანული სისტემაა და სუსტი გუნდების წახალისებას ემსახურება. სისტემა თავისთავად საინტერესო და მისასალმებელია.

1/8-ის კენჭისყრა კი უმაღლეს ლიგის მე-10 ტურის შემდეგ ჩატარდება.

## ვალტერ ხორგუაშვილი ანჟიში?

ახალციხის "მესხეთის" მარცხენა მცველი **ვალტერ ხორგუაშვილი** მახაჩყალის "ანჟიში" ისინჯება. ვალტერი სეზონის დაწყებამდე "გაგრაში" ვარჯიშობდა, კონტრაქტის გაფორმებაც შესთავაზეს, მაგრამ კლუბში შევიტყვეთ, რომ მანამდე ვალტერს და მის ტყუპისცალ **პავლე ხორგუაშვილს** აზერბაიჯანის მესამეადგილოსან ზაქათალის "სიმურგში" ჩარიცხვით აიმედებდნენ, მაგრამ კლუბში ვარჯიშის საშუალება არ მისცემიათ.

პავლემ "გაგრასთან" კონტრაქტი გააფორმა, ვალტერი კი მახაჩყალაში მოწყობას იმედოვნებს. თუკი ეს ვარიანტი ჩაიშალა, შესაძლოა, მცველი "გაგრაში" დაბრუნდეს.

## გოჩაშვილი ვიტას მწვრთნელია

ცნობილი ფეხბურთელი **ლადო გოჩაშვილი** "ვიტ ჯორჯიაში" დაბრუნდა. ამის თაობაზე კლუბის ვებ-გვერდი იუწყება. "ჟომას", რომელიც ვეტერინათა შემადგენლობაში დიდი ხანი გამოდიოდა, ბოლოს "ბორჯომსა" და "მესხეთში" ტამაშობდა და კარეიერა 33 წლის ასაკში დაასრულა. მას „ვიტ ჯორჯიას" დუბლებში მოუწევს მუშაობა, სადაც მთავარი მწვრთნელი **მერაბ კოჭლაშვილია**.

კარგა ხნის პაუზის შემდეგ, პროფესიული ფეხბურთის ლიგამ, უმაღლესი ლიგის რეზერვისტების ჩემპიონატი აღადგინა და უმაღლესლიგელებს მეორე გუნდების დაკომპლექტება მოუხდათ.

გოჩაშვილი „ვიტ ჯორჯიას" მაისურით რვა სეზონი თამაშობდა (1997-2005 ) და ეროვნულ პირველობაზე ჩატარებული შეხვედრებიოთ გუნდი რეკორდსმენი (213 მატჩი) და საიუბილეო მე-100 გოლის ავტორია.

სხვათა შორის, ლადოს მწვრთნელობა ჯერ კიდევ შარშან შესთავაზეს, რაზეც "ლელო" წერდა კიდეც, თუმცა, მაშინ გოჩაშვილმა კარიერის დასრულება ნაადრევად ჩათვალა და კიდევ ერთი სეზონი ითამაშა.

## დინამო გაგრას 25 აგვისტოს უმასპინძლებს

ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში, თბილისის "დინამოსა" და "გაგრას" შეხვედრა არ შედგა. იცით, რომ ეს შეხვედრა 2 აგვისტოს უნდა გამართულიყო, მაგრამ თბილისის "დინამოს" ევროპის ლიგის თასზე ასპარეზობის გამო გადაიდო. მიზეზი ყველასათვის ცნობილია: მატჩის სხვა დროისთვის გამართვა თბილისელებმა "ცრვენა ზვეზდასთან" შეხვედრის გამო მოითხოვეს.

თუმცა დღემდე უცნობი იყო, როდის გაიმართებოდა მატჩი. ამის თაობაზე გუშინ კი ინფორმაცია "გაგრას" ვებ-გვერდზე აღმოვაჩინეთ.

კლუბის პრესატაშე **მიხეილ აფხაზავა** იუწყება, რომ 25 აგვისტოს "გაგრა" თასის მეთექვსმეტედფინალურ შეხვედრას არ ითამაშებს, რადგან სწორედ ამ დღეს დაინიშნა ეროვნულ სტადიონზე "დინამოსთან" გადატანილი შეხვედრა.

სათასო თამაშს კი "გაგრა" 16 სექტემბერს გამართავს – ეს პროფლიგის გადაწყვეტილებაა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

საქართველოს ჩემპიონატი

# დინამოში ორი ახალწვეულია

ქართული გუნდებიდან ევროტურნირებს ყველაზე „გვიანობამდე" თბილისის „დინამო" შემორჩა. რა თქმა უნდა, ყველას გული დაგვწყდა, როცა ჩვენმა ერთადერთმა წარმომადგენელმა სერბულ „ცრვენა ზვეზდასთან" მტკივნეული მარცხი იწვნია. ჰო, ნაგება არასდროს გვსიამოვნებს, მით უფრო, როცა პირველი მატჩი 2:0 გაქვს მოგებული და მეტოქეც უშანსოდ არის დატოვებული; ეგ კი არა, განმეორებითი შეხვედრაც, თავდაპირველად, სწორედ ისე წარიმართა, თითოეულ ქართველ ქომაგს თავისი საყვარელი გუნდი უკვე... მომდევნო ეტაპზე რომ ეგონა. თითქმის ერთი კვირა გავიდა იმ ბელგრადული კოშმარის შემდეგ, მაგრამ მაინც ვერაფრით აგვიხსნია მოვლენების ისეთი განვითარება, როცა, ფაქტობრივად, განწირულმა მეტოქემ თამაში სათავისოდ შემოატრიალა...

...ვიცით, რომ დინამოელთა უმეტესობა ახალგაზრდაა და საერთაშორისო ასპარეზზე გამოცდილებაც არა აქვთ; ისიც, დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, რომ მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში საკმაოდ მოკლე სათადარიგოთა სკამი იყო. ამას გარდა, როგორც შევიტყვეთ, სერბები ჩვენს გუნდს, თურმე, არნახულად ცუდად დახვდნენ. არც არავინ იფიქროს, რომ „დინამოს" დამარცხების მიზეზებს ვეძებდეთ, უბრალოდ, გვინდა, ფართო საზოგადოებამაც იცოდეს სერბული „სტუმართმოყვარეობის" შესახებ.

ჰო, დაწყებული... ბელგრადის აეროპორტიდან, გაგრძელებული იქ ყოფნის ორი დღის განმავლობაში და დასრულებული სტადიონზე! თავად განსაჯეთ: მატჩის მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, „მარაკანას" ტრიბუნებიდან... „როსია", „როსია-ს" შეძახილი თამაშის ბოლომდე არ გაჩერებულა. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ იქაური წესრიგის დამცველებიც არ ერიდებოდნენ შეურაცხმყოფელ ჟესტებსა თუ ფრაზებს. კიდევ ვიმეორებთ, ყოველივე ზემოთქმული ნამდვილად ვერ გაამართლებს იმ უამრავ, მართლაც, ბავშვურ თუ კურიოზულ შეცდომას, ჩვენმა ფეხბურთელებმა რომ დაუშვეს მთელი მატჩის განმავლობაში. უბრალოდ, ალბათ, იმის დროც მოვიდა, რომ „ცოტა" ჩვენც ვისწავლოთ... საკმარისი მასპინძლობა. რა თქმა უნდა, იმას არ ვგულისხმობთ, რომ აქ ჩამოსული გუნდის ფეხბურთელებსა თუ დელეგაციის წევრებს, უკაცრავად და, ვაგინოთ და ვაფურთხოთ, მაგრამ, ზედმეტად რომ არ უნდა გადავყვეთ, ეგეც ფაქტია...

ახლა კი, ალბათ, დროა, „დინამოს" ბოლოდროინდელ სიახლეებს დავუბრუნდეთ. უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი „სატრანსფერო ბაზარზე" კონკურენტებთან შედარებით აშკარად პასიურობდა. უფრო ზუსტად, წინასასეზონო მზადების დროს რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელი (ბრაზილიელი, ნიგერიელი, ორი კამერუნელი) კი ჩამოიყვანეს, მაგრამ ამ პოტენციურ ახალწვეულებს საკმარისი იყო, გუნდთან ერთად ევარჯიშათ, რომ მესამე თუ მეოთხე დღეს... უკანა გზაზე დასაბრუნებელი ბილეთებიც მზად ჰქონდათ. ერთი მხრივ, ასეც უნდა ყოფილიყო და ამ შემთხვევაში ვეთანხმებით „დინამოს" მთავარი მწვრთნელის **კახა კაჭარავას** პრინციპულ პოზიციას: *„ჩვენს გუნდში თუ ვინმე უცხოელი ჩაირიცხება, აქაურს, „ათი თავით" მაინც უნდა აღემატებოდეს..."*

უკანასკნელად „დინამოში" ბელგიელი **დამიან მიკელი** და ხორვატი **ანტე იურიევიჩი** ისინჯებოდნენ. თანაც, ორივე იმ ამპლუის ფეხბურთელი იყო, დღევანდელ „დინამოში" ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურად რომ მიიჩნევა. სამწუხაროდ, ბელგიელიც და ხორვატიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, თბილისიდან გაემგზავრნენ და აი, „დინამოში" კვლავაც ორი პოტენციური ახალწვეულია: 25 წლის **სტევან სტოშიჩი** (სერბეთი) და 28 წლის **იური ქსენზოვი** (ლატვია). სტოშიჩმა უკვე ორი ვარჯიში ჩაატარა „დინამოსთან" ერთად, ქსენზოვი კი პირველად გუშინ გამოჩნდა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. ზემოთ, პრობლემატური პოზიციები შემთხვევით არ გვიხსენებია და, რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს, ჩვენზე უკეთ, „დინამოს" სამწვრთნელო შტაბსა თუ ხელმძღვანელებსაც მოეხსენებათ. ჰოდა, ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტეს გამთამაშებელ სტოშიჩისა და მარცხენა მცველის ქსენზოვის გასინჯვა. სტოშიჩი უკანასკნელი სამი სეზონი ესპანურ „მალაგაში" ირიცხებოდა, მანამდე კი სერბეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და ბელგრადის ოფკ-ის ღირსებას იცავდა. რაც შეეხება ქსენზოვს, ბოლო ხუთი სეზონი ლატვიის უმაღლესი ლიგის გუნდში „იურმალაში" თამაშობდა. ვნახოთ, რამდენად მოაწონებენ თავს „დინამოს" მწვრთნელებს მორიგი ახალწვეულები, თუმც კი, ერთ რამეში, ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება: საქართველოს თასის მფლობელს, შემადგენლობის გაძლიერება ნამდვილად ესაჭიროება!

დაბოლოს, მთავარი სიახლეც: დაახლოებით ორკვირიანი „გაუჩინარების" შემდეგ თბილისის „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე... **დონალდ ჯუისი** გამოჩნდა! შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა კამერუნელმა ფორვარდმა (აქ ყოფნის განმავლობაში, ყურადღება და პატივისცემა რომ არ მოჰკლებია), ყველასათვის მოულოდნელად, გუნდი თვითნებურად მიატოვა. მიზეზად, კამერუნის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახება დასახელდა, თუმცა, ყოველივე ეს ხომ ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების წინ მოხდა! და აი, ჯუისი თბილისში დაბრუნდა; მართალია, „დინამოს" ხელმძღვანელებს კამერუნის ფეხბურთის ფედერაციიდან ოფიციალური დოკუმენტი მოუვიდათ, რომ ჯუისი ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე იმყოფებოდა. თუმცა, ამის მიუხედავად, აბსოლუტურად ვეთანხმებით „დინამოს" ხელმძღვანელთა პრინციპულ პოზიციას: ჯუისს სერიოზული ფინანსური სანქცია დაედო და ამ ეტაპზე, გუნდთან ერთად ვერც ითამაშებს და ვერც ივარჯიშებს!..

**გია ტუხაშვილი**



იური ქსენზოვი და სტევან სტოშიჩი

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | კვალინიძე (?) | კახელიშვილი (ლოკომოტივი) |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | **ოვონო** (ლემანი, საფრანგეთი), გველესიანი (?), **ტომიჩი** (?), სპასოევიჩი (?), ჯუისი (?) | **სომხიშვილი** (მგლები), **დოლიძე** (სიმურგი, აზერბაიჯანი), სტოშიჩი (სერბეთი), ქსენზოვი (ლატვია) |
| ოლიმპი<br>ოთარ კორღალიძე | **ვ. კილასონია (მთ. მწვრთნელი), მეგრელაძე** (შურტანი, უზბეკეთი), **გ. ონიანი** (ზესტაფონი), **გ. დეკანოსიძე, ქუცურუა, ახალაია, აკუასაგა, სირბილაძე, გილაური** (ირანი), **მიკუჩაძე, გ. ჩხეტიანი** (ორივე ისრაელი), **თ. ლონლაძე** (სიმურგი, აზერბაიჯანი), **ფიფია, ჩიკვილაძე, სტურუა, გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე, ხუბუა** (ხუთივე სიონი), **გ. ნოდარის ძე ჭელიძე** (სამსუნი, თურქეთი) | **ო. კორღალიძე** (მთ. მწვრთნელი, სიონი), **ზ. ჭელიძე** (სიონი, იჯარით), **ლომიძე** (ლოკომოტივი), **ალექს ფრაგა, ჟოზე ჩოკო, ჟონატას კარდოზო, ანდერსონ აკინო, ჟერონიმო** (ხუთივე ატლეტიკო პარანაენსე), **გრ. ჭანტურია** (სიონი), **ფოფხაძე** (ლოკომოტივი), **ს. თოდუა** (ზესტაფონი), **გ. თოდუა** (მგლები), **იმედაშვილი** (ნიერიდიპაზა, უნგრეთი) |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | **კაკალაძე, კვესიეშვილი** (ორივე - სამტრედია), **ბოიომო** (სპარტაკი), **ლ. მელქაძე, ჩასემი (?), ს. თოდუა** (ოლიმპი) | **აფციაური** (გაბალა, აზერბაიჯანი), **გ. ონიანი** (ოლიმპი), **დვალი** (დაჩია, მოლდოვა), **ელიავა** (სკონტო, ლატვია), **მეშველიანი, ცხადაია (გაგრა), ლ. კორღალიძე** (დაჩია, მოლდოვა) |
| სიონი<br>თემურ მახარაძე | **ო. კორღალიძე** (მთ. მწვრთნელი, ოლიმპი), **ზ. ჭელიძე** (ოლიმპი, იჯარით), **ალადაშვილი** (კარიერა დაასრულა), **შალამბერიძე, დიდავა, რ. გოცირიძე** (სამივე სპარტაკი), **გრ. ჭანტურია** (ოლიმპი), **შავგულიძე, ჯ. მუჯირი, კაკაშვილი, ი. შენგელია, სანიკიძე** | **თ. მახარაძე** (მთ. მწვრთნელი), **ქურასბედიანი, ოქროპირიძე** (ორივე სპარტაკი), **ა. ალავიძე** (უგუნდოდ), **ზ. ავალიანი** (უზბეკეთი), **ზუხბაია** (?), **ფიფია, ჩიკვილაძე, სტურუა, გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე, ხუბუა** (ხუთივე ოლიმპი), **გოგობერიშვილი** (ოლიმპიკი, აზერბაიჯანი), **მახვილაძე** (სიმურგი, აზერბაიჯანი), **ლ. ნოზაძე** (გაგრა), **სილაგავა, კობაური** (უგუნდოდ) |
| ლოკომოტივი<br>გელა სანაია | **ზამთარაძე, კიკნაძე** (მთავარი მწვრთნელები), **კახელიშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ლომიძე** (ოლიმპი), **ჩირიკაშვილი** (სპარტაკი), **გ. ლომაია** (ინტერი, აზერბაიჯანი), **შ. კვანტალიანი** (გაგრა), **კ. მახარაძე** (უზბეკეთი), **ფოფხაძე** (ოლიმპი) | **სანაია (მთავარი მწვრთნელი), ხატიაშვილი, ტიკურიშვილი,** (ორივე ამერი), **ქვილითაია** (მარტვილი), **ზ. დათუნაშვილი** |
| გაგრა<br>ვიქტორ კაშჩეი | **კოზლენკო, ცხადაძე** (სპარტაკი), **ლ. ნოზაძე, ცხადაია** (ზესტაფონი), **ჩარგეიშვილი** | **პავლიაშვილი** (ბორჯომი), **შ. კვანტალიანი** (ლოკომოტივი), **ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი** (ორივე სამტრედია), **ნადირაშვილი** (ამერი), **ბერბატი** (უკრაინა), **კილაძე** (გურია), **რაქვიაშვილი** (მგლები), **პ. ხორგუაშვილი** (მესხეთი), **ელბაქიძე, მ. ჯიშკარიანი** (ორივე ამერი), **კობერიძე** |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **გაბელაია** (მთავარი მწვრთნელი), **სირბილაძე** (?), **ოქროპირიძე, ქურასბედიანი** (ორივე სიონი), **მეტრეველი, გ. იაშვილი, თურმანიძე, შ. ლონლაძე, კოდალაევი, მგალობლიშვილი, თარხნიშვილი, ჯანგიძე** (სამტრედია), **ბ. ხაჭიპერაძე** (სამტრედია) **ქორიძე** (სამტრედია), **შ. ჯიქია** (?) | **ხაჩიძე** (მთავარი მწვრთნელი), **ჩირიკაშვილი** (ლოკომოტივი), **ბათიაშვილი** (მესხეთი), **ბოიომო** (ზესტაფონი), **ჩალაძე** (მარტვილი), **კბილცეცხლაშვილი** (თბილისი), **შალამბერიძე** (სიონი), **ცხადაძე** (გაგრა), **კეტაშვილი** (ყაზახეთი), **შ. ჯიშკარიანი** (აზერბაიჯანი), **დიდავა, რ. გოცირიძე** (ორივე სიონი), **შეყრილაძე** (ბორჯომი), **ლ. დეკანოსიძე** (ბატე, ბელარუსი), **გვენცაძე** (ამერი), **ოდიკაძე** (დიორ ეტო, უნგრეთი), **პ. დათუნაიშვილი** (მგლები) |
| ბაია<br>ბესიკ შეროზია | **სომხიშვილი** (დინამო), **ბაკარანძე** (სამტრედია), **ჭედია, ჯოჯუა, მალიჩავა, ჟიშკარიანი, ა. ბაჯელიძე, ხუხია, ჭითანავა, ჭკადუა, ინჯგია, პ. დათუნაიშვილი** (სპარტაკი), **რაქვიაშვილი** (გაგრა) | **მაქაცარია, ზ. ექონია, გუგუჩია, პაჭკორია, ზარქუა, კვეკვესკირი, სვირავა, ქვარცხავა, აფაქიძე, ჟვანია, ვართაგავა, გ. ქირია, ნ. შონია, სიხარულია, წურწუმია, დ. კუტალია, რაფავა, ძალამიძე** (ყველა ბაია), **ხუციძე** (ამერი), **ჩისამბა ლუნგუ** (ზამბია), **ჯეკ დენიელი** (კამერუნი), **კუკავა** |
| სამტრედია<br>ვალერიან ჩხარტიშვილი | ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი (ორივე - გაგრა) | **ბაკარანძე** (მგლები), **კაკალაძე, კვესიეშვილი** (ორივე - ზესტაფონი), **ჩომახიძე** (მარტვილი), **ხარძეიშვილი** (ხობი), **ლ. ვაშაკიძე** (მესხეთი), **ფირცხალავა** (ზაკარპატიე, უკრაინა), **ქორიძე ბ. ხაჭიპერაძე, ჯანგიძე** (სამივე სპარტაკი) |

შენიშვნა: მუქი შრიფტით გამოყოფილია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონატი 2010 — შესარჩევი ეტაპი (ევროპა)

# ოსლო: სკოტთა ოცნებების სასაფლაო

## ფრანგთა მძიმე ტორსჰავნული


ფარერები-საფრანგეთი.

საფრანგეთის ნაკრებმა შორეულ ჩრდილოეთში, ფარერებზე მძიმე გამარჯვება მოიპოვა. **რაიმონ დომენეკის** გუნდმა ტორსჰავნში ცალკარა გამართა, მაგრამ **ტიერი ანრის** გარეშე დარჩენილ ნაკრებს გოლის გატანა გაუჭირდა. პირველი წუთებიდან ფრანგები უტევდნენ და უტევდნენ, მატჩი კი უფრო „მამლების" კარში დარტყმებში ვარჯიშს ნაავავდა. პირველი საგოლე მომენტი ფრანგთა გამთამაშებელ **იოან გურკუფს** მე-18 წუთზე შეექმნა, ბურთს რიკოშეტმა შეუშალა კარში ნასულიყო. **ნიკოლას ანელკამ** და შეტევაში მისმა მეწყვილე **პიერ-ანდრე ჟინიაკმა** ბევრი მომენტი გაანიავეს, სანამ ეს უკანასკნელი სამიზნეს გაისწორდებდა. ეს 42-ე წუთზე მოხდა, ჟინიაკმა კარიერაში პირველი გოლი გაიტანა საფრანგეთის ნაკრების მაისურით. სწორედ ამ გოლის წყალობით მეორე ადგილზე მყოფი საფრანგეთი უკვე 4 ქულით უსწრებს მდევარს და არც სერბეთთან ჩამორჩენა მოჩანს უიმედოდ - სერბები 5 ქულით წინ არიან, მაგრამ ფრანგებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ გამართული.

მეორე ტაიმიც იმავე სცენარით გაგრძელდა თამაში, ერთი განსხვავებით ახლა ჟინიაკმაც ვერ შეძლო მასპინძელთა გოლკიპერის **მიკელსენის** დამწუხრება. მიკელსენმა მას ორი დუელი მოუგო, მანამდე კი **ტულალანმა** და **მალუდამ** საგოლე მომენტები გაანიავეს. მუხლის ტრავმით გატანჯული **ფრანკ რიბერის** გამოჩენა მეორე ტაიმში სწორედ შემტევების თამაშით დომენეკის უკმაყოფილებას უნდა მივაწეროთ. ფრანგთა მწვრთნელი აცხადებდა, რომ რიბერის მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყვანდა, თუ გაუჭირდებოდა. ფაქტია, რომ საფრანგეთის ნაკრებმა ვერ შეძლო უპირატესობის გოლებში ასახვა, თუმცა მთავარ მიზანს მაინც მიაღწია - 3 ქულა მოიპოვა.

ბაქოში გერმანიის ნაკრების ჩასვლას უდიდესი აჟიოტაჟი მოჰყვა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ გერმანელთა ყოფილ თავკაც **ბერტი ფოგთსს** არ ჰქონდა საიდუმლო იარაღი **ლიოვის** გუნდის წინააღმდეგ, აკი არც მატჩის წინ გამოირჩეოდა აზერბაიჯანელთა დამრიგებელი ოპტიმიზმით. ფოგთსი აცხადებდა, რომ გოლი გერმანიის ნაკრების კარში დიდებული იქნებოდა, აზერბაიჯანმა ეს ვერ შეძლო, თუმცა საკუთარ კარშიც მხოლოდ ორი (იმდენი, რამდენიც გუშინ ჩვენ მალტამ გაგვიტანა) გაუშვა. გერმანიას დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მე-12 წუთის შემდეგ, როცა ანგარიში **ბასტიან შვაინშტაიგერმა** გახსნა, 55-ე წუთამდე სტუმართა გუნდს გოლის გატანა გაუჭირდა. 55-ე წუთზე კი თავი **მიროსლავ კლოზემ** გამოიჩინა - 2:0. იმავე კლოზეს მანამდე გოლის გატანის კიდევ 2 ბრწყინვალე შანსი მიეცა, ერთხელ მან ახლო მანძილიდან თავური ლამის ცარიელ კარს ააცილა. ახლა გერმანიის ნაკრები ჯგუფში 4 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ რუსეთს. სხვათა შორის, აზერბაიჯანელებს ყრუ დაცვისთვის არ მიუმართავთ, მასპინძლები ცდილობდნენ, რაც შეეძლოთ, თუმცა საქმე აშკარა საგოლე მომენტამდე არ მისულა. ფავორიტმა მისია წარმატებით შეასრულა - ბაქოდან 3 ქულა წაიღო.

ოსლოში შოტლანდია ფავორიტის რანგში ჩავიდა, მაგრამ ბოლოადგილოსანთან 0:4 შერცხვა. როგორც მატჩის შემდეგ სკოტთა თავკაცმა **ჯორჯ ბარლიმ** თქვა, ყველაფერი მათთვის ცუდად განვითარდა. 35-ე წუთზე **გერი კოლდველმა** ძალიან უხეშად მოცელა **მორტენ გამსტ პედერსენი** და შოტლანდია 10 კაცის ამარა დატოვა. სწორედ „ბლექბერნის" ნახევარმცველმა შეასრულა დუბლი **მარშალის** კარში, რომელიც ტრავმირებულ **კრეიგ გორდონს** ცვლიდა. ამ გამარჯვებით ნორვეგიის ნაკრები მე-2 ადგილისთვის ბრძოლაში ჩაება.

მინსკური შეხვედრა ბელარუსის და ხორვატიის ნაკრებებს შორის ძალიან ბევრს წყვეტდა. თუმცა ბელარუსთა გუნდისა და მათი კაპიტნის **ალექსანდრ გლების** ამბიციებს წერტილი „ბაიერნის" ფორვარდმა **ივიცა ოლიჩმა** დაუსვა, რომელმაც დუბლი შეასრულა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მეორე გოლი, ოლიჩმა 83-ე წუთზე **ივან რაკიტიჩის** პასის წყალობით გაიტანა და ამ შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობაც გამოავლინა - 3:1. ერთი გოლი „არსენალის" ფორვარდის **ედუარდო და სილვას** ანგარიშზეა.

მე-3 ჯგუფში სლოვენიის ნაკრებმა დაგეგმილი 3 ქულა უსუსტესი სან მარინოს 5:0 განადგურებით მოიპოვა. სლოვენიამ ერთბაშად ორი ადგილით ისკუპა ჯგუფის ცხრილში ზემოთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### III ჯგუფი

**სლოვენია-სან მარინო 5:0**

გოლები: 1:0 კორენი (19), 2:0 რადოსავლიევიჩი (39), 3:0 კირმი (54), 4:0 კორენი (74), ლიუბიანკიჩი (93)

სლოვენია: ჰანდრანოვიჩი, ბრეჩკო, სულერი, სესარი, კორენი, ლიუბიანკიჩი, ბირსა, იოკიჩი, პეჩნიკი (46. კირმი), ველიკონია (72. ნოვაკოვიჩი), რადოსავლიევიჩი (ბაჩინოვიჩი)

სან მარინო: ა. სიმონჩინი, ფ. ვიტაიოლი (59. მ. ვიტაიოლი), ნანინი, ვანუჩი (66. ალბანი), დელა ვალე, დ. სიმონჩინი, ჩიაკი, ბული, მარანი (79. ბონინი), ბერეტი, ანდრეინი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 17-6 | 15 |
| 2. ჩრ. ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 13 |
| 3. სლოვენია | 7 | 3 | 2 | 2 | 10-4 | 11 |
| 4. პოლონეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 18-7 | 10 |
| 5. ჩეხეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-4 | 8 |
| 6. სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 1-37 | 0 |

### IV ჯგუფი

**აზერბაიჯანი-გერმანია 0:2**

გოლები: 0:1 შვაინშტაიგერი (12), 0:2 კლოზე (54)

აზერბაიჯანი: ველიევი, მალიკოვი, იუნისოღლუ, შუკუროვი, ალაჰვერდიევი, ჯავადოვი, ჩერტოგანოვი, აბასოვი, მამადოვი, სადიგოვი, ნადიროვი (75. ახტიამოვი).

გერმანია: ენკე, შაფერი, ტასკი, შვაინშტაიგერი, კლოზე (75. კაკაუ), ბალაკი, ტროხოვსკი (77. იანსენი), ჰიცშპერგერი, ლამი, მერტეზაკერი, გომესი (84. იოზილი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 7 | 6 | 1 | 0 | 20-4 | 19 |
| 2. რუსეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 12-3 | 15 |
| 3. ფინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-10 | 10 |
| 4. უელსი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-7 | 9 |
| 5. აზერბაიჯანი | 6 | 0 | 1 | 5 | 0-7 | 1 |
| 6. ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-15 | 1 |

### VI ჯგუფი

**ბელარუსი-ხორვატია 1:3**

გოლები: 0:1 ოლიჩი (22), 0:2 ედუარდო (69), 1:2 ვერხოვცოვი (81), 1:3 ოლიჩი (83)

ბელარუსი: ჟევნოვი, კულჩი, კალაჩევი, იურევიჩი, ოლემიანჩუკი, კორნილენკო (70. როდიონოვი), გლები, კუტუზოვი (85. ბლიზნიუკი), კაშევსკი (54. კოველი), სოსნოვსკი, ვერხოვცოვი.

ხორვატია: რუნიე, შიმუნიჩი, კრიჟანაცი (46. რაკიტიჩი), ჩორლუკა, პრანჯიჩი, კრანჩარი (66. მანძუკიჩი), ედუარდო (88. იურიჩი), მოდრიჩი, სრნა, ვუკოევიჩი, ოლიჩი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 7 | 7 | 0 | 0 | 26-4 | 21 |
| 2. ხორვატია | 7 | 4 | 2 | 1 | 15-7 | 14 |
| 3. უკრაინა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-6 | 11 |
| 4. ბელარუსი | 6 | 3 | 0 | 3 | 15-10 | 9 |
| 5. ყაზახეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 7-22 | 3 |
| 6. ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 2-25 | 0 |

### VII ჯგუფი

**ფარერები-საფრანგეთი 0:1**

გოლი: 0:1 ჟინიაკი (42)

ფარერები: მიკელსენი, ნაესი, დავიდსონი, გრეგერსენი (39. პეტერსენი), ბო, დანიელსენი, ბენიამინსენი, სამუელსენი, ოლსენი (84. ბორგი), ჰოლსტი (28. ედმუნდსონი), ლოკინი.

საფრანგეთი: ლორისი, სანია, ესკუდე, გალასი, ლ. დიარა, გურკუფი, ანელკა, ჟინიაკი, ევრა, ტულალანი, მალუდა (65. რიბერი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 15-5 | 18 |
| 2. საფრანგეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-6 | 13 |
| 3. ლიტვა | 7 | 3 | 0 | 4 | 6-6 | 9 |
| 4. ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 5. რუმინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 6. ფარერები | 6 | 0 | 1 | 5 | 1-8 | 1 |

### IX ჯგუფი

**ნორვეგია-შოტლანდია 4:0**

გოლები: 1:0 ი. რიისე (36), 2:0 პედერსენი (45), 3:0 ჰუსეკლეპი (60), 4:0 პედერსენი (92)

ნორვეგია: კნუდსენი, ჰოგლი, ვაელერი, ჰანგელანდი, ი. რიისე, ბ. რიისე (85. სკიელბრედი), ჰოსეტი, კარეუ (84. ჰელშტადი), პედერსენი, გრინდჰეიმი, ჰუსეკლეპი (76. ივერსენი).

შოტლანდია: მარშალი, ჰატონი, დევიდსონი, ს. კოლდველი (48. მაკფადენი), გ. კოლდველი, გრემი, ფლეტჩერი, ბრაუნი, მილერი, კომონსი, მაკორმაკი (37. ბერა (78. ვიტაკერი).

გაძევება: გ. კოლდველი 34.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 7 | 7 | 0 | 0 | 16-2 | 21 |
| 2. მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 4-7 | 7 |
| 3. შოტლანდია | 6 | 2 | 1 | 3 | 4-10 | 7 |
| 4. ნორვეგია | 6 | 1 | 3 | 2 | 6-5 | 6 |
| 5. ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 6-12 | 4 |

*შენიშვნა: შემადგენლობები მოცემულია ნომრების მიხედვით.*

### კონკაკაფი

#### VI ტური

**მექსიკა-აშშ 2:1**

მექსიკა: ოჩოა, ოსორიო, სალსიდო, მაგალონი, ხუარესი, ტორადო, გუარდადო (70. კასტილიო), ი. კასტრო, ბლანკო (55. ველა), ფრანკო (76. საბა), ჯოვანი.

**აშშ:** ჰოვარდი, ჩერუნდოლო, ონიევუ, ბოკანეგრა, დემერიტი, დემპსი, კლარკი (57. ჰოლდენი), დონოვანი, ჩინგი (57. ფილჰაბერი), ბრედლი, დევისი (76. ალტიდორი).

**გოლები:** 0:1 დევისი (8), 1:1 ი. კასტრო (19), 2:1 საბა (81)

მაყურებელი: 105 000

**ტრინიდადი-სალვადორი გვ. დასრულდა**
**ჰონდურასი-კოსტა რიკა გვ. დასრულდა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოსტა რიკა | 5 | 4 | 0 | 1 | 9-5 | 12 |
| 2. აშშ | 6 | 3 | 1 | 2 | 11-8 | 10 |
| 3. მექსიკა | 6 | 3 | 0 | 3 | 8-9 | 9 |
| 4. ჰონდურასი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 5. სალვადორი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 6. ტრინიდადი | 5 | 0 | 2 | 3 | 6-11 | 2 |


ნორვეგია-შოტლანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზონის წინ




# ბოლო წელინადი

**არსენ ვენგერს** „არსენალთან" კონტრაქტის ბოლო სეზონი დაეწყო და პირველად 13 წლის განმავლობაში გაჩნდა რეალური ეჭვი, რომ კაცს, რომელმაც „მეთოფეთა" ისტორიაში უდიდესი ეპოქა შექმნა, ხელშეკრულებას აღარ გაუგრძელებენ. „არსენალის" ისტორიის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი თავისი დიადი კარიერის საბედისწერო მომენტს მიუახლოვდა. ბოლო ოთხი წელიწადია, რაც ჩრდილოეთ ლონდონის გუნდს ტიტული აღარ მოუგია და ამიტომ, ვენგერის წინაშე საკითხი კატეგორიულად დგას — ამ სეზონში აუცილებლად უნდა მოიგოს რამე. აუცილებლად!

ამას წინათ, ერთ-ერთ ინტერვიუში ვენგერმა თქვა:

*„არასდროს მიმუშავია ასე მუხლჩაუხრელად და არასდროს ვუკრიტიკებივართ ასე მძაფრად".*

ამაყი ფრანგი შეურაცხყოფილია გულშემატკივართა არცთუ მცირე ნაწილის მიერ როყიოდ დასმული კითხვით: შეუძლია კი ამ კაცს კიდევ მოუტანოს ტიტულები ჩვენს გუნდს? ხომ არ დაბერდა? ბრძოლის უნარი ხომ არ დაკარგა? კბილები ხომ არ მოუცვდა? ამასთან ერთად, „არსენალის" ახალმა აღმასრულებელმა დირექტორმა, მავანმა **აივან გაზიდისმაც** ფრიად მრავალმნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, რომ კლუბში წარუმატებლობისთვის პასუხს ყველა აგებსო. ჩრდილოეთ ლონდონში ხელშეუხებელი არავინ ყოფილა.

მაგრამ, არავინ სვამს უფრო მძაფრ კითხვებს, ვიდრე თავად არსენ ვენგერი. ის ეძიებს და თავად ეძებს პასუხებს, ოღონდ თუ ამ პასუხებს ვერ იპოვის, გაისად გაზაფხულზე მოუწევს დამშვიდობება გუნდთან, რომელთან ერთადაც, როგორც ინგლისელი მიმომხილველები წერენ, მთელ პრემიერლიგასა და ინგლისურ საკლუბო ფეხბურთში რევოლუცია მოახდინა. ბოლო რამდენიმე წელიწადია ვენგერმა აქცენტი ყმაწვილებზე გადაიტანა და მათ აღზრდას შეუდგა, ოღონდ ეგაა, უკვე დროა დიდი პედაგოგის გაკვეთილებმა შედეგი გამოიღოს — ყმაწვილკაცებმა მასწავლებელს შრომა შედეგებით უნდა დაუფასონ.

გასულ სეზონში ვენგერის ჭაბუკები ჩემპიონს, „მანჩესტერ იუნაიტედს" შემაშფოთებლად, მთელი 18 ქულით ჩამორჩნენ. იგივე ყმაწვილები იმავე „მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაბრდღვნა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ ვენგერს დაუჩემებია, რომ სინამდვილეში ამ ორ გუნდს შორის განსხვავება არც ისე დიდია. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, ვაი, რომ ვერც ზაფხულის სატრანსფერო პერიოდმა, რომელიც აგვისტოსთან ერთად ილევა, გამოაჩინა ახალი არგუმენტი... დღეს ინგლისში რიხიანად ვერავინ ამბობს, რომ „არსენალს" რაიმეზე ეტყობა, რომ ტიტულისთვის ბრძოლას შეძლებს. ადრეც აღვნიშნეთ, მაგრამ ვინაიდან, მას მერე არაფერი შეცვლილა გამეორება გვიწევს: ამ წუთისთვის ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც ვენგერმა იყიდა, ბელგიელი **თომას ვერმაელენია.** ის „აიაქსში" გამოდიოდა. ვერმაელენში ვენგერმა 10 მილიონი ფუნტი გადაიხადა. თუმცა ფული ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი არ არის, რადგან „მეთოფეებმა" „მანჩესტერ სიტის" **კოლო ტურე** და **ემანუელ ადებაიორი** მიჰყიდეს. პირველში ვენგერმა 14 მილიონი, ხოლო მეორეში 25 მილიონი ფუნტი მიიღო. რასაკვირველია, თუ ამ ყიდვა-გაყიდვას ბიზნესის კუთხით შევხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ „არსენალმა" სარფიანად ივაჭრა, მაგრამ თუ გუნდს გადავავლებთ თვალს, გუნდი... ნამდვილად არ გაძლიერებულა. თუმცა, „არსენალზე" იმასაც ვერ ვიტყვით, ტურესა და ადებაიორის წასვლით დასუსტდაო. საქმე ის არის, რომ ტურე ბოლო ორი წლის განმავლობაში სულ მეტად და მეტად ემიჯნებოდა „მეთოფეთა" ბირთვს, ადებაიორი კი გუნდური სულის მოთამაშე არასდროს ყოფილა და ბევრი საქმეში ჩახედული ადამიანის მტკიცებით, დანარჩენ ფეხბურთელებზე უარყოფით გავლენასაც კი ახდენდა.

მაგრამ, მეორე მხრივ, თუკი ტურესა და ადებაიორში აღებული ფულით ვენგერმა ახალი ფეხბურთელები არ იყიდა, მთელ ამ სატრანსფერო აქტიურობას აზრი ეკარგება. თუმცა, რად გინდა, ახალი ფეხბურთელები არ ჩანან. პირველხარისხოვან ვარსკვლავებს თავი დავანებოთ, „ბორდოსგან" **მურან შამაკის** ყიდვასაც კი არ უჩანს პირი.

თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვენგერს დაუჩემებია, რომ მისი გუნდი ასეთი შემადგენლობითაც შეძლებს „მანჩესტერ იუნაიტედთან", „ლივერპულთან" და „ჩელსისთან" ბრძოლას. კი მაგრამ, როგორ? ზოგი მიმომხილველის აზრით, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „არსენალს" მთელი სეზონის განმავლობაში არავინ დაუშავდება, მაგრამ ამის გარანტიას ვინ მისცემს? გარანტიას კი არა, **სამირ ნასრი,** აგერ, ჩემპიონატამდე გახდა საექიმო — სერიოზული ტრავმა მიიღო. ანდა, **ტომაშ როსიცკი** გაიხსენეთ, თითქოს გამოჯანმრთელდა, მაგრამ ბურთთან ხეირიანად შეხებაც ვერ მოასწრო, რომ ისევ დაშავდა. მეტიც, მოსამზადებელ პერიოდში სხვადასხვა ეტაპზე მცირე ტრავმები **თეო უოლკოტმა, ედუარდომ** და **რობინ ვან პერსიმაც** მიიღეს. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ თანამედროვე ფეხბურთში ვენგერს მისი ფეხბურთელების ჯანმრთელობის გარანტიას ვერავინ მისცემს.

კიდევ, ადებაიორის წასვლის შემდეგ, „არსენალში" ფაქტობრივად ერთადერთი თავდამსხმელი დარჩა, **ნიკლას ბენდტერი.** ვენგერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დანიელი სულ მალე მსოფლიო კლასის ფორვარდი გახდება, მაგრამ, ვაგლახ, ამის ძალიან ბევრს არ სჯერა.

კიდევ, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ფეხბურთელები, რომლებსაც კარგა ხანია ვერა და ვერ დაუმტკიცებიათ, რომ რაიმე ფასეულობას წარმოადგენენ: **დენილსონი, აბუ დიაბი, ალექს სონგი, ემანუელ ებუ...**

სამაგიეროდ, **რობინ ვან პერსიმ** კლუბთან გრძელვადიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ვენგერს ვან პერსისთან ერთად რუსი **ანდრეი არშავინი** და, ბუნებრივია, კაპიტანი, **სესკ ფაბრეგასი** ეიმედება. 22 წლის ფაბრეგასს, მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს „მილანი", „რეალი" და „ბარსელონა" ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ლონდონელთა კატალონიელი კაპიტანი არსად წავიდა იმ იმედით, რომ „არსენალის" შემადგენლობაში ბოლოს და ბოლოს მოიგებს ჯილდოს. მაგრამ, რომ ვერ მოიგოს...

ერთი სიტყვით, არსენ ვენგერს „არსენალთან" კონტრაქტის ბოლო სეზონი დაეწყო.

ფიქრები მსოფლიოს ჩემპიონატზე

# ტერიმ ტიტული ახსენა

ინგლისის ნაკრები დიდი ქვეყნის გუნდია და მისი კაპიტანი სიტყვებს ჰაერზე არ ყრის. **ჯონ ტერიმ** ახალი სეზონის პირველი თამაშის წინ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თქვა:

*„თუ ჩვენ განვაგრძობთ ისე თამაშს, როგორც ბოლო დროს ვთამაშობდით, საკუთარი თავი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ".*

ინგლისურ პრესაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ასეთი რამ ან საერთოდ არ უნდა თქმულიყო ან, რაკილა ითქვა, ამიერიდან ფეხბურთელები უნდა შეეგუონ, რომ მათ უკვე სხვა თვალით შეხედავენ.

არადა, ფაქტია, მას მერე, რაც ინგლისის ნაკრებს სათავეში იტალიელი **ფაბიო კაპელო** ჩაუდგა, გუნდში სულისკვეთება შეიცვალა და ფეხბურთელებს გაუჩნდათ რწმენა, რომ მათ უდიდესი წარმატებების მიღწევა შეუძლიათ. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვერმოხვედრა წარსულს ჩაჰბარდა და დღეს ტერისთვის აშკარაა, რომ გუნდი, რომელიც ბოლო შვიდი მსოფლიოს ჩემპიონატიდან შვიდივეში მონაწილეობდა, ძალიან სერიოზული ძალაა. შიშზე თუ მიდგა საქმე, მათ კი არ უნდა ეშინოდეთ ვინმესი, მათი უნდა ეშინოდეს სხვას. მოკლედ, მორჩა და გათავდა, ახლა დაწყებული საქმე ბოლომდეა მისაყვანი.

*„მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, როგორც მიზანი, მყარად ჩაჯდა თითოეული ჩვენგანის გონებაში. ერთი შეხედვით, თითქოს იოლი ჩანს — დარჩენილი სამი შესარჩევი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი უნდა მოვიგოთ, სამხრეთ აფრიკის საგზური რომ გავინაღდოთ, მაგრამ მერწმუნეთ, ეს წელიწადი უკიდურესად მნიშვნელოვანი იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატი ყოველდღიურად ახლოვდება და საჭიროა, ჩვენ მას საუკეთესო ფორმაში შევხვდეთ. პროგრესი დანიშნული დროისთვის უნდა შევძლოთ.*

*სამხრეთ აფრიკაში ყველა დიდ გუნდს ექნება მსოფლიოს ჩემპიონობის შანსი და არც ჩვენ ვიქნებით გამონაკლისი. თუ ინგლისის ნაკრების რომელიმე ფეხბურთელი გეტყვით, რომ წინა წლებში ძლიერ მეტოქეებთან თამაშისა არ გვეშინოდა, იცოდეთ, იტყუება. მაგრამ, ახლა ასე აღარ არის, ეს ურთულესი ბარიერი უკვე დაძლეულია.*

*კარგად მესმის, რომ გულშემატკივართა ნაწილს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩენის გამო ჩემი აღარ სჯერა და ჩემს კაპიტნობასაც დიდი ეჭვით უყურებენ. რა გითხრათ, რაც მოხდა, იმაში ჩემი წილი პასუხისმგებლობაც არის და მე მას არ გავურბივარ. მაგრამ, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მას მერე ჭკუა ვისწავლე. ვიცი როგორ არ გავაკეთო რაღაც-რაღაცები და ახალი მწვრთნელის ხელში ყოველგვარი შებოჭვის გარეშე ვთამაშობ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ ამიერიდან მეორე უკიდურესობაში გადავვარდებით და მოედანზე საკუთარ თავში ზედმეტად დარწმუნებულები გავალთ".*

თუ გახსოვთ, თებერვალში ინგლისის ნაკრები ესპანეთს ეთამაშა. ესეც ამხანაგური შეხვედრა გახლდათ, რომელიც ჯონ ტერიმ და მისმა მეგობრებმა 2:0 წააგეს, მაგრამ ხსენებულ მარცხს კაპიტნისთვის გუნება-განწყობილება არ გაუფუჭებია. ის კი არა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ინგლისელთა ჩემპიონობას ის ბედის გადაწყვეტილებადაც კი მიიჩნევს.

სანამ კაპიტანი შანსებზე ლაპარაკობს, კაპელო კონკრეტული საქმით არის დაკავებული. ის აყალიბებს და ავითარებს გუნდს, რომელმაც მომავალ ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის უნდა იბრძოლოს:

*„ჩვენი გუნდის ლიდერები მართალს ამბობენ, როდესაც ამ სეზონს საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებენ. ახლა, როგორც ჩემთვის ასევე მათთვის, უმნიშვნელოვანესი პერიოდი დგას და ძალიან სასიამოვნოა, რომ ამას მთელი გუნდი ერთნაირად აღიქვამს. ჩვენი უპირველესი ამოცანა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრაა, შემდეგ კი გონება უშუალოდ ტურნირისკენ უნდა მივმართოთ, მთელი ყურადღება უნდა მოვიკრიბოთ"* — ამბობს კაპელო.

მოსწონს თუ არა ეს ამბავი, უნდა შეეგუოს, რომ ფეხბურთელებიც და გულშემატკივრებიც გონებით უკვე სამხრეთ აფრიკაში არიან...

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მელოს რჩევები რონალდოს

# უყურე დელ პიეროს და ისწავლე

„ფიორენტინადან“ „იუვენტუსში“ გადასული **ფელიპე მელო** ახალ გუნდში თავს შესანიშნავად გრძნობს. ბრაზილიელი ნახევარმცველი კმაყოფილია არჩევანით და აცხადებს, რომ „ვეკია სენიორაში“ თამაში მისი ბავშვობის ოცნება იყო. მელო ჟურნალისტს სხვა საინტერესო თემებზეც ესაუბრა, რომლებზეც ქვემოთ თავად ფეხბურთელი მოგითხრობთ:

*„ფლორენციაში თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, „ფიორენტინას“ ეკუთვნის ჩემი გულის ნაწილი, მაგრამ ისიც ყოველთვის ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, სხვა გუნდში მომიწევდა გადასვლა. სიმართლე გითხრათ, ამ ზაფხულს არ ვგეგმავდი ნავსაყუდლის შეცვლას, მაგრამ კონფედერაციათა თასზე წარმატებულმა ასპარეზობამ, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ცუდი პრესა არც იქამდე მქონდა, მაგრამ ბრაზილიის ნაკრებში თავის გამოჩენამ ჩემდამი ინტერესი ერთი-ორად გაზარდა. ევროპული გრანდებიც გააქტიურდნენ და ჩემი შეძენის სურვილი არაერთმა კლუბმა გამოთქვა. რატომ შევაჩერე არჩევანი „იუვენტუსზე“? - პირველ რიგში იმას აღვნიშნავ, რომ „ვეკია სენიორა“ ბავშვობიდან მესიმპათიურებოდა და ამ გუნდს გულით ვქომაგობდი. როდესაც გავიგე, რომ „იუვეს“ მესვეურებს ჩემი გადაბირება სურდათ, ბევრი არ მიფიქრია და შეთავაზებას დავთანხმდი. „იუვენტუსში“ ყველა პირობაა საიმისოდ, რომ საუკეთესო თვისებები წარმოვაჩინო. თანაც, ვგრძნობ, რომ აქ მენდობიან და ჩემი დიდი იმედი აქვთ“.*



ფელიპე მელომ კიდევ ერთხელ გაიხსენა მშვიდობის თასი და მადრიდის „რეალის“ ძლევა, შემდეგ კი მოულოდნელად ორიოდე რჩევა **კრისტიანო რონალდოს** მისცა: *„ასეთი გამარჯვებები გუნდის საბრძოლო განწყობას ამაღლებს და ფეხბურთელს თავდაჯერებულობას მატებს. „რეალმა“ ამ ზაფხულს ტრანსფერებში 25 მილიონი ევრო დახარჯა და ასეთ მეტოქესთან წარმატების მიღწევა, ძალიან სასიამოვნო გრძნობაა. თუმცა, ფეხბურთელებში ამხელა თანხების გადახდა არასწორი მგონია. ძალიან დიდ პატივს ვცემ კაკასაც და კრისტიანო რონალდოსაც, მაგრამ მათში ამხელა ფულის გადახდას ვერ მივესალმები. მე თუ მკითხავთ, იმავე რონალდოს ძალიან ბევრი აქვს სასწავლი ალესანდრო დელ პიეროსგან. ეს მშვიდობის თასზეც ნათლად გამოჩნდა და ვურჩევდი პორტუგალიელს, რომ იმ თამაშის ფირს კიდევ ერთხელ უყუროს. სხვათა შორის, „იუვენტუსში“ არაერთი მისაბაძი ფეხბურთელია, რომელსაც უნდა უყურო და ისწავლო. მაგალითად ჯანლუიჯი ბუფონს მოვიყვანდი, რომელიც მეკარის ეტალონად მიმაჩნია. მას, ისევე როგორც დელ პიეროს, ყველაფერი აქვს მოგებული, მაგრამ ფეხბურთის თამაშის ხალისს არ კარგავს. ბედნიერი ვარ, რომ ამ ფეხბურთელების მხარდამხარ მომიწევს ბურთის გორება“.*

ინტერვიუ

ლუჩანო სპალეტი

# წარუმატებლობამ ძალიან გაგვაბრაზა

## რომას თავკაცი იმუქრება

**დღეს ძალიან ძნელი სათქმელია, როგორ ფეხბურთს ითამაშებს მომავალ სეზონში „რომა“. იტალიაში ბევრს მსჯელობენ დედაქალაქური გუნდის შესაძლებლობაზე, თუმცა პროგნოზების გაკეთებას ერიდებიან. „ჯალოროსიში“ კი ერთხმად აცხადებენ, რომ გუნდი სკუდეტოსთვის და ევროპის ლიგის თასისთვის იბრძოლებს. ოპტიმისტურად არის განწყობილი ლუჩანო სპალეტიც, სტუდიაში სტუმრობისას მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ გუნდი სრულ მზადყოფნაშია და მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. სანამ ინტერვიუს გაეცნობოდეთ, შეგახსენებთ, რომ „რომა“ ევროპის“ ლიგის გათამაშებაში უკვე ჩაება და პირველი ეტაპი დამაჯერებლად გაიარა - „ჯალოროსიმ“ ბელგიურ „გენტს“ ორი მატჩის ჯამში 10-2 მოუგო (შინ 3:1, გასვლაზე 7:1). ჟურნალისტის პირველი შეკითხვა სწორედ ბელგიელებთან ჩატარებულ პაექრობებს შეეხო.**



**- ევროპის ლიგის გათამაშებით დავიწყოთ. პირველ მატჩში „რომა“ აშკარად ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, განმეორებით პაექრობაში კი მეტოქეს ბრდღვირი ადინა. რა იყო ამის მიზეზი?**

- სეზონი ჯერ ხეირიანად არც დაწყებულა და დროის ამ მონაკვეთში, გუნდის თამაშის პროგნოზირება ფაქტობრივ წარმოუდგენელია. შესაძლოა არ წაგივიდეს თამაში, ან წაგივიდეს და მოედანზე ყველაფერი გააკეთო, რაც მოგესურვება. პირველ შეხვედრაში ცუდად ვითამაშეთ, თუმცა შედეგს მაინც მივაღწიეთ. 3:1 საკმარისი ფორა იყო იმისთვის, რომ ბელგიაში მშვიდად წავსულიყავით. მასპინძლებმა აქტიურად შემოგვიტიეს, ზონები გახსნეს და ჩვენც ამით ვისარგებლეთ. მთლიანობაში, ორმატჩიანი დუელით კმაყოფილი დავრჩი, გუნდი ტონუსში მოვიდა.

**- ევროპის ლიგის მოგებას გეგმავთ, თუ თქვენთვის პრიორიტეტი სერია A გახლავთ?**

- არჩევანის წინაშე რომ დამაყენო: სერია A თუ ევროპის ლიგა სკუდეტოს ავირჩევ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებისთვის არ ვიბრძოლებთ. ბევრს ჰგონია, რომ ევროტურნირზე თამაში სერია A-ში ასპარეზობაში ხელს შეგვიშლის. მე ასე არ ვფიქრობ, რადგან გუნდში ორ ფრონტზე საბრძოლველად საკმარისი რაოდენობის ფეხბურთელები მყავს. ვფიქრობ, ევროპულ ასპარეზზე წარმატება ეროვნულ პირველობაზეც დადებითად აისახება. ნებისმიერი გამარჯვება ძალას გმატებს და ახალი მიზნების მიღწევა უფრო გიადვილდება.

**- კი, მაგრამ ამბობენ, „რომას“ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებსო, მათ შორის, დანიელე დე როსი. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, მიზნების გადახედვა მოგიწევთ...**

- არ ვიცი, არაფერი მსმენია იმის შესახებ, რომ ჩვენს გუნდს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ტოვებენ. სეზონის წინ ვვარაუდობდი, რომ ბევრს კლუბის გამოცვლა მოუნდებოდა. ჩემპიონთა ლიგის გარეშე დარჩენამ, ჩვენში გარკვეული შიში დათესა, მაგრამ საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა. ძირითადი ბირთვი ადგილზეა და მათ მყარად აქვთ გადაწყვეტილი, რომ კარიერას „რომაში“ გააგრძელებენ. არაფერი მსმენია დე როსის შესაძლო ტრანსფერის შესახებაც და ეს ამბავიც გამოგონილი მგონია. დანიელეს ბევრი მსურველი ჰყავს, მაგრამ ჩვენ მისი გაყიდვა აზრადაც არ მოგვსვლია. დე როსის კარგად ვიცნობ, მას „ჯალოროსიში“ სურს კარიერის დასრულება.

**- ტიფოზები უკმაყოფილოები არიან იმით, რომ „რომა“ ალბერტო აკვილანიმ დატოვა. რატომ არ სცადეთ მისი შენარჩუნება?**

- საკითხის ასე დასმა, არასწორია. აკვილანის გული არ ჰქონდა აცრუებული „რომაზე“, მან ეს გადაწყვეტილება ცივი გონებით მიიღო. ალბერტოსთან საკმაოდ გულახდილი საუბარი მქონდა, რომლის შემდეგაც ის „ლივერპულის“ წინადადებას დათანხმდა. აკვილანის სურდა, რომ მისთვის ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიები მიმეცა, რასაც, უბრალოდ, ვერ გავაკეთებდი. ალბერტოს ძლიერ ფეხბურთელად მივიჩნევ და მისი გუნდიდან წასვლა არ მსურდა, მაგრამ ტყუილს ვერ ვეტყოდი. სასტარტო შემადგენლობაში ასპარეზობის გარანტია ფრანჩესკო ტოტისაც არ აქვს, თუ ის ფორმაში არ იქნება, აუცილებლად დაჯდება სათადარიგოთა სკამზე.

**- ამბობენ, „რომა“ სულ მალე ნიკოლას ბურდისოს დაიმატებსო. მართალია ეს ინფორმაცია?**

- დიდია შანსი, ნიკოლა ჩვენთან გადმოვიდეს და კარიერა „რომაში“ გააგრძელოს. კვალიფიციური მცველი ნამდვილად არ გვაწყენდა და ბურდისოს სიამოვნებით მივიღებთ. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და შესაძლოა, სულ რამდენიმე დღეში შეთანხმებით დასრულდეს. სამხრეთამერიკელი უნივერსალი მცველია, ცენტრშიც შეუძლია თამაში და ფლანგზეც. სწორედ ასეთი უკანახაზელის შეძენა გვსურს და თუ ბურდისოს ტრანსფერი შედგა, ძალიან კმაყოფილი ვიქნები.

**- ადრე განაცხადეთ, რომ „რომა“ სკუდეტოსთვის იბრძოლებს. ახლაც ამ აზრზე ხართ?**

- ეს ჩვენი მიზანია და რა იქნება სინამდვილეში, ამას დრო გვიჩვენებსა. რა მნიშვნელობა აქვს, დღეს მე რა აზრზე ვარ. თუ მოვინდომეთ და თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე დავიხარჯეთ, შედეგი აუცილებლად იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ფიასკოს ვერ ავცდებით. ისე კი, დარწმუნებული ვარ, „რომას“ სკუდეტოსთვის ბრძოლა სავსებით ხელეწიფება. საამისოდ არც გამოცდილება გვაკლია და არც საშემსრულებლო ოსტატობა. „ინტერი“ და „იუვენტუსი“ იმდენად წინ არ არიან, რომ მათთან თანაბარი ჭიდილი ვერ შევძლოთ. იმავეს ვიტყოდი „მილანზეც“.

**- გასული სეზონის დასრულებისთანავე გუნდიდან წასვლას აპირებდით, რამ შეგიბრუნათ გული „რომასკენ“?**

- დიახ, მართლაც ასე იყო. თითქმის გადაწყვეტილი მქონდა, რომ „რომას“ დავტოვებდი და ერთი წელიწადი ფეხბურთისგან. საერთოდ დავისვენებდი. რაღაც მომენტში, საკუთარ თავში ძალას ვერ ვპოულობდი, რომ საქმე გამეგრძელებინა, თუმცა შემდეგ ვითარება შეიცვალა და საბედნიეროდ, დღეს ისევ „ჯალოროსის“ მთავარი მწვრთნელი ვარ. ყველაფერი „რომას“ მესვეურებთან შეხვედრამ გადაწყვიტა, მათ მაგრძნობინეს, რომ ბოლომდე მენდობოდნენ და ამან, პოზიციის შეცვლისკენ მიბიძგა. მივხვდი, რომ დაწყებული საქმე შუა გზაზე არ უნდა მიმეტოვებინა.

**- ბევრს მიაჩნია, რომ თქვენი სათამაშო სქემები უკვე მოძველდა, ისინი გაშიფრეს და ამადაც გიჭირთ წარმატებების მიღწევა...**

- ვინც გასულ სეზონს ყურადღებით მიადევნა თვალი, ყველა დამეთანხმება, რომ არაერთი ტაქტიკური სქემა გამოვცადეთ. გამოვიყენე: 4-5-1, 4-4-2, 4-3-3-იც კი, თუმცა შედეგი მაინც ვერ მივიღეთ. ჩვენი მთავარი სისუსტე ტაქტიკურ ერთფეროვნებაში არ ყოფილა, უბრალოდ, მოტივაციის მხრივ შეგვექმნა პრობლემები და ამაზე ადრეც არაერთხელ ვილაპარაკე. ფეხბურთელებიც ვერ ჩადგნენ ოპტიმალურ ფორმაში, ტრავმებმა გაგვაწამეს და ამასაც უნდა გავუსვათ ხაზი.

**- რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ამ სეზონში იგივე პრობლემები არ შეგექმნებათ?**

- ტრავმებთან დაკავშირებით, მხოლოდ იმედი შემიძლია გამოვთქვა, რომ მსგავსი პრობლემები აღარ შეგვაწუხებს. მოტივაცია და ენთუზიაზმი კი დღეს გაცილებით მაღალია, ვიდრე ბოლო წლებში იყო და ამას ცხადად ვხედავ. წარუმატებლობამ ძალიან გაგვაბრაზა და არნახული სურვილი გაგვიჩინა იმისა, რომ ჩვენი ძალა ყველას დავანახვოთ. გემახსოვრებათ, მოტივაციის ნაკლებობაზე მთელი გასული სეზონის განმავლობაში ვლაპარაკობდი. დარწმუნებული ვარ, მომავალში ამ მხრივ, არავითარი პრობლემა აღარ შეგვექმნება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პორტრეტი

სამი ხედირა

# უკეთესი ბალაკი

**ორი წლის განმავლობაში ის გერმანიის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში თამაშობდა და როგორც იქნა, ეროვნულ გუნდშიც გამოიძახეს. აზერბაიჯანთან მატჩისთვის, რომელიც გუშინ გაიმართა, „შტუტგარტის“ საყრდენი ნახევარმცველი სამი ხედირა ბუნდესგუნდში პირველად იყო მიწვეული. იოახიმ ლიოვის გუნდში მას ზუსტად იგივე როლი აქვს, რაც კაპიტან მიხაელ ბალაკს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბალაკს და ხედირას ერთად თამაში არ შეუძლიათ. ხედირა საყრდენიცაა, ცენტრალური ნახევარმცველიც და მარჯვენა ფლანგის გაკონტროლებაც შეუძლია. გადავწყვიტეთ, გერმანიის ნაკრების დებიუტანტი უკეთ გაგაცნოთ – მით უმეტეს, რომ დიდი შანსია, ხედირა მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვიხილოთ, თანაც, არა სათადარიგო ფეხბურთელის, არამედ ძირითადი შემადგენლობის წევრის რანგში.**

თუმცა ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა **იოახიმ ლიოვმა** ხედირას აყვანა მოისურვა. ზუსტად ორი წლის წინ, ბუნდესმწვრთნელმა იმხანად 20 წლის ნახევარმცველი ასევე შეიყვანა განაცხადში, მაგრამ შემადგენლობის დასახელებიდან 48 საათის შემდეგ, სამიმ „ჰერტასთან“ მატჩში უმძიმესი ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა, რის შემდეგაც 6 თვე ლაზარეთში გაატარა. ამ ორი წლის განმავლობაში ხედირას ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს იმაში, რომ ბუნდესგუნდში გამოეძახათ. ხან ტრავმირებული იყო, ხან ლიოვს არ სცხელოდა მის შესამოწმებლად, ხანაც იძულებული გახლდათ, გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრებს დახმარებოდა. მაგალითად ისე, როგორც რამდენიმე კვირის წინათ: ლიოვი სიამოვნებით წაიყვანდა ხედირას აზიურ ტურნეზე, მაგრამ ფეხბურთელი ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე თამაშობდა და პატარა ბუნდესგუნდმა კონტინენტის პირველობა მოიგო კიდეც. ხედირა კი გუნდის კაპიტანი გახლდათ!

აზერბაიჯანთან მატჩისთვის კი, ბოლოს და ბოლოს, ხელის შემშლელი ფაქტორები აღარ იყო, რის გამოც ხედირას გერმანიის პირველ გუნდში თავის გამოჩენის შანსი მიეცა და ვინც მას იცნობს, ისიც ეცოდინება, რომ შტუტგარტელი თავს მოიკლავს იმისათვის, რომ ლიოვს თავი მოაწონოს და ბუნდესნაკრებს გაუშინაურდეს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდაა, ხედირამ უკვე ბევრი რამ გადაიტანა, არაერთი ტრავმა მიიღო და არაერთი სერიოზული კონკურენტიც დაჯაბნა.

ბევრმა არც ის იცის, რომ როდესაც ხედირა „შტუტგარტის“ მეორე გუნდში თამაშობდა და ის-ის იყო, პირველში უნდა გადაეყვანათ, ექიმებმა უთხრეს, შენი ორგანიზმი დიდ დატვირთვებს ვერ გაუძლებს და გირჩევთ, ფეხბურთი დაივიწყოო. მუხლის ქრონიკულმა ტრავმამ იმდენად შეაწუხა, რომ იძულებული ხდებოდა, კარიერა მართლაც დაემთავრებინა.

*„შოკში ვიყავი, არ მჯეროდა, რომ ასეთი რამ ხდებოდა. უახლოეს მომავალში კიდევ ერთი ოპერაციაც და იძულებული ვიქნებოდი, ბუცები ლურსმანზე ჩამომეკიდა,“* - ასე იხსენებს ხედირა თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდს.

„შტუტგარტი“ ისეთი გუნდია, რომელიც ყოველი სეზონის წინ შევსებას უმეტესად თავისი ბავშვთა გუნდებიდან იღებს. შვაბებს ყველაზე კარგად აქვთ ამუშავებული თავისივე გამოზრდილი ფეხბურთელების გამოყენების სისტემა. სწორედ ამიტომ არ გაუჭირდა „შტუტგარტის“ იმჟამინდელ თავკაც **არმინ ფეჰს** ისეთ რისკზე წასვლა, როგორიც იყო ხედირას პირველ გუნდში გადაყვანა. და დაიწყო თუ არა პროფესიონალებთან ერთად ვარჯიში, სამის მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდებოდა.

სამი ხედირა „შტუტგარტში“ 1995 წლიდან ირიცხება. იყო ბავშვთა B გუნდის კაპიტანი, რომელიც გერმანიის ჩემპიონი გახდა, ორი წლის შემდეგ A-იუნიორებთან ერთადაც მოიგო გერმანიის პირველობა, მერე კი, პროფესიონალებს შორის ჩატარებულ პირველსავე სეზონში გერმანიის ჩემპიონი გახდა. გასაოცარია ის ფაქტი, რომ იმ სეზონში მან 22 მატჩი ჩაატარა – მიუხედავად იმისა, რომ **პაველ პარდოს** სახით უსერიოზულესი კონკურენტი ჰყავდა და თვითონ ხედირას იმხანად პროფესიული კონტრაქტი არ ჰქონდა გაფორმებული.

*„არსებობენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც კარგად გამოსდით თანაგუნდელებისთვის რჩევადარიგებების მიცემა და პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ. მიმაჩნია, რომ მე სწორედ ასეთი ფეხბურთელი ვარ,“* - აცხადებს ხედირა და ამ სიტყვების წარმოთქმის დროს ნამდვილად არ აქვს აროგანტული გამომეტყველება.

რამდენიმე კვირის წინ „შტუტგარტი“ გოლეადორმა **მარიო გომესმა** დატოვა და გაირკვა, რომ მიუნხენის „ბაიერნმა“ ამ თავდამსხმელში 35 მილიონი ევრო გადაიხადა. „შტუტგარტის“ ფანებს შორის დღეს ბევრი აღარ არის გულდაწყვეტილი იმის გამო, რომ გომესმა გუნდი დატოვა და უმეტესობას მიაჩნია, რომ ხედირა „შტუტგარტისთვის“ გაცილებით დიდი მნიშვნელობის მქონე ფეხბურთელია, ვიდრე გომესი იყო.

რაც შეეხება თამაშის სტილს: ამ მხრივ ხედირა უკვე უახლოვდება იმ დონეს, რომლის მიღწევის შემდეგაც მას ჩამოყალიბებული და სრულყოფილი ცენტრალური ნახევარმცველი უნდა ვუწოდოთ. დავიწყოთ იქიდან, რომ ხედირა რობუსტულია და ძალიან კარგად შედის ორთაბრძოლებში. ამავე დროს ის ტექნიკურია და ნიჭიერი დრიბლიორი გახლავთ, თამაშის დროს ეტყობა ჩამოყალიბებული ფეხბურთელისთვის დამახასიათებელი ინტელიგენტობა და იტანს საკმაოდ ბევრ გოლს, ანუ, აქვს საგოლე ალღოც. მასში შერწყმულია ჩამშლელი და შემტევი ნახევარმცველის თვისებები, რაც ხედირას ფასსა და მნიშვნელობას, როგორც „შტუტგარტისთვის“, ისე გერმანიის ნაკრებისთვის, ძალიან ზრდის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბალაკის გარდა, არც ერთ გერმანელ ნახევარმცველს აღარ ჩამოუვარდება. მეტიც, ბევრი ექსპერტი უკვე ფიქრობს, რომ ხედირა სხვებზე უკეთესია და თუ ლიოვს ჯერ კიდევ არ მოუწოდებენ, აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში ათამაშეო, მხოლოდ იმიტომ, რომ ხედირას გამოცდილება აკლია. გერმანიაში კი, მით უმეტეს ეროვნულ ნაკრებში, გამოუცდელი ფეხბურთელებისთვის დიდი პასუხისმგებლობის დაკისრებას ყოველთვის ერიდებოდნენ. წესი აქვთ ასეთი: რაც უნდა ნიჭიერი იყოს ახალგაზრდა მოთამაშე, ყველა ის ეტაპი უნდა გაიაროს, რასაც ყველა გერმანელი ფეხბურთელი გადის ხოლმე ეროვნულ ნაკრებამდე.

*„ხედირას უდიდესი პოტენციალი აქვს. მას თამაშში სიმეტრია შემოაქვს, ფეხბურთს ძალიან კარგად თამაშობს და რაც ყველაზე მთავარია, გოლების გატანაც ეხერხება,“* - ამბობს ლიოვი და კითხვაზე, რა აკლია ხედირას, ასე პასუხობს: *„გერმანიის ნაკრების სწრაფ ტემპს ნელ-ნელა უნდა შევაგუოთ. „შტუტგარტში“ უფრო ნელ ტემპში თამაშსაა მიჩვეული.“* გასულ სეზონში ხედირამ „შტუტგარტის“ მაისურით ბუნდესლიგაში 7 გოლის გატანა შეძლო. ბუნდესლიგის არც ერთ საყრდენ ნახევარმცველს ამაზე მეტი არ გაუტანია.

ხედირასთვის მისაბაძი მაგალითები **პატრიკ ვიეირა, მიხაელ ბალაკი, ჩავი** და **ანდრეს ინიესტა** არიან. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ხედირა უკვე გაცილებით წინ არის წასული, ვიდრე ბალაკი იყო 22 წლის ასაკში. ადამიანობის თვალსაზრისით კი, სამი მხოლოდ და მხოლოდ მამამისს ჰბაძავს. ეს უკანასკნელი კი ტუნისელია და გერმანიაში საცხოვრებლად 25 წლის წინ ჩავიდა – სამის დაბადებამდე სამი წლით ადრე. *„მამაჩემმა გერმანული მენტალიტეტი ძალიან მალე გაითავისა და გახდა პუნქტუალური და დისციპლინებული, ისწავლა სხვების პატივისცემა. მეც ბავშვობიდან ამ ღირებულებებით მზრდიდა,“* - ამბობს სამი ხედირა.

თავის ნამდვილ სამშობლოს ხედირა კარგად არ იცნობს, ტუნისში მხოლოდ რამდენჯერმეა ნამყოფი. ტუნისელი მამისა და გერმანელი დედის შვილს, რომელიც გერმანიაში დაიბადა და გაიზარდა, მიაჩნია, რომ უფრო გერმანელია, ვიდრე ტუნისელი – თუკი მაინცდამაინც ეკითხებიან, გერმანელად გრძნობ თავს, თუ ტუნისელადო.

*„ტუნისში აბსოლუტურად სხვანაირი მენტალიტეტია. როცა იქ ვიყავი, ეს მაშინვე შევამჩნიე. მაგალითად, ბავშვები იქ უფრო თავისუფლად იზრდებიან და გაცილებით ბოროტები არიან, ვიდრე გერმანიაში. ვიცი, რომ წარმოშობით ტუნისიდან ვარ, მაგრამ ჩემთვის იქაური მენტალიტეტი იმდენად უცხოა, რომ იქ ალბათ 1 თვესაც ვერ გავძლებდი,“* - ამბობს ხედირა.

სამი ძალიან კომუნიკაბელურია და ყველას კარგად უგებს. ლიოვსაც სწორედ ასეთი ფეხბურთელები მოსწონს-არაკონფლიქტურები, მონდომებული მოსწავლეები, თავდაჯერებულები, დაუზარლები და ინტელიგენტები.

მარტში ხედირას მშობლიურ დაბა ვინდენდენში საზარელი ფაქტი მოხდა: ყოფილი მოსწავლე თავის სკოლაში შეიარაღებული შევარდა და ბავშვები და მასწავლებლები ჩახოცა. ხედირა: *„ორი დღე დეპრესია მქონდა. ვინდენდენში ხომ უამრავი ნაცნობი და მეგობარი მყავს. ამ ფაქტმა დამარწმუნა, რომ ადამიანის ცხოვრება ერთ დღეს შეიძლება კარდინალურად შეიცვალოს ან სულაც დასრულდეს. სწორედ ამიტომ, ადამიანმა ყოველი დღე აზრიანად უნდა გაატაროს.“*

შტუტგარტში მას კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს გაფორმებული და გუნდის მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** უკვე ზრუნავს იმაზე, რომ უკვე 2-3 წლით უფრო ხანგრძლივი ხელშეკრულება გაუფორმოს. რაც ყველაზე მთავარია, დღესდღეობით ხედირა „შტუტგარტიდან“ წასვლაზე არ ფიქრობს, რადგან მიაჩნია, რომ მისთვის უმჯობესია, რაც შეიძლება დიდხანს დარჩენს შვაბენლანდურ კლუბში.



გერმანიის ნაკრები



გერმანიის ნაკრების მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი

# ბირჰოფს თავიდან იშორებენ?

2004 წლიდან მოყოლებული, **ოლივერ ბირჰოფი** გერმანიის ნაკრების მენეჯერი გახლავთ. ამ ხნის განმავლობაში მას არაერთხელ მოუვიდა უთანხმოება. ბირჰოფი ხან **მიხაელ ბალაკს** უპირისპირდებოდა, ხანაც გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულ დირექტორ **მათიას ზამერს**. გარდა ამისა, ბირჰოფს პრესაშიც ხშირად აკრიტიკებდნენ. სწორედ ამიტომ, დიდი შანსია, რომ საფეხბურთო კავშირმა მას კონტრაქტი არ გაუგრძელოს. პრეზიდენტ **თეო ცვანციგერის** თქმით, ბირჰოფისთვის კონტრაქტის გაგრძელება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დამთავრებამდე გამორიცხულია – მერე კი ვნახოთო...

საფეხბურთო კავშირში ბირჰოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ჯერ გაზაფხულზე სურდათ, მერე ეს ზაფხულისთვის გადადეს, ახლა კი თქვეს, რომ ოლივერის საკითხი საკვალიფიკაციო ციკლის დასრულების შემდეგ გადაწყდება. ეს ფაქტი კი ჩვენს გერმანელ კოლეგებს აფიქრებინებს, რომ ცვანციგერს ბირჰოფის თავიდან მოშორება უნდა, რადგან ამ შტაბიდან საფეხბურთო კავშირს ყველაზე მეტი პრობლემა სწორედ ბირჰოფმა შეუქმნა. თვითონ ოლივერი მიიჩნევს, რომ საგანგაშო არაფერია – ჯერ შესარჩევი ციკლი დამთავრდეს, მუნდიალზე თამაში გავინაღდოთ და ჩემს კონტრაქტზე მერეც დავილაპარაკებთო.

ფაქტი ის არის, რომ ოლივერი უკვე თითქმის არავის მოსწონს. მისი პირველი მტერი კი გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი ზამერია. ბოლოს ზამერი და ოლივერი ერთმანეთს კომპეტენციებში ჩარევის გამო დაუპირისპირდნენ. მათიასი ამბობდა, ჩემს საქმეებში ერევაო. ამას გარდა, ბირჰოფის მევობრად არც საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივანი **ვოლფგანგ ნირსბახი** მიიჩნევა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლფსბურგი

# კიდევ ერთი გარიგება პალერმოსთან?

## მგლებმა ფაბიო სიმპლისიოს დაუმიზნეს

ბუნდესლიგის წინა სეზონში საუკეთესო წინა ხაზი „ვოლფსბურგს" ჰქონდა, რომელიც გახდა კიდეც გერმანიის ჩემპიონი. სეზონის დასრულებისა და სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ, „მგლებმა" წამყვანი ფეხბურთელებიც შეინარჩუნეს და გაძლიერდნენ კიდეც, შეიძინეს რა **ობაფემი მარტინსი, თომას კალენბერგი** და **ქარიმ ზიანი**. როგორც ირკვევა, „ვოლფსბურგი" მიღწეულით არ კმაყოფილდება და კიდევ ერთ ძალიან საინტერესო ფეხბურთელს უმიზნებს. იტალიური და გერმანული გამოცემების ცნობით, „მგლების" მწვრთნელსა და მენეჯერს, **არმინ ფეეს** „პალერმოს" ნახევარმცველის, **ფაბიო სიმპლისიოს** შეძენაც უნდა.

*„დიახ, „ვოლფსბურგი" მართლაც არის დაინტერესებული. ამ გუნდის შეფებმა უკვე დამირეკეს და დაადასტურეს, რომ ფაბიოს გადაბირება სურთ, მაგრამ კონკრეტული წინადადებით ჯერ არ მოუმართავთ. უახლოეს მომავალში მათ კიდევ უნდა დაველაპარაკო და ალბათ შემოთავაზებასაც მივიღებთ,"* - აცხადებს ფეხბურთელის მრჩეველი.

სიმპლისიოს „პალერმოსთან" კონტრაქტი 2010 წლის ივლისამდე, ანუ, ამ სეზონის ბოლომდე აკავშირებს. ცოტა ხნის წინათ, სიცილიური კლუბის შეფებმა მას ახალი ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზეს, რაზეც სიმპლისიომ უარი თქვა. გასულ სეზონში მან „პალერმოს" მაისურით 37 მატჩი ჩაატარა, 7 გოლი გაიტანა და 8 საგოლე პასი გააკეთა. „ბრაზილიელი" პოზიციით ფლეიმეიკერია, მაგრამ ფლანგებზე თამაშიც შეუძლია. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში „ვოლფსბურგს" „პალერმოსგან" ორი ფეხბურთელი ჰყავს ნაყიდი: **ანდრეა ბარძალი** და **კრისტიან ძაკარდო**.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# 15 მილიონი ბოსინგვაში!

## ჰიონესს პორტუგალიელზე ხელი ჯერ არ ჩაუქნევია

მიუნხენის „ბაიერნმა" ტრანსფერებში უკვე დახარჯა 50.5 მილიონი ევრო, რის შემდეგაც გუნდის შეფებმა გამოაცხადეს, გუნდის გაძლიერებას მოვრჩითო, მაგრამ ირკვევა, რომ რეკორდმაისტერის სატრანსფერო აქტივობები ჯერ არ დასრულებულა. „ბაიერნი" თითქოს შეეშვა **ჟოზე ბოსინგვას**, მაგრამ „ბილდის" ინფორმაციით, მიუნხენურ გრანდს ჯერ კიდევ სურს „ჩელსის" მარჯვენა მცველის შეძენა და მზად არის, ლონდონურ კლუბს 15 მილიონი ევრო გადაუხადოს.

*„დიახ, ჩვენ ბოსინგვაზე ხელი არ ჩაგვიქნევია. ტესტ-მატჩებში და პირველ ტურშიც აშკარად გამოჩნდა, რომ მაღალი კლასის კიდევ ერთი მცველი გვჭირდება, თანაც, ზუსტად მარჯვენა მცველი და ჩვენ მხოლოდ ბოსინგვაზე ვფიქრობთ. ან მას ვიყიდით, ან არავის,"* - განუცხადა რეკორდმაისტერის მენეჯერმა **ული ჰიონესმა** „ბილდს".

არადა, ივლისის შუა რიცხვებში ტრანსფერი ფაქტობრივად ჩაშლილად გამოცხადდა, რადგან „ჩელსის" პორტუგალიელის გასხვისება არ სურდა. ახლა კი, როგორც ჩანს, ვითარება შეიცვალა. ჰიონესი: *„ჩვენ შევთანხმდით, რომ „ჩელსის" ხელმძღვანელები სუპერთასის ფინალის შემდეგ უნდა დაგვიკავშირდნენ და ახლა სწორედ ლონდონელთა სიგნალს ველოდებით. მაგრამ არა რიბერის, არამედ ბოსინგვას თაობაზე."*

**გოტფრიდ ლენცი**


ჟოზე ბოსინგვა შეიძლება მაინც მიუნხენში გადავიდეს

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ნოიერი მანჩესტერში?

## ფერგიუსონი მანუელში 20 მილიონს იხდისო

ინგლისური პრესა იტყობინება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" „შალკეს" მეკარე **მანუელ ნოიერის** შეძენა სურს. ინგლისური გრანდის დაინტერესება „შალკეს" თავკაცმა **ფელიქს მაგათმაც** დაადასტურა, მაგრამ იქვე დასძინა, ინგლისიდან ჩემთვის კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავსო. *„გავიგე, რომ „მანჩესტერი" მანუელით არის დაინტერესებული, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი, რადგან არც ფაქსი მოგვსვლია და არც არავის დაურეკავს,"* - უთხრა მაგათმა „ბილდს". ჩვენი ინგლისელი კოლეგები კი იტყობინებიან, რომ „მანჩესტერი" მზადაა, ნოიერში 20 მილიონი ევრო გადაიხადოს.

„მანჩესტერს" მეკარე არ სჭირდებოდა, მაგრამ მას მერე, რაც **ედვინ ვან დერ სარმა** სერიოზული ტრავმა მიიღო და მინიმუმ ორ თვეს ლაზარეთში გაატარებს, **სერ ალექს ფერგიუსონი** სერიოზულად დაფიქრდა ახალი მეკარის შეძენაზე, რადგან მას **ბენ ფოსტერიც** დაშავებული ჰყავს. ფერგის პოლონელი **ტომაშ კუშჩაკიც** ჰყავს, მაგრამ ამ უკანასკნელს არ ენდობა.

როგორც ირკვევა, „მანჩესტერის" სკაუტები ნოიერს დიდი ხანია, აკვირდებიან. ფერგიუსონი კი მანუელის შეძენაზე მას მერე ფიქრობს, რაც გერმანიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალში ინგლისი 4:0 გაანადგურა. ამ ტურნირზე გერმანელთა კარს სწორედ ნოიერი იცავდა. რაც ფერგიუსონისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ნოიერს უკვე საკმაო გამოცდილება აქვს – მას „შალკესთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაშიც უთამაშია.

ცნობილია, რომ მანუელი გელზენკირხენულ კლუბში თავს ძალიან კარგად გრძნობს. ზაფხულის დასაწყისში მისი გადაბირება მიუნხენის „ბაიერნს" სურდა, მაგრამ „შალკემ" რეკორდმაისტერის შეფები უარით გაისტუმრა, მაგათმა კი თქვა, ნოიერი შესანიშნავი მეკარეა და ის ჩვენვე გვჭირდებაო. ახლა კი, გამორიცხული არ არის, რომ „შალკეს" ხელმძღვანელებმა გადაწყვეტილება შეცვალონ და ნოიერის „მანჩესტერში" გაშვებაზე დაფიქრდნენ. რაც მთავარია, „მანჩესტერი" „შალკეს" კონკურენტი არ არის და ესეც რომ არ იყოს, გელზენკირხენულ კლუბს ფული ძალიან სჭირდება.



მანუელ ნოიერი

**გოტფრიდ ლენცი**

სანაკრებო ამბები


მანუელ ალმუნია

# ალმუნია ესპანელია

ინგლისის ნაკრებს მეკარეების საქმე მთლად კარგად არ აქვს, მაგრამ **ფაბიო კაპელოსთვის** ესპანელი **მანუელ ალმუნიას** გამოძახება მდგომარეობიდან გამოსავალი არ არის. „არსენალის" კარის მცველი უკვე ხუთი წელიწადია ლონდონურ გუნდში თამაშობს და ბრიტანეთის მოქალაქეობაც აქვს. ამასთან, ესპანეთის ეროვნულ გუნდში ის ერთხელაც არ გამოუძახებიათ, რაც მისი ინგლისის ნაკრებში გამოყენების საშუალებას იძლევა, მაგრამ ინგლისელთა იტალიელ მწვრთნელს სხვა მოსაზრება აქვს.

დღეისათვის კაპელოსთვის პირველი მეკარე „პორტსმუთის" გოლკიპერი, 39 წლის **დევიდ ჯეიმსია**, რომლის მერეც „მანჩესტერ იუნაიტედის" 26 წლის კარის მცველი **ბენ ფოსტერი** მოდის. კიდევ, ინგლისელების მწვრთნელი „ვესტ ჰემ იუნაიტედის" 29 წლის გოლკიპერს, **რობერტ გრინს** იძახებს ხოლმე, მაგრამ ის კარში ჯერ არ დაუყენებია. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ინგლისს მეკარეებში პრობლემა აქვს, მაგრამ რად გინდა. *„ის ესპანელია, ინგლისელი არ არის, ამბობს კაპელო, ვიმეორებ, ის არის ესპანელი ფეხბურთელი, რომელიც „არსენალში" თამაშობს. და საერთოდაც, მე უკვე ვიცი, ვინ დაიცავს ინგლისის კარს მსოფლიოს ჩემპიონატზე".*

**ილია ბაბუნაშვილი**

სატრანსფერო ამბები

# კარლოს რომაული ფიასკო

**კარლო ანჩელოტის** სურდა თავისი ახალი გუნდისთვის, ლონდონის „ჩელსისთვის" იტალიელი მსოფლიოს ჩემპიონი, 26 წლის **დანიელე დე როსი** შეეძინა, მაგრამ ხელი მოეცარა. „ლურჯების" თავკაცმა დე როსის გუნდ „რომას", გლადიატორი ნახევარმცველის სანაცვლოდ 22 მილიონი ფუნტი შესთავაზა ეს ევროებში 25,6 მილიონის ტოლია, მაგრამ სერია A-ს კლუბმა კატეგორიული უარი განაცხადა, დე როსის არანაირ ფასად არ გავყიდითო. „რომას" დირექტორმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა და 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა, **ბრუნო კონტიმ** ლონდონელთა წინადადების პასუხად განაცხადა:

*„ჩვენ ძალიან დიდ ფულს გვთავაზობდნენ, მაგრამ უარი შევუთვალეთ. ჩვენთვის, „რომასთვის" ეს ფეხბურთელი ხელშეუხებელია".*

როგორც ჩანს, დე როსის თემა „ჯალოროსისთვის" იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი უკომენტაროდ დატოვება თვით ქალბატონმა **როზელა სენსიმაც** კი არ ისურვა, ეს 37 წლის ქალბატონი კი, მოგეხსენებათ, რომაელთა კლუბის პრეზიდენტი გახლავთ.

*„დე როსი არ იყიდება და არც მომავალში გაიყიდება"* - კატეგორიულად თქვა სინიორა სენსიმ.

პარალელურად კარლო ანჩელოტი ნორვეგიელი ნახევარმცველის, 24 წლის **ერიკ ჰუსეკლეპის** შეძენასაც ცდილობს, მარგამ ეს ჩახლართული გვარის კაცი, ბუნებრივია, გაცილებით ნაკლები ფასობს — 2,5 მილიონი ფუნტი. ჰუსეკლეპი „ბრანში" თამაშობს და ბოლო ექვს შეხვედრაში ხუთი გოლი გაიტანა. მისი შეძენა „ჩელსის" გარდა „ასტონ ვილასა" და „ნიუკასლ იუნაიტედსაც" სურთ.

**ილია ბაბუნაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# მიეცით კეისარს კეისრისა

## მწვრთნელის საქმეში ჩარევა გამართლებულად არ მიგვაჩნია, მაგრამ, ვფიქრობთ, ახლა ის დროა, როცა უთქმელობით დაშავდება

JUDO 2009

ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** გუშინ ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 26-30 აგვისტოს როტერდამში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. ადრევე გაცხადებულ **ნესტორ ხერგიანს** (60), **ლევან წიკლაურსა** (81) და **ვალერი ლიპარტელიანს** (90) **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **ირაკლი ცირეკიძე** (100) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100) შეუერთდნენ.

*უთქმელობით დაშავდებაო*, ვამბობთ იმიტომაც, რომ ნაკრები ჩვენი - ქომაგების, საზოგადოებისაცაა და სრული უფლება გვაქვს, მისი ბედი გვაღელვებდეს (თანაც, სპორტსმენებიც და მწვრთნელებიც ხელფასებს ჩვენი ჯიბიდან გადახდილი გადასახადებით იღებენ). მით უფრო, იმ ქარცეცხლიანი დღეების შემდეგ, რაც ამ გუნდმა გამოიარა და ამიტომ გაგვიკვირდა, რა დამსახურებისთვის მოხვდნენ ნაკრებში კედელაშვილი და ქევხიშვილი? პიროვნულად მათი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ წლეულს თითქმის არ უვარჯიშიათ და ძალზე გვეეჭვება, ფორმაში იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, სეზონის ძალიან დიდი ნაწილი ძირითად ნაკრებთან ერთად არ გაუტარებით და გუნდის მოსამზადებელ გეგმასაც ხშირად არღვევდნენ. შეხსენებაც არ გინდათ, რომ ორივე ეგრეთ წოდებული აბუნტებულთა ბანაკიდანაა და დიდი ხნის განმავლობაში ხაბარელის კომპეტენციას არ ცნობდნენ.

წლეულს კედელაშვილმა მხოლოდ თბილისის მსოფლიოს თასზე იჭიდავა, ოღონდ 73-ში, და "ვერცხლი" მოიპოვა. ქევხიშვილმა ორჯერ იჭიდავა - მოსკოვში პირველივე წრიდან გამოვარდა, გერმანულ ზინდელფინგენში - მეორედან. ჩვენი ერთადერთი სურვილი ობიექტურობის დაცვაა და ერთ-ერთი მოტივი, რის გამოც მწვრთნელს მათ დაყენებაში არ ვეთანხმებით, სწორედ ესაა - მიგვაჩნია, რომ აქ სხვებიც იმსახურებდნენ გამოცდას. მაგალითად, **შალვა ქარდავა** (66) და **მინდია ხომიზური** (73).

არის მეორე მომენტიც - თავისი ბუნტით ეს ბიჭები მთელი წელიწადი რეჟიმს არღვევდნენ (სამწუხაროდ, ეს მხოლოდ სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** დაინახა), ახლა კი ისე გამოვიდა, ყველაფერი შერჩათ. ეს ძალიან ცუდი სიმპტომია, რადგან ამან შეიძლება, სხვებიც წაახალისოს და ყველამ თავის ქეიფზე მოისურვოს სიარული.

ბიჭებს ნადვილად არ ვამტყუნებთ იმისთვის, საკუთარი უფლებების დაცვა რომ მოინდომეს - საამისოდ ბრძოლა ყოველთვის შეუძლიათ. მეტიც - ეს მათი, გნებავთ, ადამიანური, გნებავთ - კონსტიტუციური ვალიცაა და ასეთ ბრძოლას მით უფრო გავუგებთ, თუ მართლა დაჩაგრეს, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი აქვს და გააჩნია, როგორ იბრძოლებ ამ უფლებების დასაცავად. *მიგვაჩნია, რომ მათ არასწორი გ ზა აირჩიეს - აშკარად კონფრონტაციული, რომელმაც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები იმდენად სავალალო შედეგებამდე მიიყვანა, თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედლის გარეშე დავრჩით, როცა ბოლო წლებში უცხოეთიდან მუდმივად მოგვქონდა ოქრო.* ვფიქრობთ, მართებული იქნებოდა, სპორტსმენებს უფლებების დაცვა ფედერაციისთვის მიენდოთ (მათი ერთ-ერთი ფუნქციაც ესაა), თავად კი ძველებურად ევარჯიშათ და კინკლაობას შეშვებოდნენ. ამით ნაკრები თავის სახესაც შეინარჩუნებდა, ქომაგთა პატივისცემასაც და უკეთეს შედეგებსაც მიაღწევდა. იმ დემარშით, მართალია, გაუაზრებლად, მაგრამ მაინც ფეხებზე დაიკიდეს ის ქომაგები, ვიმეორებთ, რომელთა გადასახადებიდან იღებენ ხელფასს. მათი საქციელი ამიტომ მიგვაჩნია დისციპლინის დარღვევად და არა იმიტომ, ხმის ამოღება საერთოდ რომ გაბედეს.

კედელაშვილი და ქევხიშვილი სადღეისოდ სასურველ ფორმაში რომ არ არიან (რაც სავსებით ბუნებრივია, მათივე წლევანდელი ვარჯიშიდან გამომდინარე), არც ხაბარელი მალავს და ამბობს, ამ წონებში უკეთესი არავინ მოიძებნება, ესენი კი შეიძლება სამეულში შევიდნენო. ღმერთმა ქნას, მართლაც შევიდნენ - ეს ჩვენი დიდი სურვილიცაა, მაგრამ ერთია სურვილი, რეალობა კი - მეორე. ჰოდა, რეალობას თუ შევხედავთ, მსოფლიოს პირველობებზე ისინი მაშინაც ვერ ხვდებოდნენ სამეულებში, როცა მთელი წელიწადი მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ. ხაბარელი მათ დაყენებაზე ყოველგვარ ზეწოლას უარყოფს. თუ ეს მართალია, მაშინ მას სამართლიანობას ვუწუნებთ, ხოლო თუ მართლა იყო ზარები „ზემოდან", მაშინ ესეც უნდა თქვას.


შოთა ხაბარელი

„მიგვაჩნია, რომ მათ არასწორი გ ზა აირჩიეს - აშკარად კონფრონტაციული, რომელმაც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები იმდენად სავალალო შედეგებამდე მიიყვანა, თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედლის გარეშე დავრჩით, როცა ბოლო წლებში უცხოეთიდან მუდმივად მოგვქონდა ოქრო."

მოკლედ, ტყუილი აღმოჩნდა ხაბარელის შეპირება, ახალ ოლიმპიურ ციკლში ნაკრები ძირეულად გადახალისდებაო. რაკი ეს დუეტი ფორმაში არაა, ხაბარელს ისინი შინ რომ დაეტოვებინა და შანსი სხვებისთვის მიეცა, არავინ დაძრახავდა. თან, ამით პრინციპულობასაც გამოიჩენდა, საკუთარ სინდისთანაც მართალი იქნებოდა და იმ ბიჭებთანაც, რომლებმაც მთელი წელიწადი იშრომეს, მაგრამ მაინც შინ დატოვეს. ხაბარელს **ექტორ რაულ კუპერის** მაგალითს შევახსენებთ, რომელიც სწორედ დისციპლინის დარღვევისთვის ნაკრებში პრინციპულად არ იძახებს ჰაერივით საჭირო ისეთ ფეხბურთელს, როგორიც **მალხაზ ასათიანია**. ყველამ ვიცით, ასათიანი როგორ სჭირდება ნაკრებს, მაგრამ კუპერს მედიის დიდი მხარდაჭერა აქვს, რადგან ნაკრები (ნებისმიერ სახეობაში) ხალხისაა და მისი წევრობა ბევრსაც ნიშნავს და ბევრსაც გავალებს. უპირველესად, შენი სამშობლოს სახელის ღირსეულად დაცვას საზღვარგარეთ, სამშობლო კი ცხრა მთას იქიდან მოსული სოვდაგარი არაა, ფართლეულზე ევაჭრო. ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, ის შენში უნდა იყოს, უფრო ღრმად და უფრო შიგნით.

ზინდელფინგენის ტურნირზე წასვლის წინ ხაბარელი ამბობდა, რომ ეს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შესარჩევი შეჯიბრება იქნებოდა. ეს პრინციპი ბოლომდე რომ დაეცვა, მაშინ ქარდავა ნამდვილად იმსახურებდა გამოცდას. ის გერმანიაში მეშვიდეზე გავიდა, გზად კი ორი საყურადღებო გამარჯვება მიითვალა - ბელგიელ **ფაბრის ფლამანდთან** და უკრაინელ **გიორგი ზანთარაიასთან**, ვინც აპრილში თბილისში ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა. გერმანიაში ხომიზური მეხუთეზე გავიდა და, ალბათ, ისიც იმსახურებდა როტერდამში ჭიდაობას. ხომიზურზე თუ ვინმე ასაკს შეგვახსენებს, რაღა დროს მაგის გამოცდააო, ქარჩავა ხომაა ბევრად ახალგაზრდა? ბუნებრივი მონაცემებით იქნებ კედელაშვილიც და ქევხიშვილიც ჯობიან კონკურენტებს, მაგრამ წლეულს იმათ აჯობეს და შრომა არ უნდა დაეკარგოთ. სავსებით შესაძლებელია, ახლა ქარჩავამაც დ სხვებმაც იფიქრონ, ვილაცებს ნაკრებში ადგილი დაჯავშნული აქვთო და სპორტზე გულიც აიცრუონ. დამეთანხმებით, არც გაემტყუნებათ. სწორედ ამიტომ ვითხოვთ ობიექტურობის დაცვას, რასაც, ვიმედოვნებთ, კედელაშვილიც და ქევხიშვილიც სათანადოდ გაიგებენ - სპორტსმენმა სპორტსმენის ტკივილი უკეთ იცის. შეიძლება ვინმე მოგვედავოს, რომ ქარჩავას და ხომიზურს მედლის მოპოვების შანსი არა აქვთ, მაგრამ არც იმის გარანტიაა, რომ ესენი შევლენ სამეულში. თანაც, ნორმალურად რომ მომზადებულიყვნენ, კიდევ ჰო, ახლა კი, თუ ორივე მხარე წაგებისთვისაა განწირული, აჯობებდა, ახალგაზრდები გამოეცადათ და სამართლიანობა შეენარჩუნებინათ. ბოლოს და ბოლოს, არავინ არ წაეყვანათ, ბევრად უფრო მართებული იქნებოდა! არაა აუცილებელი, სრული გუნდით წავიდეთ - თუ სპორტსმენი მზად არაა, აჯობებს, შინ დავტოვოთ (ეს მხოლოდ ამ წონებს არ ეხებათ). ესეც სპორტსმენის დასჯის ერთ-ერთი მეთოდია და ჩვენი მწვრთნელები (არა მხოლოდ ძიუდოში) რაც უფრო ხშირად გამოიყენებენ, მით უკეთესი.

კიდევ ვიმეორებთ - ძალიან გაგვიხარდება, კედელაშვილი ან ქევხიშვილი მედალს თუ მოიპოვებენ. ღმერთმა ქნას, ეს ორივემ შეძლოს, მაგრამ მათდამი პიროვნული მოტივი რომ არ გვამოძრავებს და მხოლოდ სიმართლისთვის ვამბობთ, იქიდანაც ჩანს, რომ აქეთ ხომიზურის დაყენებას ვითხოვთ, იქით - არანაირი პრეტენზია არ გვაქვს ცირეკიძის წაყვანაზე. არადა, ორივე ზემოაღნიშნული ბუნტის მონაწილეა. ცირეკიძე სულაც ერთ-ერთი გამწევი ძალა იყო, როგორც ოლიმპიური და მსოფიოს ჩემპიონი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მედლის მოპოვება სავსებით ხელეწიფება. თუნდაც დღეს, როცა სეზონის დიდი ნაწილი მასაც გაუცდა.

ცირეკიძის შემთხვევაში ცოტა საჭოჭმანო **დავით ლორიაშვილის** ფაქტორი გახდება, რომელსაც წლეულს ურიგოდ ნამდვილად არ უჭიდავია. გერმანიაში ორივე მესამეზე გავიდა და იქნებ ოდნავი უპირატესობა ლორიაშვილის მხარესაა, მაგრამ ძალზე პირობითი - ის მომავალ ჩემპიონთან, წლეულს მართლაც ჩინებულად მოჭიდავე რუსთან, ევროპის მოქმედ ჩემპიონ **ტაგირ ხაიბულაევთან** დამარცხდა, მაგრამ ცირეკიძემაც გამოცდილ ფალავანთან, მასპინძელ **დმიტრი პეტერსთან** წააგო. მანამ ისე მოხდა, რომ ორივემ ერთსა და იმავე ფალავნებს მოუგო და არჩევანის გაკეთება მართლაც ძნელი იყო, მაგრამ ხაბარელი უფრო გამოცდილ და ტიტულოვან ცირეკიძეს ენდო. შეგახსენებთ - წლეულს მან ჰამბურგის „დიდ პრიზზეც" იჭიდავა და იქაც მესამეზე გავიდა. გერმანიაში ასევე თანაბრად იჭიდავეს ხანჯალიაშვილმა და მისმა კონკურენტმა **ადამ ოქრუაშვილმაც**, მაგრამ ხაბარელმა არჩევანი ხანჯალიაშვილზე შეაჩერა. სავარაუდოდ, უფრო იმიტომ, რომ ოქრუაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაამართლა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# პირველი გამარჯვებები

**ნიკოლოზ ბასილაშვილმა** პროფესიული კარიერა იმედისმომცემად დაიწყო. მართალია, 17 წლის ჩოგბურთელმა ბოლოს ოდნავ მოუკლო ტემპს, მაგრამ პროგრესი მაინც შესამჩნევია და ეს ყველაზე კარგად მსოფლიო კლასიფიკაციაში ისახება - დღეისათვის ნიკა მსოფლიოს 722-ე ჩოგანია და ქართველებში მხოლოდ **ირაკლი ლაბაძეს** ჩამორჩება. მეტის მიღწევა, რომ ძალუძს, მოსკოვში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზეც (15 ათასი §) გამოჩნდა. ბასილაშვილი ბოლო მომენტში მოხვდა ძირითად ბადეში, სადაც ლამის ყველაზე დაბალრეიტინგიანი მონაწილეა, მიუხედავად ამისა, პირველ წრეში ყველაზე ხმაურიანი სენსაცია სწორედ მისი ჩოგნის დამსახურებაა. ნიკამ მე-2 ნომრად განთესილ რუს **ილია ბელიაევს** (337) სამ სეტში მოუგო - 2:6, 6:4, 6:4. არადა, 18 წლის რუსი ლამის 400 ადგილით არის წინ რეიტინგში. მერვედფინალში ბასილაშვილს კვლავ რუსი მეტოქე ეყოლება, 31 წლის **სერგეი კროტიუკი** (517). უცნაურია, მაგრამ კროტიუკს ყველაზე კარგი სეზონი კარიერაში წლეულს აქვს. შეგახსენებთ, რომ ვაჟთა შორის სარეიტინგო ქულები უფრო ძნელად მოსაპოვებელია, ვიდრე ქალებში. მაგალითად, ასეთი დონის ტურნირში მეოთხედფინალში გასვლაა საჭირო მინიმალური ქულების (2) მოსაპოვებლად.

მოსკოვური ტურნირის წყვილთა ბადეში ნიკოლოზ ბასილაშვილი რუს **ერვანდ გასპარიანთან** (1438) ერთად თამაშობს. პირველ წრეში მათ უბრძოლველად იმარჯვეს, რადგან პირველ ნომრად განთესილები, **დენის მაცუკევიჩი** (550) და **არტიომ სიტაკი** (475) არ გამოცხადნენ, მიზეზი მაცუკევიჩის ტრავმაა. მეოთხედფინალში ბასილაშვილი და გასპარიანი ჰოლანდიელი **რომანო ფრანტცენის** (579) და ირლანდიელი **ჯეიმს მაგგის** (446) დუეტს დაუპირისპირდებიან. ზემოთ ვთქვით, რომ ბოლო დროს ნიკამ ოდნავ მოუკლო თამაშს, ეს მართლაც ასე იყო - ივნისში ამერიკულ ჩიკოში ნახევარფინალში გასვლის შემდეგ ქართველს ტურნირის ძირითად ბადეში მოგებული აღარ ჰქონდა.

ბელგიურ კოკსიიდეში ქალ ჩოგბურთელთა 25-ათასიანი ტურნირი მოგებით დაიწყო **სოფიო შაფათავამ** (311). მართალია, მისი პირველი მეტოქე არ იყო ძლიერი, მაგრამ სასიხარულოა, რომ შაფათავამ ბოლოდროინდელი წარუმატებლობების ფონზე დამაჯერებლად იმარჯვა. მან ბელგიელი **ინეკ მერგაერტი** (1007) 6:3, 6:4 დაამარცხა. ტურნირის მერვედფინალში სოფიო შაფათავას მეტოქე მე-8 ნომრად განთესილი არგენტინელი **ვერონიკა ლეპორე** (269) იქნება. 20 წლის ქართველი არგენტინელ თანატოლს აქამდე არასოდეს შეხვედრია. ბასილაშვილის მსგავსად, შაფათავამაც ივნისის შემდეგ პირველად მოიგო საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში. მოსკოვში საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი §) წყვილთა ბადეში აგრძელებს ბრძოლას **ეკა გორგოძე** (481), სხვები კი ამ კვირაში ისვენებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# მოგება-წაგება კრისტიანსანდში

ნორვეგიის ქალაქ კრისტიანსანდში დაწყებულ მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქალთა ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ** გათამაშების პირველ დღეს გამართული ორი შეხვედრიდან ერთი მოიგო.

ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც ტურნირზე მე-12 ნომრად არიან განთესილნი, პირველ შეხვედრაში 21-ე ნომრად განთესილი რუსული დუეტი **ბოიკო-ვასინა** დაამარცხეს სამ სეტში - 21:18, 24:26, 15:9.

მეორე მატჩში კი მეტოქე საქართველოს ბევრად ძლიერი ერგო. ავსტრიული დუეტი **ჰანსელი-მონტანიოლი** შეჯიბრებაზე მე-5 ნომრადაა განთესილი და ფავორიტად მიიჩნევა. ჩვენმა ფრენბურთელებმა საკადრისი წინააღმდეგობა გასწიეს, მაგრამ მაინც ორ სეტში დამარცხდნენ - 18:21, 19:21.

მორიგ შეხვედრას საქა-რთველო დღეს გამართავს სავარაუდოდ ლატვიურ დუეტ **მინუსა-ჯურსონესთან**, რომელიც ტურნირზე 22-ე ნომრადაა განთესილი. ჩვენს ფრენბურთელებს დამარცხების უფლება აღარ აქვთ.

დღესვე ჩაებმება ასპარეზობაში ვაჟთა შორის ქართული წყვილი **გეორგია**.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ქუთაისი იტალიაში დაეხმარება

## ტურნირებზე რომ უცხოდ არ იგრძნონ თავი

აგვისტოს მიწურულს იტალიის ქალაქ სან ჯორჯოში სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკე გოგონათა და ჭაბუკთა ევროპის პირველობა დაიწყება. საქართველოდან ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება დაიმსახურეს: 10-წლიანებში - **ალექსანდრე ურდულაშვილმა** (თბილისი) და **ნინო დახუნდარიძემ** (ქუთაისი), 12-წლიანებში - **გიორგი სიბაშვილმა** (თბილისი) და **ადა ქაქუთიამ** (ფოთი), 14-წლიანებში - **ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა** და **ნატო იმნაძემ** (ორივე - თბილისი), 16-წლიანებში - **ზურაბ ჯავახაძემ, მერი არაბიძემ** (ორივე - ქუთაისი), **ნოდარ ლორთქიფანიძემ** (ბათუმი) და **მარიამ დანელიამ** (თბილისი), 18-წლიანებში - **ქეთი ნანალაშვილმა** (თელავი) და **ლუკა პაიჭაძემ** (რუსთავი).

ზემოთ ჩამოთვლილმა მოჭადრაკეებმა ქუთაისში მოიყარეს თავი, სადაც სამი მწვრთნელის დახმარებით ორკვირიან შეკრებას გაივლიან. ამ ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორია საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია (პრეზიდენტი, დიდოსტატი **გია გიორგაძე**).

- ჩვენმა ახალგაზრდებმა შარშანდელ ევროპის პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს. ორი მათგანი (ნაზი პაიკიძე და მერი არაბიძე) შეჯიბრებიდან ჩემპიონის ოქროს მედლით დაგვიბრუნდა, - გვითხრა გია გიორგაძემ. - გვსურს, რომ წლევანდელ ტურნირზე შედეგები გავაუმჯობესოთ. საამისოდ უკეთ მომზადებაა საჭირო, ამიტომაც ბოლო ათწლეულებში პირველად ფედერაციამ გადაწყვიტა, იტალიაში გამგზავრებამდე მოზარდებისთვის საწვრთნელი შეკრება მოეწყო. ისინი გაივლიან სამედიცინო შემოწმებას, მოემზადებიან ფიზიკურად და თეორიულად. ყოველდღიურად ორჯერად მეცადინეობებს ენდშპილში, რომელიც ყოველთვის იყო ქართველი მოჭადრაკეებისთვის აქილევსის ქუსლი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით გურგენიძე გამართავს, ხოლო დებიუტებში ყმაწვილებს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი დააკვალიანებს. შეკრების განმავლობაში მოზარდებს დაეხმარება იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი ალექსანდრე არსენიძე, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელადაა დანიშნული.

ყოველთვის გვყავდა ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ნიჭიერი თაობა. მისი წარმომადგენლები წარმატებით გამოდიოდნენ მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე, თუმცა პროფესიონალებში გადასვლის პროცესი იყო მტკივნეული, ამიტომ გვინდა, რომ მოზარდები აქედანვე მიეჩვიონ ბრძენთა თამაშისადმი პროფესიულ მიდგომას. ჭადრაკი მხოლოდ დაფაზე ფიგურების გონივრული გადაადგილება როდია. ფიზიკურ-ფსიქოლოგიური მომზადებისთვის დიდი დროა საჭირო. შეკრება კი სწორედ ის ადგილია, სადაც ახალგაზრდები დამოუკიდებლად ყოფითი და პროფესიული პრობლემების მოგვარებას, თანადგომას ეჩვევიან. იტალიაში უცხოდ რომ არ იგრძნონ თავი, ქუთაისური შეკრებაც დაეხმარებათ. ვფიქრობ, მათთვის ევროპის პირველობა აქედანვე იწყება. სან ჯორჯოში წარმომადგენლობითი დელეგაცია გვეყოლება. მის შემადგენლობაში იქნებიან თანატოლთა შორის ტიტულებით გამორჩეულნიც. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი გოგო-ბიჭები ევროპის პირველობაზე წარმატებით გაგვახარებენ.

**- მოზარდების შეჯიბრების თითქმის პარალელურად ჩინეთში ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება...**

- დიახ, 10 ქვეყნის საუკეთესო დიდოსტატი მანდილოსნები 2 სექტემბრიდან დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ჩვენმა ქალებმა ურეკში უკვე გაიარეს საწვრთნელი შეკრება. ახლა საშეჯიბრო გამოცდილების ასამაღლებლად საერთაშორისო ტურნირებზე იასპარეზებენ. სოფიკო ხუხაშვილმა და ნანა ძაგნიძემ კავალაში უკვე მოსინჯეს ძალები. ხუხაშვილმა 6 ქულით ინდოელ ჰამპი კონერუსთან ერთად ქალებში პირველი-მეორე ადგილები გაინაწილა, თან პირადი რეიტინგი 17 პუნქტით გაიმდიდრა. ამგვარი წინსვლა ასეთ რთულ ტურნირში მართლაც მისასალმებელია. რაც შეეხება ძაგნიძეს, ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ ნანას შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მისგან ყოველთვის მეტს ველით. ელადაში ახალი ტურნირი დაიწყო და, იმედია, ძაგნიძე იქ უკეთ წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობებს. ამ შეჯიბრებაში ჩაება მაია ლომინეიშვილიც. გუნდის ლიდერი მაია ჩიბურდანიძე ამჟამად პირად მწვრთნელ ხვიჩა სუპატაშვილთან ერთად ვარჯიშობს. მალე დუბაის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრება და აგვისტოს მიწურულს ჩინეთში შემოგვიერთდება. ლელა ჯავახიშვილმა თბილისში გამართულ ორ დიდ ტურნირში წარმატებით იასპარეზა - დაამტკიცა, რომ ჩვეულ სპორტულ ფორმაშია. ახლა ინდივიდუალური მეცადინეობებით იმაღლებს ოსტატობას. ასე რომ, ჭადრაკის ფედერაციის ხელშეწყობით, შარშანდელი საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული საქართველოს ქალთა ნაკრებიც ყველაფერს ილონებს ჩინეთშიც მედლების მოსაპოვებლად.



**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

რაგბი. ლეგიონერები

# დავით კაჭარავა ნიცაში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ დივიზიონებში ასპარეზობა 20 სექტემბერს დაიწყება. ამიტომ სატრანსფერო ფანჯარა ჯერ კიდევ ღიაა და გუნდები თავიანთ სასურველ მორაგბეებთან აქტიურად აწარმოებენ მოლაპარაკებას.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე კვირიანი მოლაპარაკების შემდეგ, საქართველოს ნაკრების შუამარბმა **დავით კაჭარავამ** ფედერალ 1-ის დივიზიონში მოასპარეზე „ნიცასთან" გააფორმა ხელშეკრულება.

კაჭარავა მესამე ქართველია, ვინც ამ კლუბის კვართს მოირგებს. მანამდე ნიცელთა რიგებში მესამეხაზელები **რატი ურუშაძე** და **დიმა პავლოვი** თამაშობდნენ. მეტიც, პავლოვი რამდენიმე სეზონის განმავლობაში გუნდის კაპიტანიც იყო.

ამასთან ფრანგულმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ ნიცის მეზობელმა, კანის სარაგბო კლუბმა, ფინანსური კრიზისის გამო არსებობა შეწყვიტა. ამდენად „კან მანდეოში" მოასპარეზე ოთხი ქართველი მორაგბე **ალექსანდრე მჭედლიშვილი, რეზო ბელქანია, ილია კახოიძე** და **ზვიად მათიაშვილი** ამჟამად უგუნდოდ არიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ევრო-2007. საკვალიფიკაციო ეტაპი

# პირველი უცხოელი მწვრთნელი, პირველი ნატურალიზებული...

გეხსომებათ, გუშინდელ ნომერში ევრო-2003-ის შესარჩევ ეტაპზე ვისაუბრეთ. ამის შემდეგ იყო ევრო-2007-ის საკვალიფიკაციო ეტაპი. 2003-დან 2007-მდე ოთხი წელია, ევროპის ჩემპიონატები კი ორ წელიწადში ერთხელ იმართება, მაშ რატომ გაჩნდა ასეთი დიდი შუალედი?

ფიბა-ს ჩვენც ამას ვეკითხებით, მაგრამ ეს ორგანიზაცია შეუვალია – 2003 წელს ნაკრებების ორ დივიზიონად გაყოფა გადაწყვიტა. მანამდე ნაჩვენები არასახარბიელო შედეგების გათვალისწინებით ქართველები ქვედა ეშელონში მოხვდნენ, საიდანაც ამოსვლას 2 წელი უნდა, მესამე წელი ევროპის პირველობის შესარჩევს ეთმობა და... მოკლედ, 2004 წელს B დივიზიონში გამართული პირველი მატჩიდან ევროპის ჩემპიონატამდე 4 წელი გვაშორებდა. ზემოთ ნახსენები შუალედიც ამიტომ გაჩნდა.

21-ე საუკუნეს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები მოდერნიზებული დახვდა: ფედერაციამ ჩამოიყვანა უცხოელი მწვრთნელი, ხორვატი **დრაჟენ ბრაიკოვიჩი**; საქართველოს პასპორტი უბოძა NBA-მოვლილ გამთამაშებელ **შემონდ უილიამსს**... არ უნდა დაგვავიწყდეს, მაშინ NBA-ში **ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვლადიმერ სტეფანია** და **ზაზა ფაჩულია** თამაშობდნენ, ჰოდა, მივიღეთ მეტად ამბიციური გუნდი.

ერთი შეხედვით საოცნებო ნაკრებში ყველაფერი ისე ვერ წარიმართა, როგორც გვსურდა. ჯერ „პორტლენდმა" გამოგვიგზავნა წერილი – ვლადიმერ სტეფანიას არანაირ თანხად არ დავაზღვევთ და საქართველოში მისი წამოსვლა კლუბის დატოვების ტოლფასი იქნებაო, შემდეგ აღმოჩნდა, რომ დრაჟენ ბრაიკოვიჩი თანაშემწე **ზურაბ ტომარაძესთან** გაბუტული იყო. კალათბურთელებმა პირდაპირ თქვეს – გაცილებით ძლიერ მწვრთნელს ვიმსახურებთო...

პირველ მატჩში ფინეთთან ქართველები 12 ქულით ჩამოვრჩით, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში შემონდ უილიამსის სამქულიანებმა გადაგვარჩინა. მეორე მატჩი მაკედონიაში გვქონდა, რომლის შემადგენლობაში არც **ილიევსკი** იყო და არც **სტეფანოვი**, მაგრამ მწვრთნელმა უილიამსთან ერთად ახალგაზრდა **ცინცაძე** და **მარკოიშვილი** მეტოქეს შეაკლა (40 წუთი ათამაშა), მათ ბოლო წამებზე ძალა აღარ ეყოთ და წავაგეთ...

მომდევნო წელს საქართველოში ჩამოსულმა მაკედონელთა თავკაცმა **იორდანკო დავიტკოვმა** გაკვირვებით აღნიშნა: ახლაც ვერ წარმომიდგენია ის მატჩი როგორ წააგეთ, მაკედონიის ნაკრები განახევრებული შემადგენლობით თამაშობდაო.

2005 წელს, ციკლის მეორე ნახევარში ქართველებს ახალი მწვრთნელი, **გორდონ ჰერბერტი** შეუძლვათ, მაგრამ მისმა გუნდმა ფინეთში წააგო, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ფლეი ოფშიც მაკედონია გავიდა.

სხვათა შორის, ნიკა ცქიტიშვილის კარიერის საუკეთესო მატჩები სწორედ 2005 წელზე მოდის: ფინეთში 6 სამქულიანი ჩააგდო, 23 ქულა, 4 მოხსნა, 4 დაფარება მიითვალა; მაკედონიასთან კი – 19 ქულა და 13 მოხსნა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



**11.09.2004**

**საქართველო–ფინეთი 85:78**

21:23, 16:22, 21:11, 27:22

საქართველო: უილიამსი (40 წთ. 19 ქ. 10 პ. 4 მ. 1 ჩ.), მარკოიშვილი (37 წთ. 12 ქ. 6 მ. 2 პ.), ცქიტიშვილი (17 წთ. 4 ქ. 3 მ.), ბოისა (35 წთ. 15 ქ. 12 მ. 1 პ. 1 ჩ.), ფაჩულია (38 წთ. 30 ქ. 12 მ. 2 პ. 4 ჩ.), ცინცაძე (18 წთ. 4 ქ. 3 მ. 3 პ. 2 ჩ.), ხეცურიანი (15 წთ. 1 ქ. 2 მ. 1 პ.)

**15.09.2004**

**მაკედონია–საქართველო 81:77**

23:22, 19:13, 21:22, 18:20

საქართველო: უილიამსი (40 წთ. 27 ქ. 2 მ. 6 პ. 1 ჩ.), მარკოიშვილი (40 წთ. 4 ქ. 3 მ. 3 პ. 3 ჩ. 1 დ.), ცინცაძე (40 წთ. 5 ქ. 4 მ. 3 ჩ.), ბოისა (34 წთ. 17 ქ. 2 მ. 1 პ.), ფაჩულია (24 წთ. 15 ქ. 8 მ. 1 პ. 1 დ.), ცქიტიშვილი (17 წთ. 9 ქ. 3 მ. 1 ჩ.), ბერძენიშვილი (4 წთ. 2 მ.), კილაძე (1 წთ)

**18.09.2004**

**ლუქსემბ.–საქართველო 61:87**

21:26, 15:18, 19:20, 6:23

საქართველო: უილიამსი (40 წთ. 15 ქ. 5 მ. 9 პ. 6 ჩ. 1 დ.), მარკოიშვილი (29 წთ. 13 ქ. 4 მ. 4 პ. 4 ჩ.), ბოისა (33 წთ. 20 ქ. 14 მ. 1 პ. 3 ჩ.), ცქიტიშვილი (26 წთ. 7 ქ. 4 მ. 1 პ. 3 ჩ.), ფაჩულია (21 წთ. 16 ქ. 10 მ. 1 პ. 2 ჩ.), გამყრელიძე (11 წთ. 5 ქ. 1 მ. 1 პ. 2 ჩ), ცინცაძე (22 წთ. 8 ქ. 2 მ. 1 პ. 1 ჩ.), ხეცურიანი (18 წთ. 3 ქ. 1 მ. 1 პ. 2 ჩ.).

**03.09.2005**

**ფინეთი–საქართველო 87:79**

22:24, 26:14, 18:25, 21:16

საქართველო: უილიამსი (40 წთ. 21 ქ. 6 პ. 3 მ. 4 ჩ.), ცქიტიშვილი (36 წთ. 23 ქ. 4 მ. 1 პ. 4 დ.), ვ. ბოისა (35 წთ. 5 ქ. 5 მ. 1 პ.), ა. ბოისა (14 წთ. 2 ქ. 1 მ.), ფაჩულია (34 წთ. 22 ქ. 14 მ. 1 ჩ.), ცინცაძე (28 წთ. 6 ქ. 3 მ.), ხეცურიანი (6 წთ. 1 ჩ.), გამყრელიძე (7 წთ.)

**07.09.2005**

**საქართველო–მაკედონია 73:60**

15:20, 16:16, 16:13, 26:11

საქართველო: უილიამსი (37 წთ. 18 ქ. 6 პ. 5 მ.), ცქიტიშვილი (34 წთ. 19 ქ. 13 მ. 3 პ. 3 ჩ.), ვ. ბოისა (35 წთ. 20 ქ. 5 მ. 3 პ. 5 ჩ.), ა. ბოისა (18 წთ. 1 მ. 3 პ.), ფაჩულია (40 წთ. 13 ქ. 13 მ. 4 პ. 1 ჩ.), ცინცაძე (8 წთ. 1 მ.), გამყრელიძე (25 წთ. 3 ქ. 4 მ. 4 პ. 1 ჩ.),

**11.09.2005**

**საქართველო–ლუქსემბ. 87:65**

24:7, 18:19, 22:19, 23:20

საქართველო: გამყრელიძე (26 წთ. 5 ქ. 1 მ. 11 პ. 1 ჩ.), ცქიტიშვილი (28 წთ. 8 ქ. 5 მ. 1 პ. 2 ჩ. 1 დ.), ვ. ბოისა (30 წთ. 25 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ.), ა. ბოისა (23 წთ. 1 მ. 2 პ.), ფაჩულია (31 წთ. 30 ქ. 21 მ. 4 პ. 2 ჩ. 1 დ), ცინცაძე (17 წთ. 4 ქ, 2 პ. 1 ჩ.), საყვარელიძე (12 წთ, 3 ქ. 1 პ.), კეიდია (3 წთ.), გ. მარკოიშვილი (9 წთ. 8 ქ. 1 პ. 1 ჩ.), უგრეხელიძე (7 წთ. 2 ქ. 1 მ. 2 ჩ.), ხეცურიანი (11 წთ. 1 პ), მდივანი (3 წთ, 2 ქ. 1პ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| მაკედონია | 6 | 5 | 1 | 11 |
| საქართველო | 6 | 4 | 2 | 10 |
| ფინეთი | 6 | 3 | 3 | 9 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 6 | 6 |

ჭადრაკი

# გამარჯვებული 4500 ევროს მიიღებს

სანკტ-პეტერბურგში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ათი უძლიერესი დიდოსტატი მანდილოსანი მონაწილეობს. მათ შორის არიან 2000 წლის ევროპის ჩემპიონი და 2006 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნატალია ჟუკოვა** (უკრაინა, 2455), 2003 ევროპის ჩემპიონი და 2008 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტი **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2525), 2006 წლის ევროპის ჩემპიონი **ეკატერინა ატალიკი** (თურქეთი, 2434), ორგზის ევროპის ვერცხლის პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტი **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტვა, 2470), ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი, ჰოლანდიის შვიდგზის ჩემპიონი **ჩჟაოცინ პენი** (2418), ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, საქართველოს სამგზის და დიდი ბრიტანეთის ოთხზის ჩემპიონი **ქეთევან არახამია-გრანტი** (2506).



შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართება. თითოეული პარტიისთვის მოჭადრაკეებს ეძლევათ 90 წუთი, პლუს 30 წუთი პარტიის ბოლომდე ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. ტურნირის საპრიზო ფონდია 18700 ევრო. გამარჯვებული 4500 ევროს მიიღებს.

გუშინ გათამაშდა მეორე ტურის პარტიები. გაგაცნობთ მათ შედეგებს:

**ჩჟაოცინ პენი-პია კრამლინგი 0:1, ვიქტორია ჩმილიტე-ქეთევან არახამია 1:0, ირინა ტუროვა-ეკატერინა ატალიკი 0.5:0.5, იულია დიომინა-ნატალია ჟუკოვა 0.5:0.5, ანასტასია ბოდნარუკი-ელიზაბეტ პეტცი 0:1.**

დღეს მესამე ტურში ითამაშებენ: პეტცი-პენი, ჟუკოვა-ბოდნარუკი, ატალიკი-დიომინა, არახამია-ტუროვა, კრამლინგი-ჩმილიტე.

ვაჟა დანელია

# შესვენებამ ზოგს არგო და ზოგს ვერა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ გუშინ საბერძნეთში განახლდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი „აკროპოლისი 2009". საპრიზო ადგილებისთვის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად რვა ქართველი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატიც იბრძვის. გუშინ მეორე ტურის პარტიები გათამაშდა. გაუწყებთ ჩვენებურთა შეხვედრების შედეგებს: **ნანა ძაგნიძემ მარია დანილიდუ** დაამარცხა, **ლევან აროშიძემ ეპამინონდას კურუსისს** სძლია, **ინგა ხურცილავამ მიხაილა-ვერონიკა ფოიშორს** მოუგო, ხოლო **ნიჯათ მამედოვი** და **ნიკოლოზ შავთვალაძე, თამაზ გელაშვილი** და **იოანის პაპადოპულოსი, მაია ლომინეიშვილი** და **სოტირიოს მალიკენცოსი, გიორგია გრაფსა** და **ინგა ჭარხალაშვილი** დაზავდნენ. **სალომე მელია ედუარდას როზენტალისს** დანებდა.

ვაჟა დანელია

კალათბურთი

16-წლამდელთა ნაკრები. B დივიზიონი

**12 აგვისტო**

**მადეირა, პორტუგალია**

**საქართველო-ბელგია 66:70 დ.დ.**

13:27, 20:10, 11:18, 19:8, 3:7

**საქართველო:** გულმაგარაშვილი (25 წთ, 7ქ, 6მ), ლუდუშაური (1 წთ), რამიშვილი (31 წთ, 13ქ, 4პ, 4ჩ), ბურჯანაძე (39 წთ, 16ქ, 6მ, 2დ), ფხაკაძე (39 წთ, 5ქ, 8მ, 3პ, 3ჩ), ლოლიშვილი (36 წთ, 16ქ, 3ჩ), მიქელაძე (7 წთ, 1ქ), კვანტალიანი (2 წთ), ღვალაძე (11 წთ), მესხი (25 წთ, 5ქ), ნადირაძე (9 წთ, 3ქ)

**ბელგია:** ვანდენვეიერი (19ქ), ვან დერ პოორტენი (19ქ), ვლამინკი (10ქ), ოჟომოჰი (15ქ, 10მ, 6ჩ)

**ირლანდია-პორტუგალია 69:81**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. ბელგია | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. ირლანდია | 2 | 0 | 2 | 2 |

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე პირველი მატჩი გამართა და ბელგიასთან დამატებით დროში დამარცხდა – 66:70.

10 აგვისტოს ქართველებმა ფინეთთან მატჩში ბოლო პერიოდი 2:27 წააგეს. ამის შემდეგ **გია კაზანჯიანის** შეგირდებმა ბელგიასთან მატჩში ძალები ბოლო პერიოდისთვის შემოინახეს და მეტოქე 19:8 დაამარცხეს, თუმცა ასეთი სხვაობის მიუხედავად საფინალო სირენამ თანაბარი ანგარიში დააფიქსირა და მატჩი დამატებით დროში გადავიდა.

ოვერტაიმი „ქულაძუნწი" გამოდგა, ერთმა გუნდმა 3 ქულა ჩააგდო, მეორემ – 7. სამწუხაროდ, 3 ქულა ქართველებისა იყო და გამარჯვება ბელგიელებს დარჩათ – 70:66.

საქართველოს კადეტთა ნაკრები მომდევნო მატჩს დღეს 17 საათზე მასპინძელი პორტუგალიის წინააღმდეგ გამართავს.

ვაჟა სიმონიშვილი




ევრო-2009. საკვალიფიკაციო ეტაპი

# დაუვიწყარი ისლანდია

ევროპის 2009 წლის ჩემპიონატზე მოხვედრისთვის ბრძოლა 2006-ში დავიწყეთ. ფინეთი ამჯერადაც ჩვენს ჯგუფში აღმოჩნდა და, ცხადია, გვეგვასწრო. წლეულს საქართველოს უმცროსი ასაკის ნაკრებებმა ფინეთთან სამჯერ ითამაშეს და სამჯერვე წააგეს. გამოდის, რომ ფინური კალათბურთი ჩვენზე წინაა და ამიტომაც მათი ეროვნული ნაკრები ჩვენზე ადრე შევიდა A დივიზიონში. სხვათა შორის, სუომელებმა (ასე უძახიან ფინელები საკუთარ თავს) შარშან სერბეთი დაამარცხეს...



...თუმცა, იყო შანსი, საქართველო საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით მაინც აღმოჩენილიყო პლეი ოფში, მაგრამ 2007 წლის 29 აგვისტოს ქართული კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ცუდი მატჩი ვიხილეთ: ისლანდიას სირენამდე 3 წამით ადრე 3 ქულის სხვაობით ვუგებდით. კუნძულელი კალათბურთელი საჯარიმოს ხაზზე დადგა, ერთი ჩააგდო, მეორე განგებ ააცილა, ფარიდან ასხლეტილ ბურთს ისლანდიელები დაეუფლნენ და თითქმის ცენტრიდან სამქულიანი ჩაგვიგდეს – 76:75. ამ წაგების „წყალობით" საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსი სხვა ჯგუფის ბინადარს, შვეიცარიას დავუთმეთ...

ისლანდიასთან მატჩს ფინეთთან საშინაო შეხვედრა მოჰყვა. თბილისში ბოლო წამებზე ვიმარჯვეთ, თუმცა ის თამაში ქართული კალათბურთის გულშემატკივარს სხვა ამბით დაამახსოვრდებოდა. გასახდელისკენ მიმავალმა **ზაზა ფაჩულიამ** საქვეყნოდ გამოაცხადა – სათანადოდ ვერ მოვემზადეთ, პირობები არ იყოო.

ამ ფრაზას მოჰყვა ათასი კუდი, თუმცა ზაზას დღემდე არ უთქვამს პირობების არქონაში რას გულისხმობდა. **ვატო ნაცვლიშვილმა** კი ციკლის დასრულებისთანავე აღნიშნა: ისლანდიაში წაგება მწვრთნელის ბრალი იყო, გუნდში დისციპლინა ნულის დონეზე იყო, ზაზასაც მხედველობაში მწვრთნელი უნდა ჰყოლოდაო...

გგონიათ, მაშინ მთავარ მწვრთნელად ისევ **გორდონ ჰერბერტი** მუშაობდა? არა, ბატონო, იგი ივლისში ბერძნული „არისის" თავკაცად დაინიშნა და ნაკრებს უარი სტკიცა. მისი პოსტი ეროვნულში მანამდე თანაშემწედ მომუშავე **კენ შილდსმა** დაიკავა, რომელიც ოთხი მატჩის შემდეგ ისე დაგვემშვიდობა, უკან არც მოუხედავს.

ევრო-2009-ის შესარჩევი გამთამაშებლად **შემონდ უილიამსმა** დაიწყო და **ტაირონ ელისმა** დაასრულა. ტაირონი გუნდში შემონდის ნაცვლად პირველად 2007 წელს გამოჩნდა. იგი თავიდან გამთამაშებლის ფუნქციებს ასრულებდა, თუმცა **გიორგი ცინცაძის** პროგრესის შემდეგ მსროლელად გადაინაცვლა. ხვალ, მიმდინარე ციკლზე გესაუბრებით.

ვაჟა სიმონიშვილი

**03.09.2006**

**საქართველო-ლუქსემბ. 86:44**

25:15, 27:11, 17:13, 22:5

ელისი (27 წთ. 12 ქ. 4 მ. 5 პ. 1 ჩ), მ. მარკოიშვილი (25 წთ. 11 ქ. 4 მ. 1 პ. 2 ჩ. 1 დ.), ა. ბოისა (15 წთ. 2 ქ. 3 მ. 2 პ), ვ. ბოისა (17 წთ. 11 ქ. 3 მ. 2 პ. 1 ჩ.), ფაჩულია (26 წთ. 7 ქ. 5 მ. 1 პ. 3 ჩ.), გამყრელიძე (13 წთ. 2 ქ. 6 პ. 4 ჩ. 1 დ), ცინცაძე (22 წთ. 15 ქ. 4 მ. 3 პ. 1 ჩ.), ცქიტიშვილი (13 წთ. 7 ქ. 4 მ.), შერმადინი (4 წთ. 2 ქ. 3 მ), სანიკიძე (21 წთ. 6 ქ. 5 მ. 1 პ. 3 ჩ.), ნაცვლიშვილი (11 წთ. 7 ქ. 5 მ. 1 პ)უგრეხელიძე (6 წთ. 4 ქ),

**06.09.2006**

**ავსტრია-საქართველო 63:68**

19:13, 22:13, 15:24, 7:18

ელისი (37 წთ. 20 ქ. 5 მ. 5 პ. 1 ჩ. 1 დ.), მ. მარკოიშვილი (27 წთ. 9 ქ. 2 მ. 1 ჩ.), ა. ბოისა (10 წთ. 3 მ), ვ. ბოისა (33 წთ. 5 ქ. 2 მ.), ფაჩულია (35 წთ. 24 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ.), გამყრელიძე (19 წთ. 2 ქ. 4 პ. 1 მ.), ცინცაძე (7 წთ.), ცქიტიშვილი (11 წთ. 3 ქ. 2 მ. 1 ჩ.), სანიკიძე (21 წთ. 5 ქ. 6 მ.), ნაცვლიშვილი (1 წთ)

**09.09.2006**

**საქართველო-ისლანდია 80:65**

19:13, 19:14, 20:19, 22:19

ელისი (26 წთ. 3 ქ. 5 მ. 2 პ. 2 ჩ. 1 დ.), მ. მარკოიშვილი (10 წთ. 3 ქ. 2 მ. 1 პ.), ა. ბოისა (12 წთ. 2 ქ. 3 ჩ.), ვ. ბოისა (26 წთ. 16 ქ. 7 მ. 1 პ. 1 ჩ.), ფაჩულია (27 წთ. 21 ქ. 12 მ. 2 პ. 1 დ.), გამყრელიძე (24 წთ. 3 ქ. 3 პ. 3 მ. 1 ჩ.), ცინცაძე (18 წთ. 2 ქ. 2 მ. 2 პ. 1 ჩ), ცქიტიშვილი (22 წთ. 15 ქ. 9 მ. 1 პ. 1 ჩ. 1 დ.), სანიკიძე (25 წთ. 6 ქ. 7 მ. 2 პ. 1 ჩ.), ნაცვლიშვილი (6 წთ. 4 ქ. 1 მ. 1 პ.), უგრეხელიძე (2 წთ. 2 ქ. 1 მ), შერმადინი (2 წთ. 3 ქ. 1 მ)

**13.09.2006**

**ფინეთი-საქართველო 91:81**

29:15, 25:21, 14:18, 23:27

საქართველო: ელისი (32 წთ. 13 ქ. 2 მ.), მ. მარკოიშვილი (34 წთ. 16 ქ. 6 მ. 1 პ.), ა. ბოისა (9 წთ.), ვ. ბოისა (33 წთ. 12 ქ. 7 მ. 1 პ.), ფაჩულია (32 წთ. 36 ქ. 13 მ. 1 ჩ.), გამყრელიძე (27 წთ. 3 პ. 2 მ.), ცინცაძე (4 წთ.), ცქიტიშვილი (20 წთ. 4 ქ. 6 მ. 1 პ.), სანიკიძე (9 წთ. 1 მ.), ნაცვლიშვილი (1 წთ)

**21.08.2007**

**ლუქსემბ.-საქართველო 60:88**

8:26, 18:24, 21:19, 13:19

ელისი (28 წთ. 10 ქ. 1 პ. 4 ჩ.), მ. მარკოიშვილი (27 წთ. 16 ქ. 2 პ. 1 დ.), ა. ბოისა (10 წთ), სანიკიძე (22 წთ. 4 ქ. 6 მ. 2 პ. 2 ჩ. 2 დ.), ფაჩულია (31 წთ. 16 ქ. 5 მ. 1 ჩ. 1 დ.), გამყრელიძე (11 წთ. 10 ქ. 1 პ. 3 მ. 3 ჩ.), ცინცაძე (20 წთ. 8 ქ. 4 მ. 1 პ. 1 ჩ.), ნაცვლიშვილი (21 წთ. 14 ქ. 5 მ. 1 პ. 1 ჩ.), ტულუში (16 წთ. 3 ქ. 1 მ), უგრეხელიძე (7 წთ. 2 ქ. 2 მ), ბაბიაშვილი (4 წთ), შერმადინი (3 წთ. 5 ქ. 4 მ)

**25.08.2007**

**საქართველო-ავსტრია 85:74**

21:22, 21:15, 24:19, 19:18

ცინცაძე (33 წთ. 5 მ. 2 პ. 3 ჩ.), ელისი (36 წთ. 14 ქ. 3 პ. 1 ჩ.), მ. მარკოიშვილი (27 წთ. 22 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ.), სანიკიძე (32 წთ. 14 ქ. 9 მ. 3 პ. 1 ჩ. 1 დ.), ფაჩულია (38 წთ. 25 ქ. 5 მ. 3 პ. 1 დ.), გამყრელიძე (5 წთ.), ნაცვლიშვილი (23 წთ. 5 ქ. 7 მ. 1 პ. 1 ჩ.), ტულუში (6 წთ. 5 ქ. 2 მ. 1 ჩ.)

**29.08.2007**

**ისლანდია-საქართველო 76:75**

18:23, 18:15, 16:17, 24:20

საქართველო: ელისი (36 წთ. 14 ქ. 3 პ. 1 ჩ.), ა. ბოისა (17 წთ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ), მ. მარკოიშვილი (39 წთ. 16 ქ. 3 მ. 3 პ. 3 ჩ. 1 დ.), სანიკიძე (7 წთ. 3 ქ. 5 მ), ფაჩულია (38 წთ. 15 ქ. 11 მ. 4 პ. 2 ჩ. 4 დ.), ვ. ბოისა (28 წთ. 14 ქ. 7 მ. 1 პ. 1 ჩ.), ცინცაძე (22 წთ. 9 ქ. 4 მ. 1 პ. 3 ჩ.), გამყრელიძე (3 წთ.), ნაცვლიშვილი (7 წთ. 1 ქ. 1 დ.)

**01.09.2007**

**საქართველო-ფინეთი 77:76**

26:25, 21:20, 19:19, 11:12

საქართველო: ცინცაძე (12 წთ. 3 ქ. 1 მ. 1 პ.), ელისი (32 წთ. 17 ქ. 5 მ. 3 პ.), მ. მარკოიშვილი (31 წთ. 8 ქ. 1 მ. 3 პ. 1 ჩ.), ვ. ბოისა (25 წთ. 9 ქ. 3 მ.), ფაჩულია (35 წთ. 15 ქ. 13 მ. 5 პ. 1 ჩ. 6 დ.), გამყრელიძე (26 წთ. 11 ქ. 5 მ. 3 პ. 3 ჩ.), ა. ბოისა (11 წთ. 6 ქ. 2 მ. 2 დ), ნაცვლიშვილი (20 წთ. 7 ქ. 10 მ. 2 პ. 1 დ.), ტულუში (8 წთ. 1 ქ. 1 პ. 1 ჩ.)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 8 | 7 | 1 | 15 |
| საქართველო | 8 | 6 | 2 | 14 |
| ისლანდია | 8 | 4 | 4 | 12 |
| ავსტრია | 8 | 3 | 5 | 11 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 8 | 8 |



# ლელო წარმოგიდგენთ ქართული სპორტის ქრონიკები

## ქართული სპორტის მატიანე
# სასტენდო სროლა

სანადირო თოფით საფანტის მიზანში სროლა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდანაა ცნობილი. იმდროინდელი მონადირეები რაიმე საგანს ააგდებდნენ და ერთმანეთს სროლის სიზუსტეში ეჯიბრებოდნენ. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სამიზნედ გარეულ მტრედებს იყენებდნენ და ასეთი შეჯიბრებები XVIII-XIX საუკუნეებში ძალზე პოპულარული იყო საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში. მოგვიანებით ბოსტონელმა მსროლელებმა ცოცხალი სამიზნეები შუშის ბურთულებით შეცვალეს. 1880 წლიდან კი თიხის თეფშები შემოიღეს.

სასტენდო სროლა ოლიმპიურ პროგრამაში 1900 წელს პარიზის მეორე ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანეს. ევროპის ჩემპიონატი 1929 წლიდან იმართება, მსოფლიოს ჩემპიონატი კი კაცებისათვის 1929 წლიდან და ქალებისათვის 1962 წლიდან ტარდება.

ტყვიის სროლის საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1907 წლის 7 ივლისს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში. დღეისათვის აერთიანებს 158 ქვეყნის ფედერაციას და 5 კონტინენტურ ასოციაციას.

საქართველოში სასტენდო სროლას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 30-იან წლებში, პირველ საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ **ვლადიმერ ჯაბახაძე, გურგენ ავალოვი, პეტრე სარქისოვი** და **დავით ცაგარეიშვილი.** 50 - იანი წლებიდან საკავშირო სარბიელზე წარმატებულად გამოდიოდნენ **ბორის ანტონოვი** და **ზურაბ მაჩხანელი.** 1955 წელს ბორის ანტონოვი ევროპის ჩემპიონი გახდა მრგვალ სტენდზე სროლაში. მოგვიანებით ასპარეზობაზე გამოვიდნენ **ტარიელ ჟღენტი** და **თამაზ იმნაიშვილი,** რომლებმაც მაღალი მიღწევებით ისახელეს თავი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. 70-იან წლებში თავი გამოიჩინა **თემურ მატოიანმა** - ევროპის თასის მფლობელმა და მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა. 90 -იან წლებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა **მაია გუბიევა,** რომელიც ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი ქალია სპორტის ამ სახეობაში, ვინც ასეთ წარმატებას მიაღწია. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოასპარეზე ჩვენმა მესტენდურებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს 1995 წელს, როდესაც **თამაზ იმნაიშვილმა, დავით ქვათაძემ** და **გივი შენგელიამ** ჯერ მსოფლიოს თასის გათამაშებაზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატებზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

დამოუკიდებელი საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1 ივნისს. 1992 წელს ტყვიის სროლის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრდა.

საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტია **დავით ქარსელაძე.**

საქართველოს მესტენდურეებმა მედლები მოიპოვეს

**მსოფლიო ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

ბორის ანტონოვმა - 1958
მაია გუბიევამ - 1990
თამაზ იმნაიშვილმა - 1981
ტარიელ ჟღენტმა - 1971, 1973, 1974

**ვერცხლის მედალი**

მაია გუბიევამ - 1990
თამაზ იმნაიშვილმა - 1979, 1990, 1993 - 2
თეიმურაზ მატოიანმა - 1979
ტარიელ ჟღენტმა - 1983

**ბრინჯაოს მედალი**

ტარიელ დარასელიამ - 1967
თამაზ იმნაიშვილმა - 1979, 1981, 1986, 1990, 1993, 1995
ტარიელ ჟღენტმა - 1981
დავით ქვათაძემ - 1995
გივი შენგელიამ - 1995

მსოფლიოს ჩემპიონი - 4, ოქროს მედალი - 6.
ვერცხლის მედალოსანი - 4, მედალი - 7.
ბრინჯაოს მედალოსანი - 5, მედალი - 10.
სულ - 23 მედალი (6 ოქრო, 7 ვერცხლი, 10 ბრინჯაო).

**ევროპის ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

ბორის ანტონოვმა - 1955
მაია გუბიევამ - 1990
თამაზ იმნაიშვილმა - 19977, 1978, 1980, 1981, 1984, 1985, 1987
ტარიელ ჟღენტმა - 1972, 1973-2, 1974, 1975, 1981-2, 1984

**ვერცხლის მედალი**

თამაზ იმნაიშვილმა - 1973, 1974, 1975, 1982, 1984, 1985
ტარიელ ჟღენტმა - 1982

**ბრინჯაოს მედალი**

ბორის ანტონოვმა - 1955
მაია გუბიევამ - 1990
თამაზ იმნაიშვილმა - 1985

ევროპის ჩემპიონი - 4, ოქროს მედალი - 17.
ვერცხლის მედალოსანი - 2, მედალი - 7.
ბრინჯაოს მედალოსანი - 3, მედალი - 3.
სულ - 27 მედალი (17 ოქრო, 7 ვერცხლი, 3 ბრინჯაო).

*დასაწყისი: ლელო №52 (12731).*
*გაგრძელება იქნება*

**გურამ ძაგანია,** პროფესორი

ასე იწყებოდა...



აგვისტო, 1925 წელი.
ქართული ექსპედიცია იალბუზზე:
1. ლადო ფხალაძე
2. ვანიჩკა კუკავაძე
3. ლევან ყანჩაველი
4. ატო ალნიაშვილი
5. სიმონ ჯაფარიძე
6. შოთა ძაგნიძე
7-8. ირმა და სონია (გვარი არ არის მითითებული)
9. მაგდა კობიაშვილი
სურათი გადაღებულია ექსპედიციის თავკაცის გიორგი ნიკოლაძის მიერ. ეს ფოტო იმ წლებში საფოსტო ბარათად გამოიცა.

# ქართული ალპინიზმის სათავეებთან

ქართული სპორტული ალპინიზმის ისტორია ოფიციალურად 1923 წლიდან იწყება, როცა პროფესორების **გიორგი ნიკოლაძისა** და **ალექსანდრე დიდებულიძის** ხელმძღვანელობით აგვისტო-სექტემბერში ზედიზედ ორი ექსპედიცია მოეწყო მყინვარწვერზე.

ორი წლის შემდეგ ასევე გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა პირველი საბჭოური ასვლა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე.

ამ ასვლებით საფუძველი ჩაეყარა ქართული სპორტული ალპინიზმის განვითარებას, რომელიც უფრო და უფრო დიდ სიმაღლეებს აღწევდა. მომდევნო მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო უშბაზე და-ძმა **ალექსანდრა** და **ალიოშა ჯაფარიძეების, იაგორ კაზალიკაშვილისა** და **გიო ნიგურიანის** ასვლა 1934 წელს, რამაც სათავე დაუდო საბჭოურ ასვლებს და ტექნიკურად რთული მწვერვალების ათვისებას. ამას მოჰყვა 1937 წელს იმავე მწვერვალზე პირველი კლდოვანი ასვლა, რომელშიც მონაწილეობდნენ **გაბრიელ, ბექნუ** და **ბესარიონ ხერგიანები, ჭიჭიკო ჩართოლანი** და **მაქსიმე გვარლიანი.** ქართველმა მთამსვლელებმა სათავე დაუდეს ტრავერსების კლასსაც. ისინი კავკასიონის, პამირისა თუ ტიან-შანის მთებში მრავალ მწვერვალზე პირველამსვლელები და ბევრი ახალი, ურთულესი მარშრუტის გამკვალავებიც არიან. 1949 წლიდან, როცა საფუძველი ჩაეყარა სსრკ ჩემპიონატებს, ქართველ მთამსვლელთა გუნდებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს. ყოფილა შემთხვევები, ქართველი ალპინისტების ერთდროულად რამდენიმე გუნდს მედლები მოუგია სსრკ ჩემპიონატების სხვადასხვა კლასში. ამ მხრივ განსაკუთრებული გამოდგა 1976 წელი, როცა პამირსა და ტიან-შანში საქართველოს მთამსვლელთა ორმა გუნდმა მოიპოვა ჩემპიონობა. ამას გარდა, საქართველოს ცალკეული მთამსვლელები არაერთხელ ყოფილან რუსეთის გუნდების შემადგენლობაშიც და მათთან ერთად მრავალი ოქროს, ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მედალიც დაუსაკუთრებიათ.

პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** მძლეოსანი საქართველოდან, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა, იყო **ნინო დუმბაძე.** 1946 წელს ოსლოში მან ბადრო 44.52 მ.-ზე ტყორცნა და ოქროს მედალი მოიპოვა.

**პირველმა** საბჭოთა მძლეოსნებიდან ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდზე უკეთესი შედეგი აჩვენა ქართველმა **დიმიტრი იოსელიანმა.** 70 წლის წინათ, 1939 წელს ერევანში მან 348,2 სმ დაფარა, მსოფლიო რეკორდი არ დაფიქსირდა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ფედერაციები არ იყო საერთაშორისო ფედერაცის წევრი. გაწევრების პროცესი საბჭოთა სპორტისთვის მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.

**პირველად** 1939 წელს აჩვენა **ნინო დუმბაძემ** მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდზე უკეთესი შედეგი. მან ბადრო ტყორცნა 49,11 მეტრზე. მსოფლიოს რეკორდი კი 48,31 მ. იყო. მსოფლიო რეკორდის ჩაუთვლელობის მიზეზზე ზემოთ ითქვა.

„ქართული სპორტის ქრონიკების“ 6 აგვისტოს გამოშვებაში და 7 აგვისტოს ნომერში 1939 წელს გადაღებულ ფოტოსურათზე წარწერაში მოკრივეთა გვარები უნდა იკითხებოდეს „მარჯვნიდან“...

## 13-19 აგვისტო

**14 აგვისტო 1977 წ.** დაიბადა ბესიკ ხამაშურიძე - რაგბი.

**15 აგვისტო.** დაიბადნენ: **რუსუდან სიხარულიძე** (1954 წ.) - ტანვარჯიში. **ირინა გაბაშვილი** (1960-2008) - ტანვარჯიში.

**16 აგვისტო.** დაიბადნენ: **ლევან სანაძე** (1928-1998) - მძლეოსნობა; **გურამ ნასყიდაშვილი** (1947) - საბაიდარო სლალომი.

**17 აგვისტო. 1939 წ.** დაიბადა **რამაზ ურუშაძე** - ფეხბურთი.

**18 აგვისტო.** დაიბადნენ: **ვლადიმერ უგრეხელიძე** (1939-2008) - კალათბურთი; **ვლადიმერ გოგოლაძე** (1966) - ტანვარჯიში.

**19 აგვისტო.** დაიბადა: **კობა წაქაძე** (1934) - ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა.




**13-19 აგვისტო. ქართული სპორტი**

**13-16 აგვისტო. თავისუფალი ჭიდაობა.** საერთაშორისო ტურნირი. პოლონეთი. დიდები.

**14 აგვისტოდან. კრივი.** ევროპის ჩემპიონატი. პოლონეთი. ახალგაზრდები.

**15-16 აგვისტო. ქვიშის რაგბი.** ტურნირი. საქართველოს კლუბების მონაწილეობით. ბათუმი. პროფესიონალები, მოყვარულები, ქალები.

**19 აგვისტო. კალათბურთი.** საქართველო-ირლანდია. თბილისი. ეროვნული ნაკრები.

თქვენთვის კითხვები

**1. ვინ იყო ევროპის პირველი ჩემპიონი ძიუდოში საქართველოდან?**

ა - ანზორ ქიბროწაშვილი
ბ - ანზორ კიკნაძე
გ - შოთა ჩოჩიშვილი

**2. რომელ წელს ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადა?**

ა - 1950 წელს
ბ - 1954 წელს
გ - 1956 წელს

**3. დაასახელეთ სპორტის სახეობა, რომელიც ოლიმპიურ პროგრამაში მოხვედრის კანდიდატია:**

ა - სუმო
ბ - რაგბი
გ - ჭადრაკი

**4. ვინ იყო ჭადრაკში ევროპის პირველი ჩემპიონი საქართველოდან?**

ა - ზურაბ აზმაიფარაშვილი
ბ - ნანა ალექსანდრია
გ - ნონა გაფრინდაშვილი

**5. დაასახელეთ ჩოგბურთელი, რომელიც ყველაზე მეტჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი**

ა - თეიმურაზ კაკულია
ბ - ლეილა მესხი
გ - ალექსანდრე მეტრეველი

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, გ-5

# ქართველები დიდ ფორუმზე
## მოსკოვის 1998 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები

გაიმართა ქ. მოსკოვში 8-19 ივლისს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პატრონაჟით. მონაწილეობდა 131 სახელმწიფოს 5000-ზე მეტი სპორტსმენი. პროგრამაში იყო სპორტის 15 სახეობა. საქართველოს 85-მა წარგზავნილმა სპორტის 11 სახეობაში იასპარეზა. მოპოვებულია 17 მედალი. ჩემპიონები გახდნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავე **შოთა ბოგოლაშვილი** და **ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე.** ვერცხლის მედლები მოიპოვეს **ირაკლი ლაბაძემ, ირაკლი უშანგიშვილმა** და **მარგარიტა ჩახნაშვილმა** (ჩოგბურთი), **დავით გუგუნაშვილმა** (ბერძ.-რომაული ჭიდაობა) და **ზურაბ ზვიადაურმა** (ძიუდო). ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ **გელა ბარათაშვილი** და **გრიგოლ მამრიკიშვილი** (ძიუდო), **პაატა ბიწაძე, დავით დოლიძე, ივანე ჩუბინიძე, გიორგი რურუა, რამაზ ნოზაძე, ილია ლეჟავა** (ბერძ.-რომაული ჭიდაობა), **მიხეილ ბაგაური** და **ლევან ვაჭარაძე** (თავისუფალი ჭიდაობა).

მოპოვებული მედლების რაოდენობით საქართველომ მეექვსე ადგილი დაიკავა თამაშებში მონაწილე ქვეყნებს შორის.



რედაქციის ძველ არქივში აღმოჩენილ ამ ფოტოზე წარსულში ჩვენი ტანმოვარჯიშეები არიან აღბეჭდილნი. უცნობია წელი. სურათის მინაწერში მხოლოდ 5 გვარი იკითხება: შარაშიძე, სიხარულიძე, კიკნაძე, თაყაიშვილი, ახვლედიანი.. იქნებ ამოიცნოთ, ვინ ვინ არის რიგითობით. გთხოვთ დაგვიკავშირდეთ „ლელოს“ მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში გამოქვეყნებული საკონტაქტო საშუალებებით.

კალათბურთი

## კლეიზას ნაცვლად შჩერბიაკი

"დენვერ ნაგეტსის" ხელმძღვანელობა ლიტველი ფორვარდის **ლინას კლეიზას** შემცვლელს ეძებს. როგორც უკვე ვწერდით, ბალტიისპირელმა კალათბურთელმა საბერძნეთის "ოლიმპიაკოსში" გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება

"ნაგეტსში" ჩარიცხვის ერთ-ერთი კანდიდატია 32 წლის ფორვარდი უოლი შჩერბიაკი, რომელმაც გასული სეზონი "კლივლენდ კავალიერზში" გაატარა. უოლის NBA-ში 10 წელი უთამაშია. შარშანდელ ჩემპიონატში მისი სტატისტიკა 7.0 ქულასა და 3.2 მოხსნას უდრიდა, კარიერაში იგივე მაჩვენებლები კი 14.1 ქულასა და 4.0 მოხსნას შეადგენს.

## დეტროიტმა ვაშინგტონი გაიფორმა

"დეტროიტ პისტონზმა" კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **დერონ ვაშინგტონთან**, რომელიც დრაფტის მეორე რაუნდში აიყვანა. ხელშეკრულება ორწლიანია, თუმცა ერთი სეზონის შემდეგ კლუბს კონტრაქტის გაუქმების უფლება ექნება.

23 წლის ვაშინგტონი შარშან ევროპაში თამაშობდა. ისრაელის "ჰაპოელ ჰოლონის" რიგებში ის საშუალოდ 14.8 ქულას და 7.0 მოხსნას აგროვებდა.

## ბრეჟეცი სიქსერზშია

სლოვენიელი ცენტრი **პრიმოჟ ბრეჟეცი** ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დაბრუნდა. ამ კალათბურთელმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ფილადელფია სიქსერზთან", რის სანაცვლოდაც 1.1 მილიონ დოლარს მიიღებს. ამერიკულმა კლუბმა ცენტრალური თავდამსხმელი რომის "ლოტომატიკადან" შეიძინა. შარშანდელ ევროლიგაზე პრიმოჟმა იტალიურ გუნდს 9.4 ქულა და 4.4 მოხსნა შესძინა.

*"თითქმის სრულად დავაკომპლექტეთ შემადგენლობა და ალარ ვიჩქარებთ. ზოგიერთი კალათბურთელი სექტემბერში გასამართ საწვრთნელ ბანაკში მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ ესენი ძირითადად თადარიგის მოთამაშეები იქნებიან"*, - აცხადებს "სიქსერზის" პრეზიდენტი **ედ სტეფანსკი**.

## აივერსონის ნაცვლად ბევერლი?

"მაიამი ჰიტი" კულავინდებურად აწარმოებს მოლაპარაკებებს ვეტერან გამთამაშებელ **ალენ აივერსონთან**, თუმცა ფლორიდული კლუბის ხელმძღვანელობამ ქირვეული ვარსკვლავის ნაცვლად, შესაძლოა, 21 წლის მცველი **პატრიკ ბევერლი** დაიმატოს.

ეს კალათბურთელი 2009 წლის დრაფტში 42-ე ნომრად აირჩია "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" და შემდეგ მასზე უფლებები 1.5 მილიონ დოლარად "მაიამის" მიჰყიდა. თუ "ჰიტი" ბევერლის დატოვებას გადაწყვეტს, აივერსონთან მოლაპარაკებები შეწყდება.

## ობერტო უიზარდში ჩაირიცხა

არგენტინელი **ფაბრისიო ობერტო** "ვაშინგტონ უიზარდსში" გააგრძელებს კარიერას. 2004 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა უკვე გააფორმა კონტრაქტი დედაქალაქურ კლუბთან.

34 წლის კალათბურთელმა ბოლო ოთხი სეზონი "სან ანტონიო სპურსში" გაატარა და 2007 წელს NBA-ის ჩემპიონი გახდა. შარშანდელ ჩემპიონატში ობერტომ 54 მატჩი ითამაშა და მოკრძალებული 2.6 ქულა მოიხვეჭა. ამ ზაფხულს ის გაცვლის შედეგად "დეტროიტში" აღმოჩნდა, ამ გუნდმა კი არგენტინელთან კონტრაქტი გაწყვიტა და ობერტო თავისუფალი აგენტი გახდა.

## გასოლი მაინც ითამაშებს

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ესპანეთის ნაკრების ლიდერმა **პაუ გასოლმა** ერთ-ერთ ვარჯიშზე თითი მოიტეხა და დაახლოებით სამი კვირით გამოაკლდა საწვრთნელ შეკრებას. ესპანური პრესა ვარაუდობდა, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მძიმე ფორვარდი აღარ გაემგზავრებოდა პოლონეთში 2009 წლის ევრობასკეტზე სათამაშოდ. მაგრამ კალათბურთელი სხვაგვარად ფიქრობს და თითზე გადატანილი ოპერაციის მიუხედავად, მაინც აპირებს კონტინენტის პირველობაზე თამაშს.

გასოლს 20 დღე მოუწევს თაბაშირის ტარება, ამიტომაც გაუგებარია, როგორ მოასწრებს მოკლე დროში სასურველი სპორტული ფორმის მიღწევას (ევრობასკეტი 7 სექტემბერს იწყება). თუმცა ეს ფაქტი პაუს ნაკლებად აღელვებს.

*"მინდა პარტნიორებთან ერთად ვიყო და ტიტულისთვის ვიბრძოლო. არც კი ვფიქრობ იმაზე, რომ შეიძლება ტურნირის გამოტოვებამ მომიწიოს. მით უმეტეს, რომ ამის მიზეზი არ არსებობს"*, - ამბობს გასოლი სააგენტო EFE-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. გარდა ამისა, ესპანელთა ლიდერმა განაცხადა, რომ "ლეიკერსის" ხელმძღვანელობასთან უკვე განიხილა ეს პრობლემა და კლუბისგან ნაკრებში დარჩენის უფლება მიიღო.





## რუბიო ბარსაშია

ესპანეთის ნაკრებისა და "ხუვენტუდის" გამთამაშებელი **რიკი რუბიო** მომავალ სეზონს "ბარსელონაში" გაატარებს. შეგახსენებთ, რომ ევროპის საუკეთესო კალათბურთელი წელს "მინესოტა ტიმბერვულვზმა" დრაფტის მეხუთე ნომრად აირჩია.

ბოლო მომენტამდე "მინესოტას" პრეზიდენტი **დევიდ კანი** იმედს არ კარგავდა, რომ შეძლებდა 18 წლის კალათბურთელის კონტრაქტის გამოსყიდვას, მაგრამ ბოლოს აღიარა, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან "ხუვენტუდი" დაახლოებით 6 მილიონ დოლარს ითხოვდა.

ამასთან, "ბარსელონას" რიკი რუბიოს შეძენა 3 მილიონი დოლარი დაუჯდა.

### ევრობასკეტი 2009. საკვალიფიკაციო

**A ჯგუფი**

**ბელგია–პორტუგალია 64:58**

16:17, 10:15, 24:15, 14:11

ბ: ლოუერსი (16), ერველი (11+8 მოხსნა), იონკჰეიდი (9).
პ: სანტოსი (19+6 მოხსნა), და სილვა (8+6 მოხსნა), ანდრადე (7+6 მოხსნა).
*სატურნირო მდგომარეობა: ბოსნია - 2 მოგება/0 წაგება; ბელგია - 1/1; პორტუგალია - 0/2.*

**B ჯგუფი**

**ფინეთი–იტალია 75:77**

10:17, 24:21, 21:25, 20:14

ფ: მოტოლა (16), ჰუფი (12), რანიკო (11+6 პასი).
ი: ბარნიანი (21+8 მოხსნა), ბელინელი (23) ჯილი (10+6 მოხსნა).
*სატურნირო მდგომარეობა: საფრანგეთი - 2 მოგება/0 წაგება; იტალია - 1/1, ფინეთი - 0/2.*

ამბები

რაგბი

## სამი ერი მორთლოკის გარეშე

ავსტრალიის ნაკრების კაპიტანმა **სტირლინგ მორთლოკმა** მენისკის ტრავმა მიიღო და წელს ველარ გამოვა სამი ერის თასის გათამაშებაში. 32 წლის მორაგბემ 30 წუთი ითამაშა სამხრეთ აფრიკასთან მატჩში (17:29), რის შემდეგაც ის შეცვალეს. გუშინ, მორთლოკს ოპერაცია გაუკეთეს და სრული გამოჯანმრთელებისთვის ექვსი კვირა დასჭირდება.

მოტოსპორტი

## სტოუნერს მიკა კალიო შეცვლის

მოტოგრან-პრის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი, ავსტრალიელი **კეისი სტოუნერი** სამ უახლოეს რბოლას გამოტოვებს. ამის მიზეზი ფიზიკური სისუსტეა, რომელიც ამ მოტომრბოლს ბოლო ხუთი ეტაპია აწუხებს. "დუკატის" მოტოციკლზე სტოუნერს ფინელი **მიკა კალიო** შეცვლის.

*"ხუთი ურთულესი რბოლის შემდეგ, ავსტრალიაში სამედიცინო შემოწმებაზე გავემგზავრე. ექიმებთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ უახლოეს ეტაპებზე მონაწილეობას არ მივიღებ. მხოლოდ ასე შევძლებ ძალების ბოლომდე აღდგენას.*

*ექიმებს მიაჩნიათ, რომ ბარსელონაში ვირუსი მქონდა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დღევანდელი პრობლემები, იმ დროს დიდმა დატვირთვებმა გამოიწვია. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ პორტუგალიის გრან-პრის სრულ მზადყოფნაში შევხვდე"*, - ამბობს სტოუნერი მოტოგრან-პრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ველოსპორტი

## ვინოს პირველი ტრიუმფი

ცნობილმა ყაზახმა ველომრბოლმა **ალექსანდრ ვინოკუროვმა** ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, პირველი რბოლის მოგება მოახერხა. თავისი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში, ვინოკუროვმა მრავალდღიანი ველორბოლის - "ტურ დე ლ'ენის" დროზე ინდივიდუალურ რბოლაში გაიმარჯვა.

*"გადავწყვიტე ენერგია არ დამეზოგა. მაინტერესებდა, როგორ გავართმევდი თავს დროზე რბოლას და თან იმის დამტკიცება მინდოდა, რომ ჯერ კიდევ შემიძლია ეტაპების მოგება. ახლა იმედი მაქვს, რომ ყველა ადმინისტრაციული პრობლემა მოგვარდება და სეზონის ბოლოსკენ შევძლებ "ასტანას" რიგებში გამოსვლას"*, - ამბობს ვინოკუროვი.

ფორმულა 1

## გროსჟანი დებიუტისთვის მზად არის

როგორც ცნობილია, ფრანგულმა საჯინიბო "რენომ" სეზონის მსვლელობისას თავისი რიგებიდან დაითხოვა **ნელსინიო პიკე**. ფრანგებს ჯერჯერობით არ დაუსახელებიათ ბრაზილიელი პილოტის შემცვლელი, თუმცა ეჭვი არავის ეპარება, რომ პიკეს ადგილს შვეიცარიელი **რომენ გროსჟანი** დაიკავებს.

ამჟამად "რენოს" სხვა პრობლემები აწუხებს. კერძოდ, ეს გუნდი ერთი რბოლით არის დისკვალიფიცირებული და ამის გამო, 23 აგვისტოს ევროპის გრან-პრის გამოტოვება მოუწევს. ფრანგული გუნდი უნგრეთის ეტაპზე უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის დაისაჯა: **ფერნანდო ალონსოს** ბოლიდს წინა მარჯვენა საბურავი კარგად არ ჰქონდა დამაგრებული და ის რბოლის მსვლელობისას მანქანას მოსძვრა.

"რენომ" უნგრეთის გრან-პრის სტიუარდების გადაწყვეტილებაზე აპელაცია შეიტანა, რომელსაც ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია 17 აგვისტოს განიხილავს. სანამ ფედერაცია საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს, "რენო" ვერ გარკვეულა თავის გეგმებში, თუმცა გროსჟანი აცხადებს, რომ დადებითი პასუხის შემთხვევაში, ის მზად არის ევროპის გრან-პრიზე გამოსასვლელად.

გროსჟანი ამჟამად გრან-პრი 2-ის სერიაში გამოდის და იქ საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზეა. მასზე წინ მხოლოდ ნიჭიერი გერმანელი **ნიკო ჰიულკენბერგი** იმყოფება.

როგორც ბრიტანული გამოცემა "ავტოსპორტი" წერს, შვეიცარიელი ცოტა ხნის წინ ენსტოუნში ფრანგული გუნდის ბაზას სტუმრობდა, სადაც "რენოს" ბოლიდს ეჩვეოდა.

**გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა**

დოპინგი

## რუსებს მკაცრად სჯიან

ბიატლონისტთა საერთაშორისო კავშირის დამოუკიდებელმა ანტისადოპინგო კომისიამ საბოლოო განაჩენი გამოუტანა წამყვან რუს ბიატლონისტებს. **ალბინა ახატოვა, ეკატერინა იურიევა** და **დმიტრი იაროშჩენკო** ორი წლით ჩამოაშორეს საერთაშორისო ტურნირებს.

კომისიაში შესულმა ექსპერტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს სპორტსმენების სისხლში აკრძალული პრეპარატის - ერითროპოეტინის არსებობა. ბიატლონისტთა დისკვალიფიკაციის ვადა 2008 წლის 4 დეკემბრიდან აითვლება. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებამდე, ამ სამი სპორტსმენის ბიატლონიდან მოკვეთა დროებით ხასიათს ატარებდა.

ის დოპინგსინჯები, რომელთა მიხედვითაც ახატოვას, იურიევასა და იაროშჩენკოს დისკვალიფიკაცია გამოუტანეს, 2008 წლის დეკემბერში, მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპის დროს იყო აღებული.

კომისიამ ამ საქმესთან დაკავშირებით პირველი მოსმენა მაისში ჩაატარა და მაშინ გამოცხადდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება 20 დღის განმავლობაში გახდებოდა ცნობილი, მაგრამ ვადა რამდენჯერმე გადაიწია და მხოლოდ ახლა ირკვევა, რომ რუსები ორი წლით არიან დასჯილები. ეს იმას ნიშნავს, ამ ტრიოს გაისად, თებერვალში ვანკუვერის ოლიმპიადის გამოტოვება მოუწევს.

■ ■ ■

შარშან, დოპინგ სკანდალში რუსი მძლეოსნებიც გაეხვივნენ. 2007 წლის გაზაფხულზე, შვიდმა სპორტსმენმა დოპინგ სინჯები გააყალბა და ამის შესახებ შარშან, პეკინის ოლიმპიადის დაწყებიდან ცოტა ხნით ადრე გახდა ცნობილი. რუსებმა ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს, ახლა კი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IAAF) რუსეთის ეროვნული ფედერაციისგან ამ სპორტსმენების მიერ მოპოვებული მედლების დაბრუნებას მოითხოვს.

საქმე ეხება **ელენა სობოლევას, დარია პიშჩალნიკოვასა** და **იულია ფომენკოს** მიერ მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატსა და 2008 წელს, დარბაზებისთვის პლანეტის პირველობაზე მოპოვებულ მედლებს. სობოლევამ 2007-ში ვერცხლი მოიგო 1500 მეტრზე სირბილში, მომავალ წელს კი ამავე დისციპლინაში ოქროს დაეუფლა. ფომენკო 2008 წელს, ასევე 1500 მეტრზე მეორე იყო, პიშჩალნიკოვამ კი 2007 წლის ჩემპიონატში ბადროს ტყორცნაში მოიგო ვერცხლის მედალი.



ალსანიშნავია, რომ მძლეოსნებს ორწლიანი დისკვალიფიკაცია რუსეთის ფედერაციამ მისცა, მაგრამ 2009 წლის ივლისში, IAAF-მა სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს ძალით, ოთხ წლამდე გაზარდა სასჯელის ვადა.

ჩამოთვლილ მძლეოსნებს მედლების დაბრუნების გარდა, 2007 და 2008 წლების სეზონებში საერთაშორისო ტურნირებზე მიღებული ჰონორარების დაბრუნებაც მოუწევთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები

**ჩეხეთი-ბელგია 3:1**

**ჩეხეთი:** ჩეხი - გრიგერა (46. პოსპეჩი), სივოკი, ჰუბნიკი (46. როზენალი), კადლეცი - შტაინერი (88. შიმუნეკი), იაროლიმი (46. იანკულოვსკი), პოლაკი, პლასილი - ბაროში (46. პუდილი), სვერკოსი (65. ნეჩიდი).

**ბელგია:** სტიინენი - ვან დენ ბორე, ვან დამი (80. დეშახტი), ვან ბუიტენი, ვერმაელენი (46. სიმონსი) - სუტერი (46. სონკი), ვერტონგენი (87. ალდერვაირელდი), ჰაზარი (68. მირალა), ფელაინი (46. მპენზა) - დემბელე - დეფური.

**გოლები:** 0:1 ვერტონგენი (12), 1:1 ჰუბნიკი (27), 2:1 ბაროში (42), 3:1 როზენალი (78)

**მაყურებელი:** 13 890

**ს. აფრიკა-სერბეთი 1:3**

**ს. აფრიკა:** კუნე (46. ფერნანდესი), ბუტი, მასიელა, მოკუნა (46. კუმალო), სიბაია, პიენაარი (46. მაშეგო), ვანჰელდენი, მოდისე, მფელა, ტვალა, დიგაჩოი (82. მლონგო).

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, ივანოვიჩი, ობრადოვიჩი, სუბოტიჩი, ლუკოვიჩი, პეტროვიჩი, კაჩარი (36. კუჟმანოვიჩი), ნინკოვიჩი (82. მილინკოვიჩი), კრასიჩი (46. ტოშიჩი), იოვანოვიჩი (46. ლაზოვიჩი), ჟიგიჩი.

**გოლები:** 0:1 ტოშიჩი (57), 0:2 ლაზოვიჩი (69), 0:3 ტოშიჩი (78), 1:3 მფელა (90+3)

**მაყურებელი:** 10 000

**ბულგარეთი-ლატვია 1:0**

**ბულგარეთი:** მიხაილოვი, ტუნჩევი (ნიკოლოვი), კოტევი, ანგელოვი, მანოლევი, ჩავდარი (სარმოვი), ბერბატოვი, პოპოვი (დომოვჩისკი), გეორგიევი (ვიდანოვი), მილანოვი (რანგელოვი), მ. პეტროვი (ბოჟინოვი).

**ლატვია:** ვანინსი, მიხადიუკსი, ასტაფიევსი, კლავა (კრიაუკლისი), ივანოვსი, კაჩანოვსი (ზირნისი), კაუნა (ბლანკსი), რუბინსი, კარლსონსი (გრებისი), ჟიგაევსი (სოლონიცინსი), კოლესნიჩენკო (რაფალსკისი).

**გოლი:** 1:0 რანგელოვი (54)

**მაყურებელი:** 2 000

**უნგრეთი-რუმინეთი 0:1**

**უნგრეთი:** ბაბოში, დიეპეში (74. ფეჰერი), ვაჩაკი, იუჰაში, ბოდორი (83. ვადოჩი), ჰალმაში, დარდაი (76. ტოტი), დჟუდჩაკი (46. გერა), ჰაინალი, ჰუშტი (46. რუდოლფი), ტორგელე (78. პრიშკინი).

**რუმინეთი:** კომანი, დანანაე (37. მაფტეი), კივუ (82. მ. კონსტანტინი), რადოი (59. დ. გიოანი), ნეშუ, მარა (75. მ. რომანი), გიოანე, აპოსტოლი, ნიკუ (58. კოდრეა), დანჩიულესკუ (46. სურდუ), მარიკა.

**გოლი:** 0:1 გიოანე (42)

**მაყურებელი:** 20 000

**შვედეთი-ფინეთი 1:0**

**შვედეთი:** გუსტაფსონი - მ. ნილსონი, მელბერგი, მაისტროვიჩი (46. ჰანსონი), საფარი, სებ. ლარსონი (46. ვილჰელმსონი), კალსტრიომი (79. ჰისენი), ა. სვენსონი (46. ვერნბლოომი), ჰოლმანი (46. ელმი), ბერგი, ელმანდერი (60. ტოივონენი).

**ფინეთი:** ფრედრიკსონი, პასანენი, მოისანდერი, ჰიიპია, რ. ერიომენკო (83. ჰეიკინენი), ფორსელი (77. სადიკი), ლიტმანენი (46. ა. ერიომენკო), კოლკა (46. ჰეტემაი), ლამპი, სპარვი (83. ტაინიო), პოროკარა (65. ჰამალაინენი).

**გოლი:** 1:0 ელმანდერი (42)

**მაყურებელი:** 15 212

**უკრაინა-თურქეთი 0:3**

**უკრაინა:** შოვკოვსკი, მანძიუკი, კუჩერი, ტიმოშჩუკი, რუსოლო (46. ჩიგრინსკი), გაი (46. ნაზარენკო), გომენიუკი (46. შევჩენკო), სელეზნიოვი (46. მილევსკი), შევჩუკი (46. იარმაში), როტანი, კალინიჩენკო (46. გუსევი).

**თურქეთი:** ვოლქან დემირელი, სერვეთ ჩეთინი, ჰაქან ბალთა, გიოქჰან ზანი, ჰამით ალთინთოფი, გიოქჰან გიუნალი (80. საბრტი სარიოგლუ), ნიჰათ ქავეჩი (46. ილდირიმ სერქანი), ნური საჰინი (82. ჰალილ ალთინთოფი), არდა თურანი (85. ქოიბაშ ისმაილი), თუნჯაი ქანლი (18. 68. ქაზიმ ქაზიმი), აქმან აიჰანი (46. გიულსელამ ჯეიჰუნი).

**გოლები:** 0:1 თუნჯაი ქანლი (58), 0:2 სერვეთ ჩეთინი (62), 0:3 ჰამით ალთინთოფი (65)

**დანია-ჩილე 1:2**

**დანია:** ანდერსენი (46. კრისტიანსენი), კიაერი, კრისტენსენი, მ. იაკობსენი (კვისტ იორგენსენი), ლ. იაკობსენი (68. სტადსგაარდი), კ. პოულსენი, ი. პოულსენი, რომედალი, ტომასონი (79. ნორეგაარდი), იორგენსენი (55. გრონკიაერი), ბენდტნერი (61. შიონე).

**გოლები:** 0:1 პარედესი (61), 1:1 შიონი (63), 1:2 სანჩესი (69)

**მაყურებელი:** 8 700

**ავსტრია-კამერუნი 0:2**

**ავსტრია:** მახო (46. პეიერი), გარიჩი (46. ფუხსი), შიმერი, დრაგოვიჩი, ორტლეხნერი (46. პრიოდლი), ჰიოლცლი (67. ტრიმელი), პელივანი, შარნერი (40. ლაიტგები), იანტშერი, იანკო, ჰოფერი (60. მაიერჰოფერი).

**გოლები:** 0:1 ვებო (28), 0:2 ვებო (35)

**მაყურებელი:** 28 800

**ირლანდია-ავსტრალია 0:3**

**ირლანდია:** გივენი (68. უესტვუდი), ო'ში, დანი, სენტ ლედგერი, ველანი, დაფი (46. ჰანტი), კილბეინი (63. ნოლანი), მაკგიდი (81. ლონგი), გიბსონი (62. ენდრიუსი), კინი, დოილი (46. ფოლანი).

**ავსტრალია:** შვარცერი, კისნორბო (46. მადაში), კარნი, ნორთი (71. სპირანოვიჩი), უილიამსი, კეჰილი (46. ჰოლმანი), უილკშირი, ბრეშიანო (78. კარლი), იედინაკი (89. ჰოლანდი), კოუელი, მაკდონალდი (46. რუკავიცა).

**გოლები:** 0:1 კეჰილი (38), 0:2 კეჰილი (44), 0:3 კარგი (90)

**ლიხტენშტაინი-პორტუგალია 0:3**

**პორტუგალია:** ედუარდო (62. მორეირა), ბოსინგვა, ბრუნო ალვეში (73. ნანი), რიკარდო კარვალიო (63. როლანდო), დუდა (54. მიგელი), პეპე, ტიაგო (54. ჟოაო მუტინიო), რაულ მეირელეში, დეკუ, უგო ალმეიდა, სიმაო (62. ელისეუ).

**გოლები:** 0:1 უგო ალმეიდა (15), 0:2 რაულ მეირელეში (23), 0:3 უგო ალმეიდა (26)

**ჩერნოგორია-უელსი 2:1**

**ჩერნოგორია:** პოლეკშიჩი (46. მ. ბოჟოვიჩი), ძუროვიჩი, ბატაკი (68. პეიოვიჩი), იოვანოვიჩი, პავიჩევიჩი, პეკოვიჩი (62. კასჩელანი), ვუკჩევიჩი (86. ნოვაკოვიჩი), დრინჩიჩი, ვ. ბოჟოვიჩი (72. ნიკოლიჩი), ჯალოვიჩი (74. ბეჩირაი), იოვეტიჩი.

**უელსი:** ჰენესი (46. პრაისი), კოლინზი (63. მორგანი), გაბიდონი, რიკეტსი (57. ირდლი), უილიამსი (46. ნიატანგა), განტერი, ლედლი, რემზი (75. კოტერილი), კოლისონი, ირნშოუ, ჩერჩი (47. ვოკსი).

**გოლები:** 1:0 იოვეტიჩი (31-პენ), 2:0 ჯალოვიჩი (45), 2:1 ვოკსი (52)

**მაყურებელი:** 5 000

**პოლონეთი-საბერძნეთი 2:0**

**პოლონეთი:** ბორუცი, ვასილევსკი, ჟევლაკოვი, დუდკა, კრჟინოვეკი, ბლაშჩიკოვსკი (83. საგანოვსკი), მურავსკი (75. იოდლოვიეცი), ლევანდოვსკი, სმოლიარეკი (46. ობრანიაკი), როჟერი (75. ლობოძინსკი), ლევანდოვსკი (55. ბროჟეკი).

**საბერძნეთი:** ხალკიასი - ვინტრა, პაპასტატოპულოსი (53. პაპადოპულოსი), მორასი (46. კირგიაკოსი), სპიროპულოსი, კარაგუნისი (63. პაცაცაოგლუ), კაცურანისი, ციოლისი (80. ლიბეროპულოსი), სალპინგიდისი (46. გეკასი), სამარსი, ხარისტეასი (46. ამანატიდისი).

**გოლები:** 1:0 ობრანიაკი (47), 2:0 ობრანიაკი (79)

**ჰოლანდია-ინგლისი 2:2**

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ჰეიტინგა, მატიისენი, ოოიერი, ბრაამჰეიდი, ვან დერ ვაარტი (46. სნეიდერი), რობენი (55. აფელეი), დე იონგი, სხაარსი (82. დავიდ მენდესი), კუიტი (78. ჰუნტელაარი), ვან პერსი (46. ბაბელი).

**ინგლისი:** გრინი, ფერდინანდი, ე. კოული (84. ბრიჯი), ტერი, გ. ჯონსონი, ბერი (46. ქერიქი), ბექჰემი (46. რაიტ-ფილიპსი), ლემპარდი, იანგი (69. მილნერი), ჰესკი (46. დეფო), რუნი (59. კ. კოული).

**გოლები:** 1:0 კოიტი (10), 2:0 ვან დერ ვაარტი (38), 2:1 დეფო (49), 2:2 დეფო (77)

**მაყურებელი:** 50 000

**შვეიცარია-იტალია 0:0**

**შვეიცარია:** ბენალიო, მანინი (86. ციგლერი), სენდეროსი, გრიშტინგი, დეგენი (68. შვეგლერი), ბარნეტა (80. ფონლანტენი), ჟელსონი, პადალინო (83. დერდიოკი), ინლერი, ფრაი (69. ჰ. იაკინი), ნკუფო (69. შტრელერი).

**იტალია:** ბუფონი, კანავარო, ძამბროტა (46. სანტონი), კიელინი, კრიშიტო, პირლო (61. დ'აგოსტინი), კამორანეზი (31. პეპე), პალომბო, მარკიზიო (72. გროსო), ჯილარდინო (46. იაკუინტა), როსი (61. კუალიარელა).

**მაყურებელი:** 31 500

**მაკედონია-ესპანეთი 2:3**

**ესპანეთი:** რეინა (66. დიეგო ლოპესი), პუიოლი, კაპდევილია (75. მონრეალი), არბელოა, პიკე, ჩავი (71. კარლოს მარჩენა), ჩაბი ალონსო (46. სერხიო ბუსკეტსი), სანტი კასორლა (48. ფაბრეგასი), დავიდ სილვა, ფერნანდო ტორესი (64. გუისა), ვილია (46. რიერა).

**გოლები:** 1:0 პანდევი (9), 2:0 პანდევი (34), 2:1 ფერნანდო ტორესი (52), 2:2 პიკე (55), 2:3 რიერა (56)

**მაყურებელი:** 35 000

**სომხეთი-მოლდოვა 1:4**

**გოლები:** 0:1 გოლოვატენკო (35), 0:2 გოლოვატენკო (64), 1:2 არაქელიანი (75), 1:3 ანდრონიჩი (81), 1:4 ეპურეანუ (90-პენ).

**ალბანეთი-კვიპროსი 6:1**

**გოლები:** 1:0 სკელა (25-პენ), 1:1 ხარალამბიდისი (37), 2:1 სკელა (44-პენ), 3:1 ბოგდანი (66), 4:1 მიხაელი (69-საკ. კარში), 5:1 აგოლი (72), 6:1 ვილა (76)

**ლუქსემბურგი-ლიტვა 0:1**

**გოლი:** 0:1 დანილევიჩუსი (41)

**ბოსნია-ირანი 2:3**

**გოლები:** 1:0 ძეკო (53), 2:0 ძეკო (65), 2:1 შოჯაეი (79), 2:2 ბორჰანი (86), 2:3 თეიმურიანი (90)

**ჩრ. ირლანდია-ისრაელი 1:1**

**გოლები:** 1:0 მაკანი (18), 1:1 ბარდა (26)

**ისლანდია-სლოვაკეთი 1:1**

**გოლები:** 0:1 ვიტეკი (35), 1:1 სიგურდსონი (59)



## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ევრო 2011 | |
|---|---|
| **UNDER 21** | |
| ანდორა-რუმინეთი | 0:2 |
| მოლდოვა-ლატვია | 1:0 |
| შვეიცარია-ესტონეთი | 0:1 |
| უელსი-უნგრეთი | 4:1 |
| ისლანდია-ჩეხეთი | 0:2 |
| კვიპროსი-ნორვეგია | 1:3 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| აეკ-მალიორკა | 1:3 |
| ბილბაო-სპორტინგი | 0:2 |
| ს. კორეა-პარაგვაი | 1:0 |
| სინგაპური-ჩინეთი | 1:1 |
| ტუნისი-კოტ დ'ივუარი | 0:0 |
| ალჟირი-ურუგვაი | 1:0 |
| **UNDER 21** | |
| დანია-შვედეთი | 2:4 |
| გერმანია-ირანი | 1:0 |
| რუსეთი-იტალია | 3:2 |
| უკრაინა-თურქეთი | 1:0 |
| ბელგია-ფინეთი | 0:0 |
| ალბანეთი-მალტა | 1:2 |
| საფრანგეთი-პოლონეთი | 2:2 |
| **ინგლისი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ქოვენთრი-ჰარტლპული | 0:0 დ.დ. 0:1 |
| მაკლსფილდი-ლესტერი | 0:2 |
| ნოტინგემი-ბრედფორდი | 3:0 |
| **რუმინეთი** | |
| ვასლუი-გაზ მეთანი | 2:1 |

| გერმანია | |
|---|---|
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| აინტრახტი A-ფრაიბურგი A | 1:1 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლ. ენერგია-სიბირი | 1:0 |
| სკა ენერგია-ურალი | 2:0 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-ვოლგა | 0:1 |
| ალანია-კამაზ | 2:3 |
| ბალტიკა-გაზპრომი | 1:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მონრეალი** | |
| ვერდასკო-მაიერი | 6:1, 6:1 |
| ისნერი-იუჟნი | 7:6, 1:6, 3:6 |
| ცონგა-შუტლერი | 4:6, 6:3, 6:4 |
| დელ პოტრო-პერნიხი | 6:2, 7:5 |
| კოლშრაიბერი-ჰანესკუ | 3:6, 6:4, 5:7 |
| რობრედო-პეტცშნერი | 6:7, 6:7 |
| ფერერო-მონფილსი | 6:3, 7:6 |
| **WTA. ცინცინატი** | |
| აზარენკა-ჩაკვეტაძე | 6:4, 6:2 |
| ზვონარევა-კლეიბანოვა | 6:4, 1:6, 7:5 |
| პენეტა-შავაი | 6:2, 6:4 |
| იანკოვიჩი-კირილენკო | 7:6, 6:3 |
| ვოზნიაჩკი-ვოზნიაკი | 4:6, 6:4, 6:4 |
| კლაისტერსი-შნიდერი | 6:2, 7:5 |
| ჰანტუხოვა-ა. ბონდარენკო | 7:5, 1:6, 6:4 |
| დემენტიევა-ვიკმაიერი | 6:3, 6:4 |
| კირსტეა-გრონეფელდი | 6:3, 6:2 |

## TV პროგრამა

**13 აგვისტო. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლორიანი.
**08:20** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ეინდჰოვენი.
**10:10** საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-პსჟ.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-შალკე.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ბარსელონა.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:30** გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ჰამბურგი.
**18:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლანსი.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:40** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**20:50** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**21:50** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ნიუკასლი.
**23:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი.
**01:50** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლორიანი.
**03:40** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
**05:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ეინდჰოვენი.

**EUROSPORT**

**10:30** ცხენოსნობა. ერთა თასი. დუბლინი. ირლანდია.
**11:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. შვეიცარია-იტალია.
**12:15** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-საბერძნეთი.
**13:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. რუსეთი-არგენტინა.
**14:00** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ათენი. საბერძნეთი.
**15:30** ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. პრაჯელატო. იტალია.
**17:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. შვეიცარია-იტალია.
**17:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-საბერძნეთი.
**18:30** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. მონაკო.
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
**01:15** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-საბერძნეთი.

## ამბები

**მძლეოსნობა**

### უკვე არის ერთი რეკორდი

„ბერლინში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის ანტისადოპინგო სამსახური დაახლოებით ათასზე მეტი დოპინგ-სინჯის აღებას გეგმავს, რაც ამ ტურნირის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელი იქნება", - იტყობინება მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი. ანალიზების ნახევარს სპორტსმენებს ტურნირის დაწყებამდე ჩაუტარებენ, მეორე ნახევარს - უშუალოდ მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას. დოპინგ-სინჯები კიოლნსა და დრეზდენში მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) ლაბორატორიებში შემოწმდება.

**კალათბურთი**

### პოუ ლებრონთან წავიდა

"კლივლენდ კავალიერზს" მომავალი სეზონისთვის კიდევ ერთი ახალწვეული ეყოლება. კლუბმა თითქმის შეათანხმა ორწლიანი კონტრაქტის დეტალები ფორვარდ **ლეონ პოუსთან**. ხელშეკრულებას ხელი მას შემდეგ მოეწერება, რაც 25 წლის კალათბურთელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

ბოლო რამდენიმე წელი პოუმ "ბოსტონ სელტიქსში" გაატარა. გასულ სეზონში ის 70-ჯერ გავიდა მოედანზე და თავის გუნდს 7.7 ქულით დაეხმარა.

**ჰოკეი**

### კანადის ნაკრებში ცვლილებებია

კანადის ნაკრები აგვისტოს ბოლოს წინასაოლიმპიადო შეკრებას გაივლის. გუნდის ხელმძღვანელობამ კარგა ხნით ადრე დაასახელა გაფართოებული შემადგენლობა, თუმცა მასში გარკვეული ცვლილებები მოხდა. კერძოდ, ხანგრძლივი ტრავმის გამო ნაკრებს გამოაკლდა "ანაჰაიმ დაქსის" საუკეთესო ბომბარდირი **რაიან გეტცლაფი**, გარდა ამისა, აქტიური კარიერა დაასრულა "კოლორადოს" ვეტერანმა ფორვარდმა **ჯო საკიკმა**. ამის გამო, კანადელთა ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ უხმო "ოტავა სენატორზის" ერთ-ერთ ლიდერს **ჯეისონ სპეცას**, რის შემდეგაც ნაკრების შემადგენლობა 45 კაცამდე გაიზარდა. ეს ჰოკეისტები 24-27 აგვისტოს კალგარიში გაივლიან შეკრებას.

**ფორმულა 1**

### კუბიცა კარტით იბრძოლებს

"BMW-ზაუბერის" პილოტი **რობერ კუბიცა** და "ტორო როსოს" დებიუტანტი **ხაიმე ალგერსუარი** კარტინგის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც 3-6 სექტემბერს იტალიის ქალაქ სარნოში გაიმართება.

პოლონელი პილოტი, რომელმაც ამა წლის იანვარში კარტინგის საკუთარი გუნდის შექმნის შესახებ გამოაცხადა, იტალიური ფირმა Birel-ის კარტს გამოცდის, რომელიც თავად კუბიცას შეკვეთით არის დამზადებული. ახალ მანქანას გარკვეული ტექნიკური პრობლემები შეექმნა, მაგრამ ფინალისთვის ყველაფერი მოგვარდება.

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# ესეც ინტრიგა

## მიურეის რეიტინგში ნადალის გადასწრების რეალური შანსი აქვს

სამშაბათს, მონრეალის მასტერსზე პირველი წრე დასრულდა და მეორე წრის რამდენიმე მატჩი გაიმართა. ამ ეტაპიდან ჩაებნენ ბრძოლაში რეიტინგის საუკეთესო ოთხეულის (**რაფაელ ნადალის** გარდა) წევრები.

ყველა მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა, თუმცა ბრძოლა თითქმის ყველა შეხვედრაში იყო გაჩაღებული. **ენდი მიურეისა** და ფრანგი **ჟერემი შარდის** მატჩის ანგარიშმა (6:4, 6:2) შეცდომაში არ შეგიყვანოთ - ბრიტანელმა ორ სეტში კი მოიგო, მაგრამ შარდი ყველა გეიმში იბრძოდა და ბოძებულ შანსებს უფრო მზრუნველად რომ მოპყრობოდა (ფრანგმა 10 ბრეიკ-პოინტიდან ვერც ერთი ვერ გამოიყენა), მატჩი კარგა ხნით გაიწელებოდა.

მიურეი უიმბლდონის ნახევარფინალში წაგების შემდეგ პირველ მატჩს თამაშობდა. ბრიტანელი ჩოგბურთელის სახელს ამ ტურნირზე მთავარი ინტრიგა უკავშირდება - თუ კი ენდი მონრეალის მასტერსს მოიგებს, რეიტინგში ნადალს შეავიწროებს და მეორე ადგილზე გადაინაცვლებს. მოვლენათა ამგვარი განვითარება იმ შემთხვევაშიც იქნება შესაძლებელი, თუ მიურეი ფინალში გავა, ხოლო ნადალი ნახევარფინალში დამარცხდება.

ასევე პირველად ითამაშა უიმბლდონის შემდეგ **როჯერ ფედერერმა** და მას უფრო გაუჭირდა მსოფლიოს 487-ე ჩოგანის, კანადელი **ფრედერიკ ნიმაიერის** დამარცხება. ეს უკანასკნელი კორტზე NHL-ის კლუბის „მონრეალ კანადიენსის" მაისურით გავიდა, რითაც მაყურებელთა უმრავლესობა თავის მხარეს გადაიყვანა. ასეთი მხარდაჭერით გამხნევებულმა ნიმაიერმა პირველ სეტში ტაიბრეიკამდე მიიყვანა საქმე, მაგრამ იქ მხოლოდ სამი ქულა აართვა მსოფლიოს პირველ ჩოგანს. აღსანიშნავია, რომ სასტარტო პარტიაში ფედერერმა ვერაფერი მოუხერხა კანადელის მოწოდებებს - ნიმაიერმა პირველი მოწოდების 86 პროცენტი მოგებულ ქულებად აქცია.

მხოლოდ მეორე სეტის მეშვიდე გეიმში შეძლო ფედერერმა ამ მატჩში პირველი ბრეიკის აღება, რამაც მას პარტიის მოგების საშუალება მისცა - 6:4. 33 წლის ნიმაიერისთვის ეს იყო უკანასკნელი მატჩი კარიერაში. *„ბრწყინვალე ატმოსფერო იყო. ბოლო მატჩი ვითამაშე და ამიტომაც მაქსიმალურად მოვინდომე"*, - განაცხადა ნიმაიერმა.

ფედერერმა აღიარა, რომ დროდადრო არაკომფორტულად გრძნობდა თავს. *„საერთო ჯამში ცუდად არ მითამაშია*, - თქვა როჯერმა. - *სამწუხაროდ, მიღებაზე თითქმის არაფერი გამომდიოდა. ერთი პერიოდი უკანა ხაზზეც ცუდად ვთამაშობდი. ამის გამო წავაგე ბევრი ქულა"*.

გაუგებარია, რა სჭირს ამ სეზონში სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი კვლავინდებურად უემოციოდ თამაშობს და სრულიად უცნობ კანადელ **პეტერ პოლანსკისთან** უამრავი უნებლიე შეცდომა დააგროვა. პირველ სეტში „ჯოკერმა" 0:3-დან გადაარჩინა პარტია, მეორეში კი საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა და „შემოკლებული" გეიმი გაჭირვებით - 8:6 მოიგო. ასეთი თამაშით ჯოკოვიჩს ძალიან გაუჭირდება წინსვლა.

გამორჩეული უნდა ყოფილიყო მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგანის - ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტისა** და ესპანელი **ხუან კარლოს ფერეროს** მატჩი. მაგრამ ბრძოლა არ გამოვიდა. ლეიტონი შორს არის თავისი ოპტიმალური ფორმისგან - ავსტრალიელი ცუდად გადაადგილდებოდა კორტზე, ბევრს ცდებოდა და ორ სეტში დამარცხდა.

ამავე დღეს მესამე კანადელი ჩოგბურთელიც გამოეთიშა ბრძოლას, მაგრამ მან საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა. საქმე ეხება 18 წლის **მილოშ რაონიჩს**, რომელმაც კვალიფიკაციიდან გამოთიშა ბრძოლას გამოცდილი რუსი **თეიმურაზ გაბაშვილი**, გუშინ კი კინაღამ რუსის გზას გაუყენა ჩილელი **ფერნანდო გონსალესი**. მილოშმა თავისი ასაკისთვის არადამახასიათებელი დახვეწილი ჩოგბურთი აჩვენა და თამაშის ყველა ელემენტში სოლიდური ოსტატობა გამოავლინა - უკანა ხაზიდან ძლიერი დარტყმებით დაწყებული და ბადესთან აუღელვებელი თამაშით დამთავრებული. ამას ბრწყინვალე მოწოდებაც დაერთო თან. კანადელს გამოცდილება და ოდნავი იღბალი არ ეყო გამარჯვების მისაღწევად. პირველი სეტის მოგების შემდეგ, მეორეში ტაი-ბრეიკზე რაონიჩმა მატჩ-პოინტს მიაღწია, მაგრამ ფერნანდომ მეტოქეს შესანიშნავი მოწოდებით მოუსპო ეს შანსი, შემდეგ კი მიღებაზე ფორჰენდით მოიგო სეტი.



რაონიჩი მაინც არ დანებდა და მესამე სეტში ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ გონსალესმა მოახლოებული გამარჯვება იგრძნო და ბოლო პარტია აღარ დაუთმო მეტოქეს - 6:4.

ამასობაში, ერთეულთა თანრიგში ყველა რაფაელ ნადალის პირველ მატჩს ელის, თუმცა ესპანელმა წყვილებში უკვე მეორედ მოასწრო კორტზე გასვლა. ამჯერად, მან და 41 წლის **ფრანსისკო როიგმა** ვერაფერი მოუხერხეს გამოცდილი მეწყვილეების - ბელარუსი **მაქსიმ მირნისა** და ისრაელელი **ენდი რამის** დუეტს და სამ სეტში წააგეს - 6:4, 3:6, 8:10.

### ATP

### ROGERS CUP

მონრეალი (კანადა). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 3 000 000 დოლარი**

#### I წრე

**ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:1, 6:7(5), 6:1; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11)**-მილოშ რაონიჩი (კან) 4:6, 7:6(8), 6:4; **ტომი რობრედო (ესპ, 15)**-ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:4, 6:2; **ანდრეი გოლუბევი (ყაზ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 16) 6:3, 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ტომას ბერდიხი (ჩეხ) 7:6(5), 6-7(9), 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 6:1, 6:4; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-დუდი სელა (ისრ) 6:4, 3:6, 6:3; **ჯონ ისნერი (აშშ)**-იესე ლევინე (აშშ) 6:3, 6:4; **ტომი ჰაასი (გერ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 4:6, 7:6(3), 6:4; **იან ჰერნიხი (ჩეხ)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:2, 6:3; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:4, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ)**-ვიქტორ **ტროიცკი (სერ)** 6:3, 6:0.

#### II წრე

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ფრედერიკ ნიმაიერი (კან) 7:6(3), 6:4; **ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:4, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-პეტერ პოლანსკი (კან) 6:4, 7:6(6); **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 8)**-პოლ-ანრი მატიო (საფ) 7:6(4), 7:6(2).

### WTA

### WESTERN & SOUTHERN FINANCIAL GRP WOMENS OPEN

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 2 000 000 დოლარი**

#### I წრე

**ალიონა ბონდარენკო (უკრ)**-ნადია პეტროვა (რუს, 10) 6:2, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 13)**-აი სუგიამა (იაპ) 6:2, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა, 14)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:2, 6:3; **შუია პენგი (ჩინ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 15) 6:2, 6:1; **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-არავან რეზაი (საფ) 6:3, 6:3; **სორანა კირსტეა (რუმ)**-მეგან შონესი (აშშ) 7:5, 7:5; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:3, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-სარა ერანი (იტა) 3:6, 6:3, 6:1; **სიბილ ბამერი (ავსტრია)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:2, 4:6, 6:2; **მარია კირილენკო (რუს)**-იაროსლავა შვედოვა (რუს) 6:4, 6:1; **აგნეს შავაი (უნგ)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 7:5, 7:5; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:4, 3:6, 6:3.

#### II წრე

**დინარა საფინა (რუს, 1)**-რობერტა ვინჩი (იტა) 2:6, 7:5, 6:4; **ვენუს უილიამსი (აშშ, 3)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:2, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 6)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:3, 6:7(2), 7:6(4).




# სერენამ ავტობიოგრაფია დაწერა

1-ელ სექტემბერს მაღაზიებში გამოჩნდება მსოფლიოს მეორე ჩოგანის **სერენა უილიამსის** ახალი წიგნი, რომლის სახელწოდებაა „ხაზზე" (On the Line). თუმცა წიგნების ინტერნეტ მაღაზიებში ჩოგბურთელის ავტობიოგრაფიის შეკვეთა 18 დოლარად არის შესაძლებელი.

როგორც წიგნის ანოტაციაში წერია, მკითხველს შეუძლია გაჰყვეს სერენას ვარსკვლავურ გზას ბავშვობიდან დღევანდელობამდე და გაიგოს, რას გრძნობდა უმცროსი უილიამსი ამ გზის გავლის დროს.

კალათბურთი

# ჯორდანმა ენტონის მოუგო

ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანი** და „დენვერ ნაგეტსის" ლიდერი **კარმელო ენტონი** ბავშვებისთვის ჩატარებული მასტერკლასის დროს ტყორცნების სიზუსტეში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.



კალათბურთელებს წინასწარ განსაზღვრული დროის მონაკვეთში, რაც შეიძლება მეტი ტყორცნა უნდა გამოეყენებინათ. ამ მინი-მატჩში გამარჯვებული **მაიკლ ჯორდანი** გამოვიდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

